


ეჭიბ.

იზუკიმ

1885

№ 11, თებერვალი



თბილისი.

ექვთიმე ხელაძის სტამბა.

1885

შინაარსი:

I. მთხი დღე, მოთხრობა გარმინისა თარგმ. ა. ფრანკელისაგან	5
II. ასული ფარაონისა (ისტორიული რომანი) გეორგ გუბსისა, ნაწილი პირველი.	24
III. სახალხო ლექსები	92
IV. თბილისის აღება ალა-მაჰმად-ხანისაგან 1795 წ. (მოთხრობა თვალთ მნასკულისა)	94
V. მართული თეატრი 3—სი.	107
VI ბუზი (ლექსი) თ. რაფ. ერისთავისა	123
VII *** (ლექსი) ავ. ცაგარლისა	124
VIII შინაური მიმოხილვა.	128
IX მედიატორეთა განჩინება	139
X ზანმარტებითი წერილი	145
XI ზანცხადებანი	

რედაქციისაგან.

ამ ნომრისთვის დამზადებული და აწეობილი წერილი
«პედაგოგიური მოსაზრებანი» კერ დაიბეჭდა.

განცხადებანი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში — «დროების» რედაქციაში; ქუთაისში — მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზრიაში; ბათუმში — მასკ ნათაძესთან; თელავში — ვანო ჩხსტომასიძესთან; გორში — ალალო თუთაყვთან.

ფასი გაზეთისა მთელის წლით — 9 მან., 6 თვით 5 მან.

იქვე და იმავე პირობებთან, რომელნიც ზემოთ არიან გამოცხადებულნი, მიიღება აგრეთვე ხელის-მოწერა ჟურნალს

„ივერიისაზედ“

ვინც ცალკე დაიბარებს მთელის 1885 წლით ჟურნალს «ივერიისა», უნდა გამოგზავნოს წლის ხუდრი ფული შვიდი მანათი (სოფლის მასწავლებელთათვის ხუთი მანათი) «დროების» რედაქციაში ამ ადრესით: Въ Тифлисъ въ Редакцію «Дროება» ანუ Въ Редакцію журнала «Иверія».

ვისაც უფრო ემარჯვებოდეს, შეუძლიან «დროება» და «ივერიისა» ერთის წერილით დაიბარონ და ამისთვის ხუდრი ფული 16 მანათი გამოგზავნონ «დროებისკუ» ადრესით.

რედაქცია «ივერიისა» ჭსთხრეს მათ, ვისაც წერილების და სტატიების გამო საქმე ექმნება რედაქციასთან, მიჭმართონ თვითონ რედაქტორს უკუელ-დღე დილის რვა საათიდან დილისკუ ათს საათამდე გარდა კვირის დღეებისა და უქმეებისა — ახალ ბუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 1.

რედაქტორი «ივერიისა» ილია ჭავჭავაძე.

გახსნა ხელის-მოწერა 1885 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს

„მწყემსი“

და «მწყემსი»-ს რუსულ თვიურ დაგებაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელთა და საერო წოდების ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციულო მართებლობათა, კონსისტორიისა და მღვდელ-მთავართა, რამდენთა გამტყობნა შესაძლო იქნება; 2) განაცხადოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო ცოდნა; 3) განაცხადოს საქართველოს სამღვდელთა და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი მნიშვნისა და საწმინდოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელთა და საეკლესიო მოსამსახურე პირთა უზღოვრთი საეჭვო კითხვები, რამდენთა ცოდნა მიუცდილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოკვლეობის ასრულებისათვის.

გაზეთი «მწყემსი» გამოსვს წარსული წლების მსგავსად, რეგულარულად ერთხელ, რეგულარულად ქალაქის ფურცელზე.

რუსული დამატება «მწყემსი»-სავე უზღოვრებით და მიმართულებით გამოსვს რეგულარულად ქალაქის ფურცელზე — თვეში თითოჯერ.

«მწყემსი»-ს ფასი მთელი წლის გაგზავნით — ხუთი მანათი. ნახევარი წლის — სამი მანათი. «მწყემსი»-ს ფასი რუსული თვიური დამატებით ერთი წლისა ექვსი მანათი, ნახევარი წლისა ოთხი მანათი. ცალკე რუსული დამატების ფასი წლისა — სამი მანათი, ნახევარი წლისა ორი მანათი.

წერილები და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციისაში, რამდენიც იმყოფება დაბეჯადობაში, რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთის დაბეჯება შეიძლება ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію «МЦКЕМСИ». (უვირისაში, «მწყემსი»-ს რედაქციისაში.)

ოთხი დღე.

მოთხრობა გარშინისა.

(ვუძღვნი ჩემს მასწავლებელს ს. მგალობლიშვილს.)

მე კარგად მახსოვს, როგორ გაკრბოდით ტყეში, რა მწარედ ზუსუნებდნენ ტყვიები, როგორ ცვიოდნენ დალეწილი ხის ტოტები, როგორ დაკძვრებოდით გარეუფი ფშატის ძუძუებში. თათვის გრიალი თან-და-თან ხშირი შეიქნა. ტყის პირში რაღამაც წითლის ფრად გაიუფა. სიღრმეში, პირველი რაზმის ახალ-გაზდა სალდათმა (ასიდან მოჭყვია ჩვენ წრეში? გამიუფა მე ფიქრმა), უცბად ჩაიჩოქა და მდუმარებით გადმოხედდა თავისი დიდროვანი, შეშინებული თვალებით. სისხლი თქრიალით გადმოხდიოდა პირიდან. დიაღ, ეს მშვენივრად მახსოვს; მახსოვს აგრეთვე, იქვე ტყის პირში, ხშირ ძუძუებში როგორ დავინახე... ის. ის იყო უშველებელი მხარბუჭიანი თათარი, მაგრამ მე მაინც პირდაპირ მისკენ გაკრბოდი, თუმიცა ძალიან სუსტი და გამხდარი ვარ. მე მომეჩვენა, რომ რაღაცას ბერტყა მოხდა, თითქო ჩემ წინ უსაჩინაშაჩმა კაცმა გაიბინაო; ყურებმა წივილი დაძიწყეს. «ეს უთუოდ მე მესროლა», ვიფიქრე ჩემთვის. ის კი შეშინებული შემადრწინებელის ბლავილით ზურგით მიუგრა ფშატის ძუძუს. მას შეეძლო მოჭყვარებოდა ძუძუს, მაგრამ შიშისგან აღარა ეუფრე-

ბოდა-ის და პირდაპირ ეგლიან ტოტებს ეძგერა. ერთის და-
კვრით მე დავაგდებინე თოფი, მეორე მოქნიკაზე საცალა
ჩეკჭე ჩემი შუბი: რაღამაც საშინლად დაიბლაკა, დაიკვნესა.
შემდეგ მე წინ გავიქეცი. ჩვენები გამწარებით აუჩასა ყვირ-
დენ. ტყავა-ტყუებით ეცემოდენ ძირს, თოფებს ცლიდენ. მახ-
სოვს, მეც გავისროლე რამდენჯერმე, რაცა ტყიდგან გამოკე-
დით. უცხად გაისმა აუჩასაგრიანი და ჩვენ ხელახლად გავ-
ჭანდით წინ. ესე იგი, ჩვენ ვი აჩა, ჩვენები, რადგან მე უკან
ჩამოვრჩი. მე ეს ძალიან მეუცხოვს. უფრო საკვირველი ის
იყო, რომ უცხად ყველაფერი გაჭჭრა, კიჟინა და თოფის
ხათქა-ხუთქი შესწყდა, მე აღარა მესმოდა-ის, ვხედავდი მარტო
მოფურჯო გამარას; უთუოდ ეს ცა იყო. შემდეგ ესეც გაჭჭრა.



ამისთანა საკვირველ მდგომარეობაში არასოდეს არა
ვერთიყვარ. კვინებ მუცელზედ ვწევარ და ვხედავ ჩემ წინ
მხლელად პაწაწკინტელა მიწის ნაჭერს. რამდენიმე ბაღახი,
ჭიანჭველა, რომელიც ერთი ბაღახიდან ძირს მოდოდამს, რა-
ღაც ნაგვის მსგავსი ბაღახ-ბუღახებისგან შემდგარნი გრეკა—ნი
რასა ვხედავ მე გარშემო. ამასაც მარტო ცალი თვალით ვხე-
დავ, რადგან მეორე თვალი დახუჭულია ძეძვის ტოტით, რა-
მეღებულაც ჩემი თავის დაბჯენილი. მე საშინლად უხერხულადა
ვარ, ძალიანაც მინდა განძრევა, მაგრამ, ვერ მივხვედრიყვარ,
რატომ ვერ ვახერხებ გასწორებას. ამ გუარად მიდის დრო.
მესმის ჭრიჭინას ჭრიჭინი, თუტკრის ბზუილი. სხვა ამის მე-
ტი არაფერი. ბოლოს, მოვიკრიფე, რაც ძალი და ღონე მქონ-
და, გავანთავისუფლე მარჯვენა ძეღავი, ტან-ქვეშ დაყოლილი,
დაკებჯინე მიწაზედ რჩთავ ხელებით და მოვიწადინე მუხლებზე
დადგომა.

მწკვამა და მსწრაფლმა ტკივილმა ელვასაგუ გაიბინა მთლად ჩემ სხეულში, მუხლებიდან დაწყო ბილი გულამდინ და თავამდინ, და ხელმეორედ დაუცია. წინანდელებს სეკდამ და წყვდიადმა მოიცვა ჩემი აჩსება.

გამომეღვიძა. რაღა ვხედავ ვარსკვლავებს, რომელნიც ასე ნათლად გაშვასობენ ლურჯ-მომავლ ბოლგარის ცაზედ? განა მე ვარა ვაჩს ვარ? რისთვის გამომეღვიძა იქიდან? მივიწმინდე და საშინელი მტანჯველი ტკივილი ვიგრძენ ფეხებში.

ესლას ვი მივხვდი, რომ ბრძოლაში დაგუჭრივართ. საშინაო თუ აჩს ჩემი ჭრისობა? გავსინჯე ფეხები იქ, საცა მტკიოდა. რათავ ფეხები, მარჯვენაც და მარცხენაც შედედებულს სისხლს დაუთვარა. რაღა ფეხებს ხელებით შევეხები, ტკივილი ერთი-ორად ძლიერდება. ტკივილი ისეთი მანქვს, რომ გარდა ვბილის ტკივილი გამომეცადნოთ: მუდმივი, სულის დამდაგველი. ყურები გამიბრუნდა, თავი დამიძიმდა. ბუნდად ვგრძნობ, რომ მე რათავ ფეხებში ვარ დაჭრილი. რას ნიშნავს ესა? რატომ აჩს მიპატრონეს? ნუ თუ თათრებმა დაგვამარცხეს? ხელ-ხელა ვიგონებ, რაც მე შემემთხვა, პირველად ბუნდად, გაურკვეველად, შემდეგ ცხადად და ბოლოს ის დავასკენი, რომ ჩვენთვის სრულებითაც აჩს უჯობნათ. იმისთვის, რომ წავიქეცო (ეს ვი აჩს მახსოვს; მხლელად მახსოვს, რომ ყველანი წინ გაიქცენ და მე აჩს შემედლად გაქცევა, თვალთ დამიბნულდა)—იმი პატარა გორაკს ვეღებ, რომელზედაც მიგვიითთა ჩვენმა პატარა რაზმის უფროსმა. აბიჭებო, ჩვენ უნდა იქ ვიუკეთ! შემოგვძახა თვისი ზარისაგუ წკრიალას ხმითა და ჩვენც ერთ წუთში გავიხდით იმი გორაკს

გულზედ; მამასადაძე, ჩვენ დამარცხებულნი არა ვართ.... მამა
 რატომ არ მიპატრონეს? ეს მინდობი ხომ გაშლილი ალბათ,
 აქედამ უკუაღივლი სჩანს! უჭკუაა, მარტო მე არა ვგდივარ
 აქ, რადგან თათვის გუგუნი ისე ხშირ-ხშირად ისმის. თავი
 რეგულარულად უნდა მოვახერხო და მივიხედ-მივიხედო. ეს ეხლა
 ადვილი მოსახერხებელია, რადგან წელან, ცოტა რომ გამეკ-
 თნიზღდი და დავინახე ბალახი და ჭიანჭველა თავ-დაღმა მომ-
 ბობლავი და ვსცდილობდი თქვსე წამოდგომას, გულ-აღმა ვი-
 ვავ. უთუოდ ვარსკვლავებსაც იმისთვის ვხედავ, რომ გულ-
 დაღმა არა ვგდივარ.

მე წამოვიწიე და დაჯექი. ეს ძნელი მოსახერხებელია,
 რატოა რთავ თქვები მინიხვრეული გაქვს. რამდენჯერმე სასო-
 წარკვეთილებასში ჩავარდი; ბოლოს, რეგულარულ იყო, მოვახერხე
 დაჯდომა, მაგრამ სიმწარისაგან თვალებზედ ცრემლებმა დაბა-
 ლუბი იწიეს.

მალა, ჩემ-ზედოდ მოჩანს შავი-მოლურჯო ცის ნაგლე-
 ჯი, რომელზედაც ბდღვრიალებს ერთი უშეკლებელი დიდი ვარ-
 სკვლავი და რამოდენიმე პატარა; გარშემო კი წყვილია. ეს
 ძეძვებია. ეკლიან ძეძვებში ვგდივარ; ვერ უზღუნავართ!

მე ვგრძნობ, რომ ქორილი ღელავს ჩემს თავზედ.

მაგრამ ამ ძეძვებში საიღამი გაკინდი, რადგანაც მალა
 გულზედ შუშუნა ტყვიამ გამბინდა. უთუოდ ტკივილმა ისე
 შემაწუნა, რომ აღარ მახსოვს, ძირს რეგულარულად ჩამოვთვითვდი.
 უფრო საკვირველი ის არის, რომ ეხლა განძრევასაც ვერ ვა-
 ხერხებ, და მამინ კი ამ ძეძვებამდინაც მომიღწევია. ალბათ,
 მამინ ერთი ჭრილობის მეტი არა მქონდა და მეორე ზუზუნა
 ტყვიამ აქ მომიღო ბოლო.

მკრთალი ვარდის თვრი წინწკლები მომიუარნენ, გამკამა

ვარსკვლავი გატრიაკდა. წამდენიმე წკრილი ვარსკვლავები სრულად განქვჩნენ. მთვარე მოიპარება—ეს იმის ნიშანია. რა ვარგია ესა სახლში ყოფნა!...

უცნაური გოდება და კვნესა მესმის.... თითქოს ვიღაც მწარედ კვნესოდეს. დიად, ეს ნამდვილად კვნესაა. ჩემსაებ მივიწეებულა, დამსხვრეულა ფეხებით, მუცელში ჩაჩენილი ტყვიით ხომ არაკინა გღია? არა, ეს უთუოდ შეცდომა უნდა იყოს; ჩემ გვერდზედ არაკინა გღია და კვნესა კი ასე ახლადამ მესმის. ღმერთო ჩემო, ეს ხომ თვითონ მე ვარ! წყნარი შესაბრალონი კვნესა წკრიალათ გასმის ჭკურში; ნუ თუ მართლად ასე საშინლად მსწუხებს ჭკრილობა? უთუოდ აგრე უნდა იყოს, მაგრამ მე კი ვერა ვგრძნობ ამ ტკივილს, რადგან თავი ტყვიასაებ დამძიმებული და გაბრუებული მაქვს. სჯობს კი ისეკ დავიძინო, ვიძინო, ვიძინო სამუდამოდ... მაგრამ განა ღოდესმე გავიღვიძებ? ეს სულ ერთია.

ამ წუთში, როდესაც მე ვეპირები დაწოლას, მკრთალმა ნათელმა სავსე მთვარისამ გააშუქა ის ადგილი, სადაც ვწევარ; ცხადად დაკინახე რაღაც უშეკლებელი, გამაკებული, რომელიც ხუთ ნაბიჯზედ ეგდო ჩემს მოშორებით. ალაგ-ალაგ მთვარის ნათლისგან ბრწყინავს. ეს ან ღილები უნდა იყოს, ან იარაღი. უთუოდ ან მიმუკრია, ან დაჭრილი ვარ.

სულ ერთია, მე მაინც დავწეები...

მაგრამ არა, არ შეიძლება, რომ ჩვენები წასულაყვნენ. ისინი აქ არიან, გარეკეს თათრები და დაჩენ ამ პოზიციებზედ. მასმ რატომ არ ისმის ან ხმაურობა, ან ქვაბების რახარუხი? მაგრამ რას გავიგებ, როდესაც მე სისუსტისგან არა მესმის-რა. ისინი უთუოდ აქ არიან.

ღმიშეკეთ!... მიშეკეთ!...

ხრინწიანი, სუკდიანი გვინეს ამოსკდა ჩემის გულადგან, მაგრამ ხმა, ხმა შებრალებიასა არსით მომესმა. ბზრიალით გა-
კრტელდა ჩემი ამოგვინესა ღამის ჭყარში უნუგეშოდ, უზასუნოდ.
მთელი ქვეყანა მღუმიანობდა. მარტო ჭრიჭინები ჭრიჭინებდენ
მოუღალაჟად. მხლელად მთავარე დამტყვეროდა სიბრაღით
თავის ბადრის სახით.

ჩემი მეზობელი რომ მარტო დაჭრილი ყოფილიყო,
უთუოდ თავს აახელდა საზარელის მახლის შემდეგ. ეს
მომეცია. ჩვენია, თუ თათარი? რა, დემეტო ჩემო, განა სულ
ერთი არ არის! და მიბინარდენ ძილ-მოკრული ჩემი დაქანცული
თვალები.



თვალებ-დახუჭული ვწევარ, თუძცა ვაი ხანია რაც გამე-
მეღვიძა. თავის გახელა არ მინდა, რადგან ქუთუთლებზედ
გვრძნობ მზის მწვანე სხივებს; რომ გავახილო, შეკუდივით
დაშვებული ნათელი თავს მომჭრის. გუშინ, (მგონი, ეს გუ-
შინ იყო?) მე დამჭრეს; ერთმა დღე და ღამემ გაიარა, გაი-
ჯის მეორე, მეორე მოგვადები. სულ ერთია. სჯობიან ვაი რომ
არ ვიჩხულო; სჯობს, რომ სხული უძრავად ეგდოს. რა
კარგი იქნებოდა, რომ შეიძლებოდას ტვინის მოქმედების შე-
ჩერება, მაგრამ კერატით გაჩერებ. ფიქრები, მოგონებანი
ფუსფუსით ირევიან თავში. მაგრამ დიდ ხანს არც ეს გა-
გრძელდება, მალე ყველაფერს ბოლო მოეღება. მარტო გა-
ზეთში დარჩება რამდენიმე სტრიქონი, რომ ჩვენი ზარალი
ძალიან მცირედია; დაჭრილია აძენ-აძენი; მოკლულია
ჯარის-გაცი ივანოვი, ნება-ყოფლობით წასული დაშვარშია.
მაგრამ არა, გვარსაც არ დასწერენ; მოკლულ იტყვიან: ერთი
მოკლული, ერთი ჯარის-გაცი!...

ცეცხლის ალივით იფეთქა ჩემს წარმოდგენაში მთელმა სურათმა. კაი ხანია მას აქეთ, რაც ეს შემთხვევა მოხდა. მაგრამ სუყუელაფერი, მთელი ჩემი სიცოცხლე, ის სიცოცხლე, რომელსაც მე აქ არ ვეგდე დამსხვრეული ფეხებით, დიდი ხანია, რაც იყო.... ქუჩაში მივდიოდი; ხალხის გროვამ შემაჩერა. ხალხი იდგა გაქვავებული და მღუძარებით ჩასჩერებოდა ერთ ალაგას, სადაც რაღაცა თეთრის მსგავსი, სისხლში მოთუთხნული, საცოდავად წკმუტუნებდა. ეს იყო პატარა ლამაზი ფინია; ცხენის რკინის გზის ვაგონმა გასრისა საწყალო. ერთმა ძეგარემ გააპო ხალხის გროვა, წააკლო ხელი ფინიას კეფაში და წაიღო. ხალხი დაიშალა.

ნეტა მეც წამიღებს ვინმე? არა, უნდა ვეგდე აქ და უღრგოდ გამეკეთხეო წუთი-სოფელს. სიცოცხლე კი ტკბილია... იმ დღეს (როცა ფინიას უბედურება შეემთხვა) მე ბედნიერი ვიყავი. იმდენად ბედნიერი ვიყავი, რომ მივჩაღს ვგავდი ქუჩაში ხეტიალის დროს. მოგონებანო, ნუ მტანჯავთ! დამანებეთ თავი! წარსული ბედნიერება, აწინდელი ტანჯვანი!... ნეტავი მარტო ტანჯვანი დამჩენოდა! ნუ მითუთქამთ, მოგონებანო, გულის იმით, რომ მადარებინებთ წარსულს აწმყოსთან. ოხ, სეკდავ, სეკდავ! იარაზე მწარე ხარ!

სიცხე თან და თან მატულობს, მზე ივბინება. თვალები გავაჭეიტი, დაკინახე ისეკ ის ძეძვები, ისეკ ის ცა იმ განსხვავებით, რომ ეხლა მზისგან იყვნენ განათებული. აგერ ჩემი ძეზობელიც. დიაღ, ეს თათარია, მძოვრია. რა უზარ-მზარია! მე ვცნობ; ეს ის არის, რომელიც....

ჩემგან მოკლული ვატი წინ მიდევს. რისთვის მოკვალა? გასისხლიანებული მოკლული საცოდავად გდია ჩემ გვერდზედ. ბუღმა რისთვის მოაწყვიტა აქა? ვინ არის? ეგება ჩემსავით ამა-

საღ ჭყავს ბებერი დედა? ამისი დედა, ვინ იცის, რამდენჯერ
საღამ-საღამოთი დაჯდება თავის ქონის დიკეზედ და მწუხარე,
ცრემლიანი თვალებით გახედავს შორეულ ჩრდილოეთს: ხომ
არ მოდის ჩემი თვალის ჩინი, ჩემი დამტოვებული და მარჩუ-
ნალო.

მე?... მეც აგრე ვარ... კიდევაც გაკუცვლიდი მას ჩემს
ბედს. რა ბედნიერია! არაფერი არ ესმის, არა გრძნობს
არც მომაკვდინებულ სუკდას, არც ტვივილს იარებისაგან და არც
წყურვილს. შუბმა გაუგმილა გულა... მის მუნდირზედ საშინე-
ლი დიდი გაშაკებული ჭრილობა მოჩანს; მის გარშემო სის-
ხლია. ეს—მე ჩავიღინე.

მე სრულებითაც არ მინდოდა ჩამეღინა ეს საჭმე. ლაშქარ-
ში რამე მოკდილოდი, არავისთვის ბოროტი არა მდომებია. ის
ახრი, რამე მეც მომიხდებოდა ხალხის ყლეტა, რთგორღაც
არ მომდიოდა თავში. მარტო ის მქონდა წარმოდგენილი,
რთგორ მივუშვირდი მტრის ტყვიას ჩემ გულს. აგრეც მო-
ვიქეტი. წაკედი და მივუშვირე გულა.

მე რა გამოვიდა? უგუნურა! უგუნურა! ეს უბედური
თუფლახი (მას ეგვიპტელის მუნდირი აცვია) ხომ უფ-
რო ნაკლებ არის დამნაშავე. კიდრე სტამბოლში არ მო-
იყვანეს გემით, გაგონილი არც ვი ჭქონდა არც რუსე-
თის, არც ბოლოგარის სახელი. უბრძანეს წადიო და ისიც
წამოვიდა. თუ უარს იტყოდა, კარგად გაჯობამდენ; ან შეიძ-
ლება რამეფსამე თვამს დამბახით ტვინი გაეხვირტა მისთვის.
რამდენი მწუხარება ნახა, კიდრე სტამბოლიდამ რუშიუკამდის
მოაღწევდა! ჩვენ თავს დაკუცით, ის გვიგელებდა. რაღა რამე

დაინახა, რომ ჩვენ საშინელი ხალხი ვართ, რომ არ გვეშინიან მისი ნაქირაკები ინგლისური პირობისა და მარტინის მახარების, რომ სულ წინ ვიწეკოთ, შიშით გული გაუსკდა. გაქცევა რომ დააპირა, ვილაც პატარა ვატი, რომელსაც ერთის თავის შავი მუშტის შემოკვრით სულს გაუფრთხელდა, წამოეწია და შიგ გულში დაასრულები.

განა დამნაშავეა?

მე რატომ ვარ დამნაშავე, თუმცა ვი ვატი მოკვალა? რაში ვარ მტყუანი? რისთვის მტანჯავს წყურვილი? წყურვილი!.. ვინ იცის რას ნიშნავს ეს მცირედი სიტყვა! მაშინაც ვი, რატომ რჩები გრადუსიან სიტყვაში რუბინისში დღეში რჩები-და-ათ ვერსს გაკვივლიდით ხელში, არ მიგრძნობა ის, რასაც ეხლა ვგრძნობთ. ახ, ეხლა რომ მოვიდოდეს ვინმე!

დმერთო ჩემო! უთუოდ იმას ამ ვეებერთელა ხელადაში წყალი ექნება. მაგრამ იქამდის მიღწევა უნდა. ძვირად ვი დამიჯდება. სულ ერთია, რაგორც იქნება მივაღწევ.

მე მივუფრთხილხამ. თუკებს მივათრევ, დასუსტებული ძეგლები ვაი-ვაგლახით აბრუნებენ უძრავ სხეულს. მძვინკამდის სულ რაღაც საყენია, მაგრამ ჩემთვის ათი ვერსის გაკლასებდ უფრო ძნელია. რაც უნდა იყოს, მაინც უნდა მივუფრთხილდე. ხახა გამიშობა, მეწვის, თითქოს გენია ანთიარ, უწყლად, უპატივია, მალე მოკვდება. წყალი რომ მიქონდეს, ეგებ....

და მეც მივუფრთხილხამ. თუკები დედა-მიწას ებღოჭიანება და ყოველი შენძრევა სხეულისა აუტანელ ტკივილებს მაგრძნობინებს. ტკივილით გამწარებული ვბლავი, ვბლავი უნუგეშოდ, შემადრწუნებულის ხმით, მაგრამ მაინც მივუფრთხილხამ. ძლივს, აგერ ისიც. აგერ ხელადაც.... დმერთო, რა ბეჭი წყალია შიგ!

მგონი ნახევარზედ მეტია. ოჲ! წყალი დიდ ხანს მუყაფა...
სიკვდილამდის!...

შენ, ჩემო მსხვერპლ, შენ მიხსნი სიკვდილისაგან. ერთ
ნიღაფზედ დაკეუდუ და ისე ვიწუე ხელადის ჩამოხსნა; უცხად
დაძმლია თავმა და ჩემი მხსნელის გულზედ დაკეცი. მას უკვე
მძოვრის სუნი ასდიოდა.

წყურვილი მოვიკალო. წყალი თუძცა თბილი იყო, მაგ-
რამ გათუჭება არ ეტყობოდა; ამას გარდა ბლამადაც იყო.
კიდევ ვიცოცხლებ რამდენსამე დღეს. მახსოვს, თეზიოლოგია-
ში სწერია, რომ კაცს უსაჭილოდ შეუძლიან ერთ კვირაზე მე-
ტი იცოცხლოს, თუ ვი წყალი აქვსო. იქვე მოთხრობილია ერ-
თი თავის მკვლელის ისტორია, რომელმაც მოიკლა თავი შიშ
შილით. იმან დიდ ხანს იცოცხლა, რადგან წყალი ჰქონდა.

მაგრამ რა? თუნდაც რომ ვიცოცხლო კიდევ ხუთი,
ექვსი დღე, რა გამოვა? ჩვენები წავიდნენ, ბოლოგარები გაითან-
ტნენ; გზა ახლო არსად არ არის. სულ ერთია—ხომ სიკვდილს
გერ ავსცდები. განსხვავება ის იქნება, რომ სამი დღის ტან-
ჯვის მაგიურად, მთელი კვირა ვიტანჯები. არა სჯობს, რომ
ერთბაშად მოვიხსნო სიცოცხლე? ჩემი მუცლის გვერდზედ
გდია მშვენიერი ინგლისური თოფი. ხელის გაწკდუნის მეტი
არა უნდა-რა; მეტე—ერთი წამი და გათავდება უკვლავი.
ტყუია-წამალიც იქვე გვერდზედ ჰქონია; დახარჯვა ვერ მოუ-
სწვრია.

მამ მოვისპო სიცოცხლე, თუ ვუცადო? მაგრამ რასა?
ხსნას? სიკვდილს? უცადო, რადის მოკლენ თათრები და გა-
დაძმობენ ტყავს ჩემ დაჩენილ თუბებს? სჯობს ისეკ თითონ
მე....

მაგრამ არა, სულთ დატემა არ უნდა; ვიბრძოლებ ბო-
ლომდის, სანამ უგანასკნელი ძალა არ მილატებს. რამე მი-
ზოვონ, ხომ გადაჩენილი ვიქნები მაშინ? ეგები ძულები ხელ
უხლებელნი არიან; მაშინ ადვილად მომარჩენენ. მეტყე... ვნა-
ხავ სამშობლოს, დედას, მაშვიკოს...:

შემოქმედო! ნუ გააგებინებ იმათ ნამდვილ ამბავს! სჯობს
იფიქრონ, ვითომც მე ერთ წუთში გამომასალმა ქვეყნიერებას
მტრის ხასრმა მახვილმა. ვინ იცის, რა დაემართებათ, რაღა
შეიტყობენ, რამე ჯოჯოხეთის ტანჯვით ვიტანჯე რამე, სამი,
ოთხი დღე!


თავ-ბრუ მუხუგავ; მუხობელთან მგზავრობამ სრულიად
დამტანჯა. ამასთანავე ეს საშინელი სუნი! რა ნაირად გამავდა
მძოვრი!... ხვალ და ზევ რაღა უნდა იყოს? მე ვი გვერდზედ
მივხუტებივარ, რადგან ძალა არა მაქვს, რამე მოვძოვდე ცო-
ლათიც არის. დავისვენებ და ეგები ისევ ძველ ალასას ავლელ-
დე; ქარი ხარულამაც იქილამ მოჭჭრის და სიმეცრალეს მომაცო-
ლებს.

ვწევარ და საშინელ უძლურებას ვგრძნობ. სახეს და ხე-
ლებს უწყალოდ სწვამს მზე. არა მახადია-რა, რამე დავიფარო.
ღამე მაინც ძალე დადგეს; გვინებ, ეს მეორე უნდა იყოს.

ფიქრები აირ-დაირივნენ და დაუიწყებაში ჩავარდი.

მე კარგა ბლომად მეძინა, რადგან, რაღა გამომეღვიძა,
უკვე ღამე დამდგარყო. უკვლათუკრი ისევ ძველებურად იყო: იარები
მტკიოდა, უშველებელი მუხობელი ისევ ისე უძრავად ეგდო.

ვცდილობ, რამე არ ვიფიქრო ამხელ, მაგრამ ვერ გა-
ხერხებ. ნუ თუ იმისთვის განვძოვდი ყველაფერს, რაც ვი
ძვირფასი და სანუგავრი იყო ჩემთვის, ათასი კერსი ლაშქრო-



ბაში გაკიარე, დაუიდაგე შიმშილისგან, სიცივისგან, სიციხისგან, წყურვილისგან; ნუ თუ ეხლაც კიტანჯვი მარტო იმისთვის, რომ ჩემის მიზეზით ეს უბედურე გამოსთხოვებოდა თავის წუთი-სოფელს? სამხედრო საქმისათვის ხომ ამ ერთი მკვლელობის მეტი არა გამითეთრებია-რა?

მკვლელობა, კაცის მკვლელობა... ისიც ვინ?... მე!

რამში წასვლა რომ ავიხიარე, დედამ და მაშვიკომ არ დამიშალეს; თუმცა კი ბუკრი იტოვებს. გატაცებული საგნით, დაბრძობებული იდეით, ვერ ვხედავდი მათ ცრემლებს. მე მაშინ არ მუყურებოდა (ეხლა კი მივხვდი), რა ტანჯვა მივაყენე ჩემთვის ძვირფას ქმნილებათა.

ღირს კი მოგონებოდ? წარსულს ხომ ვერ დავბრუნებ.

ბუკრმა ნაცნობებმა უცნაურის თვალთ კი შემოხედეს ჩემს საქციელს. «ე საცოდავი რაღას ეჩინება იქ, საცა არა გაუგება-რა!» რა ნება ჭქონდათ ამის თქმისა? მათი წარმოდგენა ვაჟ-კაცობაზე, სამშობლოს სიუკარულზე და სხვა ათას ამ გვარ საგნებზე, როგორ ეთანხმება ამ სიტყვებს? მე ხომ წარმოდგენდი ყველა ამ ღირსებას იმათ თვალში? მაინც და მაინც, მე—«საცოდავი ვარ.»

აი, გაკწიე კიშინიკოვისკენ, იქ ამკიდეს გუდა-ნახადი და სხვა სამხედრო სამკაულნი. ჩემთან რამდენიმე ათასი კაცი მოდის; იმათში ხუთილდე კაცი თუ მოიძებნება, რომელნიც ჩემსაებ თავის ნებით მოდიოდნენ. დანაჩენები დიდის სიამოვნებით დარჩებოდნენ სახლში, თუ კი ნებას დართავდნენ. მაინც მოდიან, როგორც ჩვენ, «შეგნებულები», და იბრძვიან თუ უკეთესად არა, ნაკლებ ხომ არა და არა. ისინი ასრულებენ თავიანთ მოვალეობას რიგიანად, თუმცა კი ეხლავე მოგურცხლამდნენ შინისკენ, თუ კი ნებას მისცემდნენ.

დილის ნიაკმა დაჭბურა. ძეძვები შეინძრენ, ფრთები შე-
მოჭკრა საამუცად ნამძინარეკმა ჩიტმა. ვარსკლავნი მიბინარდენ,
მუქი, ლურჯის ფერი ცა გაცლიაგდა, ჰატარ-ჰატარა მტრედის-
ფერმა ღრუბლებმა დაჭფარეს ცის კამარა, დედა-მიწას ღამის
სიბნელე ნელ-ნელა შორდებოდა. დაიწყო მესამე დღე... რა
კუწოდო მას? სიცოცხლე? უკანასკნელი სულის კვეთება?

მესამე დღე... განა რამდენი დარჩა? მაინც, რაც უნდა
იყოს, ცოტა. ძალიან დავსუსტდი, და, როგორც ვატყობ, მძოვრ-
საც ვერ მოვშორდები. მალე მეც მაგისტანს შევიქნები და აღარ
შევეზიზღებით ერთიერთმანეთს.

საჭირთა წყლის დალევა. დღეში სამჯერ დაკლე: დილით,
შუადღისას და საღამოთი.

5809

მზე აღმობრწყინდა. მისი დილის მოკამკამე სხივები გაი-
ფანტნენ ძეძვების ტრტებში და სისხლივით წითლად მოჩან-
დნენ. დღეს უთუოდ ეცხლება. რა გახდება დღეს ჩემი მე-
ზობელი!... შენ ეხლაც საზარელი ხარ.

ღიაღ, იგი შესაზარი იყო. თმა გასცვიანდა. მისი ბუნებით
შავი განი გაფითრდა, გაყვითლდა; გასიკუბული პირის-სახე იმ-
დენად დაიჭიმა, რომ ყურს უკან გასკდა. იქ მატლებმა დაიწ-
ეს ფუსფუსი. ფეხები გაუსიკდა და საცკუთებიდგან ამოხეთქა
ჩირქმა და ბაყაძმა. თითონაც ტივივით გაიბურა. რას უზამს
დღეს ამას მზე?

ასე ახლო მასთან წოლის ატანა შეუძლებელია. რაც უნ-
და მომივიდეს, უნდა გადავფოფებდე. მაგრამ შევიძლებ? ხელის
აღებას ვაჩერებ, ხელადის პირის მოხსნასაც, წყლის დალევა-
საც, მაგრამ უძრავი, ტყუილსავე მძიმე სხეულის გათრევას ვი-

ვერ... მაინც რაც უნდა იყოს, ვითუოცხოვრებ ცოტათიც არის, თუნდ ნახევარ ნახევარ ნახევარს მაინც გავიკვლი საათში.

მთელი დღია ამ ხალხში გაკატარე. თუმცა ტვივილი ძლიერია, მაგრამ რა? მე აღარა მესმის-რა, მე ვიდევანტ შეკვირვებულ ტვივილებს. მაინც ამ დღისთვის იმდენი ვიხილე, რომ გახილავდი რა საყენებელ და წინანდელ ალგას მივაღწიე. წმინდა და ჭკრით მაინც დიდ ხანს არ მისარგებლავ, თუ ვი შეიძლება იყოს წმინდა ჭკრით ექვს ნახევარზედ აყრულებული ლეშისაგან. ჭკრით მოხრუნდა და ხელმეორედ იმისთანა სიმყრალე მოვიდა, რომ გულ-მუცელი ამერია. ცარული მუცელი დაიკრუნხს და დაიკლავს; შიგნულადაა ამიქრთდა. ამყრალეული და დაშხამული ჭკრით ვი შიგ ცხვირ-პირში მომდიოდა.

სასწავროკეთილება მომეკვითა და ვიწუე მწარედ ტირილი...

გონება ამერია, მიზნული, ცნობა-მიხდილი ვეკვლი-ურებად... დაქსაქსული წარმოდგენა ხომ არ მატყუებს? მგონია, რომ არა. დიაღ, ეს ხმაურებაა. ცხენების თქრიალი, ხალხის ძახილი. მე ვინაღამ არ დავიღრიალე, მაგრამ შევიჩრდი. თათრები რომ იყვნენ? რა მომივა მამინ? აწინდელ მწუხარებას მიემატებს უარესი, უფრო საზარელი, იმისთანა რომ ჭრხრო ყალფებელ დადგება, მარტო გაზეთშია ც რომ წავითხრა: განს გადავადრობენ და დამსხვრულ თუხებს მწკაღივით შესწვენ... ვიდევ ვარგი, თუ ეს გაკმარეს, მაგრამ ვაცის ტანჯვაში ისინი მოხერხებულები არიან. ნუ თუ უკეთესი იქნება იმით ხელში სიკვდილი, სანამ აქ დაღვობა? მერე ჩვენები რომ იყვნენ? რა! წყურთელ მეძებო! სქელს ღობესავით შემომრტყმინართ გარს!.. მაგათ იქით ვერაფერს ვერ ვხედავ; მხოლოდ ერთ ალგას ცოტებში სანათურით ღია სარკმელი დაჩენილა და იქიდან

ვხედავ შორს ვატარა ღელეს. მგონი იქ ნაკადულისა, საიდანაც
 ღმის წინად წყალსა ვსვამდით. დიად, აგერ უშეკლებელი ფი-
 ლაქანიც მოჩანს, ხიდივით გადაბული ნაკადულზედ. ისინი
 უთუოდ ამ ხიდზედ გაივლიან. ღრინცული შესწუდა. ვერ გაი-
 გე, რა ენაზედ ლაპარაკობდენ, სმენაც ღმისუსტდა. ღმერთო!
 ჩვენები რომ იყვნენ... იე დაუყვირებ, უთუოდ გაიგონებენ ნა-
 კადულიდანაც. ბაშობურუყების ხელში ჩაკადნას, ეს უკეთესი
 იქნება. რაღას იგვიანებენ, რატომ არ მოდიან? მოუთმენელ-
 ბა სულს მიხუთავს; ლეშის სუნს ვერც კი ვგრძნობ, თუძცა
 სიმეწალე სრულებითაც არ შემცირებულა.

ნაკადულის გადასაკლელთან უცბად გამოჩნდნენ ყაზახები!
 ლურჯი მუნდირები, შუბები, წითელი ზოლები! ღრმეც-და-
 ათ კაცამდის იქნებოდა. წინ მიუძღოდა კოხტა ცხენზედ შავ-
 წვერ-ულკაშა აფიცერი. გავიდენ თუ არა წყალს, აფიცერი მარ-
 დად მოტრიალდა უნაგირზედ და უბრძანა აჩქარებინათ ცხე-
 ნები.

— შეჩერდით, შეჩერდით, ღვთის გულისათვის! მიშეკლეთ,
 მიშეკლეთ, ძმანო! ვუვირთი გაშმაგებული, მაგრამ გაათრე-
 ბულ ცხენთა თქრიალმა, ხმალთა წკრიალმა და ყაზახების ხმა-
 ურობამ დაჭტარა ჩემი ხრინწიანი გუნესა. ვერ გაიგონეს ჩემი
 ხმა!...

აო, წყურულ ჩემო ბედო! შეჩვენებულიც ყოფილხარ!
 მიბნედილი, ძალა-მიხდილი დაკეცი პირქვე და დაიწყო ქვითი-
 ნი. წაქცეული ხელადიღამ იღვრება წყალი, ჩემი სიცოცხლე,
 ჩემი ხსნა, ჩემი სიკვდილის დამგვიანებელი. მაშინ შევნიშნე
 ესა, როცა ხელადაში ნახეკარ სტაქანზე მეტი წყალი აღარ
 დარჩა, დანარჩენი გახურებულმა, ხარბმა დელა-ძიწამ ჩანთქა.

განა შევიძლებ მოვიგონო ის გაშეშება და გაფიხსება,

რამეაღიცი მე დამკმარათა ამ საშინელის შემთხვევის შემდეგ?
 გუნძივით ვეგდე დაბლუტოლი თვალებით; ქარი ხშირად იცვლე-
 ბოდა, ხან სისინით დამქროდა და მოჭქონდა წმინდა გრი-
 ლი ჭაერი, და ხან გამხნედავდა ხალხი სიმეურალოთ. ჩემმა მე-
 ზობელმა ამ დღეს ისეთი საშინელი სახე მიიღო, რომ აღწე-
 რატი ვი ძნელია. ერთხელ ავახილე თვალი, რომ შემეხედა და
 შეკმრწუნდი. პირის-სახე აღარ ჭქონდა. ცარიელი ძვლები-და
 იყო. საშინელი ცივი ღიმილი, მუდმივი ღიმილი ისეთი სა-
 ზიზღარო და შესაზარი მეჩვენა, როგორც არაოდეს, თუმიცა
 არა ერთხელ მჭერის ხელში თავის სარქველი და მიჯიჯგინა
 კლანიკაში. ამ ჩონჩხმა, მუნდირში გახვეულმა, ბჭეკრიალსა ღი-
 ლებით განკალი დამაწყებინა. «ეს—აქია, ვითუაქრე მე.—ამ
 მისი ხატება.»

მზე ვი წინანდებურად ივბინება. პირის-სახე და ხელები,
 დიდი ხანია, რატი სრულებით დამეხრუკა. წყალი სულ დაკლიე.
 თუმიცა დავაპირე ერთი ყლახვის დალევა, მაგრამ წყურვილმან
 ისე შემაწუნა, რომ ერთხანად შეესვი. ახ! რატომ ძალიან ხმა-
 მალლა არ დაგუყვირე ყაზახებს, როცა ისინი ისე ახლო იუვნენ
 ჩემზედ! თათრებიც რომ ყოფილიყვნენ, მანც უკეთესი იქნე-
 ბოდა. ბეკრი-ბეკრი ვეცანჯეთ საათი ან რი, თორემ აქ არ
 ვიცი, რამდენ ხანს უნდა ვეგდო და ვეცანჯო. დედა-ჩემო,
 ძვირთვასო ჩემო დედა! თუთრ ნაწინავებს გაიბდღენი, ვედელს
 თავს ახლი, დასწყევლი იმ წუთს, საათს, როცა მე დამხადე,
 დასწყევლი მთელ კაცობრიობას, ქვეყანას...

მაგრამ შენ და მამაკო, მგონი, ვერც ვი შეიტყობთ ჩემ
 ცანჯვას. მშვიდობით დედილო, მშვიდობით, ჩემო საცოლო,
 ჩემო პირველო სიყვარულო რხ, რა სამწუხაროა და უნუგემო
 ჩემი ბედი! გულისზედ რაღაც მომაწვა და მღრღნის შეუბრალებლად.

ისევე ის თეთრი ფინია მელანდებს! მეგარეს ის არ შეს-
ტყობია, უხეთქა თავი კედელზედ და გადაადგო ორმოში, სა-
ცა ნაგავსა ჭურთან და ნარეცხს წყალს ასხამენ. ჯერ კიდევ ცო-
ცხალი იყო და იტანჯა მთელი დღე. მე იმაზედ უბედური ვარ,
რადგან ვიტანჯვი მთელი სამი დღე. ხვალ—მეოთხე იქნება,
მერმე მებუთე, მექვსე... უღმობულო სიკვდილო, სადა ხარ?
მოდი, მოდი, გვედრები, და მომისზე მწარე სიტყვებზე!

მაგრამ სიკვდილი არ მოდის და არ მიუყვარ. კვდივარ
საშინელ სიტყვში და არა მსჭვს ერთი წვეთი წყალი, რომ გა-
ვიგრძლო აღგზნებული ხახა; თან ლეშიც მშხამავს. იგი მთლად
დაიშალა. მიჯიონზედ მეტი მატლები ცვივიან მისგან. ოო,
რა ნაირ ფუსფუსებენ! რა ცა იმას შეჭამენ და მუნდირისა და
ძვლების მეტი არა დაჩიება-რა, მერე—ჩემი რიგი მოვა. მეც
აგრე დამხრამენ.

გაიარა დღემ, გაიარა ღამემ. ისევე ისეა, რაგორც წინად
იყო. დადგა დილა. ისევე ისეა, რაგორც იყო. მიდის კიდევ
დღე...

ძეძუები შეინძრენ და შრიალებენ, თითქოს ერთიერთმა-
ნეთს ემუსაიფებინო. ააი, მოკვდები. მოკვდები, მოკვდები».
ღუღუნებენ ისინი. აკრა ნახამ, კერა ნახამ! უზასუხებენ ძეძ-
უები მეორე მხრიდან.

— აჰ იმათ რას დაინახამ! წგრალით გაისმა კაცის ხმა ჩემს
გვერდზედ.

მე შევჭრთი და უცხად გონს მოკვდი. ძეძუებიდგან ჩაჩე-
რებით მიცქეროდენ ჩვენი ეფრეიტორის, აკოკლეკის, კეთილი
თვალები.

— ნაჩუბი! ჭყვირის იგი. — აჰ კიდევ ორია. ჩვენი და იმა-
თი!

— საჭირო არ არის ნიბები, ნუ დამძარხამთ. ცოცხალი ვარ! მინდა დაგიუვირო, მაგრამ მხოლოდ სუსტი კუნთებისა და ხმის მიმხმარებელი ტუჩებიდან.

— ღმერთო ჩემო! ცოცხალსა ჭგავს! ბატონი ივანოვი! ხალხო, მომხმარებო, ჩვენი ბატონი ცოცხალი ყოფილა! არაქათ, ჩქარა ექიმი!

ნახევარ წუთის შემდეგ პირში ჩამიშვეს წყალი, არაფერი და სხვა სასმელები. მერმე ყველაფერი გაჭქრა.

მშვიდად, ღიანი ინძრევს ტანტრეკანი. ამ გვარში მშვიდი ინძრევს ნაინასავით მამშვიდებს. მე ხან ჩამეძინება, ხან გამომეღვიძება. შეხვეული ჭრილობანი აღარა მტკივს; კალატი ტუბილი, გამოუთქმელმა გრძნობამ დაუჩინა ჩემ სხეულს...

ჰეტრე ივანეს ძე, ჩვენი საზარეთის აფიცერი, კაცი ძალიან, გამხმარი და ძალიან კეთილი ერთგულად აძლევს ბრძანებას, თუ როდის დაუშვან ტანტრეკანი, როდის ასწიონ, როდის რაიმის სანიტარებმა იმეჭიდონ და სხვ., საზოგადოროდ ხერხიანად თადარიგობებს. იგი ისე ძალიანა, რომ მთავრდება თუ არა გვერდზედ, ყოველთვის ვხუდავ მის მხრებს, თავს და თხელ გრძელ წვერებს, თუძცა ტანტრეკანი მიაჭეთ მთხ ზეობა საფლათს.

— ჰეტრე ივანი! წავსხურხულო მე.

— რა იყო, ჩემო თვალის სინათლე?

ჰეტრე ივანიმ ჩემსკენ დაინარა თავი.

— ჰეტრე ივანი, რა გითხრათ დოქტორმა? ჩქარა მოვკვდები?

— რას ხუმრობ, ივანოვი! რა მოგვლამით, რომ არც ერთი ძვალი არ გაჭეთ გატეხილი. ამ ბედნიერი კაცი! არც ძულები,

ანტონი ანტონიუმი ანა აქვს დაშავებული. ეს სამ-დღე-ნახევარი
 რაგონი გაქვით? რას სჭამდით?

— ანაფრს.

— სასძელი?

— თათარს ავსენი ხელადა. პეტრე ივანის, ესა ან შე-
 მიძლიან ლაპარაკი. მერძე.

— ღმერთმა ხელი მოგომართოს, დაიძინე ჩემო კარგო.
 ხელმეორედ ძილი, მივიწყება...

დივიზიის ლაზარეთში გონებაზედ მოკუდი, თავს მადგა-
 ნან ეჭიბები, დანი მოწყალებისა, ვხედავ აგრეთვე ნაცნობ გამო-
 ჩენილს პეტრეზურგის პრეტესსორს, რომელიც, წელში დახ-
 რილი, ჩემს ფეხებს დასტყერის. მისი ხელები სისხლითა მო-
 თუთხნული. დიდ ხანს ან უპრეწიალია ჩემს ფეხებთან, შემ-
 დგო მომიბრუნდა და მითხრა:

— ბედნიერ ვარსკვლავზედ ყოფილხარ დაბადებული, ყმაწვი-
 ლო? სიკვდილს გადაჩიით. ერთი ფეხი თუმიცა ჩვენ დავიტო-
 კეთ, მაგრამ რა ვუყოთ, ეს ანაფრია. შეგიძლიანთ ლაპარაკი?
 ლაპარაკი შევძელ და ვუამბე ყველაფერი, რაც აქ არის
 დაწერილი.

ა. შრონელი.

ქ. ხარკოვი.

10 იანვარი, 1885 წ.

ასული ფარაონისა

ისტორიული რომანი

(გაგრძელება *)

III

სტუმრები წავიდ-წამოვიდენ.

აუკავებულ მღელღებულ მოსულს სეტყვასავით მოხვდა სიბაჩიელის სიტყვები სტუმრების გამხიარულებულს გულს; თვით რომღებისა გათვითრებულ იდგა და თრთოდა დაცარქილებულს მოჩთულს ოთახში. გაკაშკაშებულს სინათლის მაგივრად უსამოვნო სიბნელე მოუთინა აჩუღ-დაჩუღს სუთრას. გაღებულ კარებიდამ ცივი ჭყარი შემოდოდა, წადგანაც თენდებოდა და ეკვიპტეში უკვლავად ძალიან მზის ამოსვლის წინად აციკდება ხალხი. სუბუქად ჩაცმული მოხუცებულ რომღებისა განკალებდა. უცრემლო თვალებით ათვალიერებდა დაცარქილებულს ოთახს, რომელიც ამ წამდენსამე წამის წინად გამხიარულებული იყო სტუმრებით. იგი ადარებდა თავის გულის მდგომარეობას ამ დაცარქილებულს ოთახს. იმას ეგონა,

*) «ივერია» № 1, 1885 წ.

რომ წაღაც უხრამდა გუფს და სისხლი ძარღვებში ეყინებოდა.

დიდ ხანს იდგა ასე, სინამ არ მოვიდა მისი ძველი მოახლე მონა და არ გაუნათა საწოლი ოთახი.

მღუმიწვედ იდგა წოდებისი, წოდესაც მოახლე ტანისამოსს ხდიდა, მღუმიწვედვე იყო, წოდესაც ფარდა გადასწია, რომელიც მის საწოლს მუცრე საწოლისაგან ჭყრთვდა. ამ მუცრე საწოლის შუა ნაკერხელის ხის კრატო იდგა და მასვედვე მატყლის ნაწილი, თეთრის ზეწრით და ბატი ცის-თერის საბნებით გადაფარებულა, მასვედ განისვენებდა მომხიბლავი, მშვენური ქმნილება; ეს იყო საძოვ, წოდებისის ქალი-შვილი. ეს ნაწი მდიდრული ტანი, ეს მშვენური მოყვანილი სახე ეგუთვნოდა ქალს, რომელიც ეს იყო ახლად იფურჩქნებოდა, ხელთ ნეტარი, მშვიდი ღიმილი — უღარდელს ბედნიერს ბავშვს.

ერთი ხელი, რომელზედაც განისვენებდა მშვენური თავი მძინარე ქალისა, დამალული იყო სქელს მუჭ წაბლის ფერს თმებში; მუცრე ხელი ოდნავ ეხებოდა მწვანე ქვისაგან გაკეთებულს თილისმას, რომელიც ეელზედ ეკიდა. დახუჭულის თვალების გრძელი წამწები ოდნავ ირხეოდენ; მძინარის ღრუები ნაწი ვარდის, ფრად ღვიოდენ, ცხვირის ზატარა ნესტოები ებერებოდენ სუნთქვის გამო. ასე ხატაკენ უმანკობას, ასე უღიმდება ოცნებითი სიმშვიდე, ასეთს ძილს უგზავნიან ღმერთები უღარდელს ყმაწვილობას.

ფეხის თითებით ეზარებოდა წოდებისი ამ მძინარე არსებას. გამოუთქმელის სინაზით დაჭყურებდა იგი მძინარის მდომარს ზირის-სახეს, ჩუმიდ და მღუმიწვედ დაიჩოქა კრატის წინაშე, სითურთხილით ჩაეკრა რბილს საბნებს, ასე რომ მძინარის ერთი ხელი იმის თმებს ეხებოდა. შემდეგ მან დაიწყო

ტირლი, თითქოს უნდოდა ამ ცრემლებით ჩამოეხანა თავისი უწინდელი შეურაცხება და მოზღვაკებულად მჭმუნვარება.

ბოლოს იგი წამოდგა, ერთი აკრცა მძინარეს შუბლზედ, ჯოჯოხით აღაშურა ზეცისადმი ხელები და დაბრუნდა თავის სათახში ისევე ჩუმად და თვრთხილად, როგორც მოვიდა.

მას დახვდა ჯოჯინთან ძველი მოახლე, რომელიც მას უფროდა.

— ამ დროს აქ რათა ზიხარ, მელოცა? უთხრა მან მშვიდად და ალერსიანად. წადი დაიძინე, ხომ იცოდა რომ შენ ჩემთვის საჭირო აღარა ხარ. მშვიდობით, ხვალ სინამ არ დაგიძახებ, არ მოხვიდე. მგონია, მე ამალამ არ დამეძინება და დიდად გაძენარდება, თუ დილით მაინც ჩამთვლემას.

მოახლე ყოყმანობდა: ეტყობოდა რისამე თქმა უნდოდა.

— შენ, გეტყობა, გინდა რამე მთხრო? ჭკობისა როდობისმა.

როდობისი ისევე ზეზე იდგა და უცდიდა პასუხს.

— თქვი, რაღა, მალე თქვი!

— მე გნახე შენ, როგორც ტირლი, დაიწყო მოახლე: შენ ან გაჯაკრებულად ხარ და ან უქვითოდა. არ შეიძლება მთელს ღამეს შენთან დაკრჩე? მითხარ, რა გაწუხებს? შენ არა ერთხელ გამოგიცდია, რომ, როდესაც შენს დარდს სხვას გაუზიარებ, გული გიმშვიდდება და მწუხარება მცირედს არის გაქარდება. დღესაც მანდევ შენი მწუხარება; ეს შენ ტვირთს მოგხსნის და დაუბრუნებს შენს გულს დაკარგულს სიმშვიდეს!

— არა, მე ჯაპარაკი არ შეიძლება, უთხრა როდობისმა.

შემდეგ მან განაკრძო საუბარი მწარის დიმილით: — მე კვალად დაკრწმუნდი, რომ არც ერთს ღვთაებას არ შეუძლიან აღვარს

კაცის წაწმენდი და რომ უბედურება და შეტყუება განუყრდნობ
და-ძმანი აჩიან! მშვიდობით, თავი დამანებე მელოცა.

მეორე დღეს, შუა-ღამის დროს, იგივე ხავი, რომელითაც
წინა-ღამეს ათინული და სპარტანული მოვიდენ, მოადგა რომ-
დღობისის ბაღს.

მზე ბრწყინვალედ და მხიარულად იუყრებოდა ეგვიპტის
ლავარდის ციდაძე, ყველგან წმინდა ჭერი მეფობდა, ჭრიჭინე-
ბი მხიარულად ჭრიჭინობდენ; მენაკენი მალაღის ხმით მღე-
როდენ, ხილასის ნაპირები ჭყვაროდენ, ბაიროლები ფრიალობ-
დენ, ერი მოძრაობდა; ბზა, აკაცია და სხვა ხეები ისე მშვე-
ნიკად აყვავებულყვენ, რომ მგზავრი იფიქრებდა, — ამ აწყ-
მარდამ ყოველივე უბედურება განდევნილიყო, რომ აქ აჩის
სადგური ბედნიერებისა და სიხარულისა.

როდესაც სოფლის ახლოს გავივლით ხოლო, რომელიც
აყვავებულს ხეივანებშია ჩათვლილი, რამდენჯერ გვიფიქრია, რომ
ეს სოფელი მეუღრობისა, გულ-გუთილობისა და ბედნიერების
სადგური იქნებაო. მაგრამ საკმაო ამ სოფლის სახლებში
ერთხელ შესულა, რომ დანახო მათში, როგორც ყოველ-
გან, სიღარიბე და სიგლახაკე, სურვილი და გულის-თქმა, ში-
ში და სინანული, ჭმუნვა და მწუხარება, სიხარული კი საუბე-
დურად ყველანაირად ნაკლებად აჩის! ვინ იფიქრებს, რომ ეგვი-
პტეში, სადაც მზე ყოველთვის ბრწყინვალეა, რომლის ცაც
აჩისოდეს არ მოიღრუბლება, ხალხი ყოველთვის მოწყენილია
და გაბრაზებული? ვის მოუვიდოდა ფიქრად, რომ რომდობისის
მშვენიერს, ყვავილებში შთანთქმულს სახლში სძვეს გული,
დატვირთული ღრმა მწუხარებით? რომელი სტუმარი იფიქრებ-
და, რომ ეს გული ეგვიპტისის რომდობისს, რომლის სახესაც
ყოველთვის დიდილი ეთამაშებოდა?

ფერ-მკრთალი, მაცრამ, რეგულაც ურკულთვის, მშვენიერი და ალერსიანი იჯდა იგი ჭანესთან ერთად შადრევანის ახლო. ერთუბოდა, რომ იგი ტირიდა. ათინელს დაეჭირა მისი ხელები და ნუგეშის-ცემას ცდილობდა.

რადგან მისი მოთმინებით უგდებდა მას ყურს, ხან მწარედ გაიღიმებდა და ხან კმაყოფილების ნიშნად თავს უჭნეკდა. ბოლოს მან გააწყვეტინა საუბარი თავის მეგობარს და უთხრა:

— გმადლობ ჭანეს! ადრე თუ გვიან ეს შეუტრახებდა უნდა დავიწყებულ იქმნას. დრო კარგი მკურნალია. მე რომ სუსტი ხასიათისა ვიყუ, ნაუკრატისს დაუტოვებდი და განმარტოებულს ადგილას მხოლოდ ჩემი ქალიშვილისთვის ვიცხვრებდი. ამ ნორჩს ქმნილებაში მთელს ქვეყანას სძინავს. ათასჯერ განმიზრახავს ეგვიპტის დატოვება და ათასჯერვე დამითრგუნია ეს სურვილი. მე იმისთვის რომ ვჩივებდი აქა, რომ მიძულა შენის სქესის გაცემისაგან თავუანის-ცემას; იმოდენა თავუანის-მცემელნი მეუანდენ, რომ დიდი ხანია გულად ასუყებულნი მსჭვს. მე სუსტს ქმნილებას, ერთხელ საზიზღარს მონად ყოფილს, ის მანუგეშებდა, რომ მე შემოდლიან მცირე დენი საჩებულბის მოტანა და ზოგჯერ უსათუოდ საჭირლც ვიყუ თავის-უთვალ კეთილშობილ პირთათვის. რა-კი მიჩვეულნი ვიყავ ვაჟ-გატთა შორის მოქმედებას, მე არა კმაყოფილდებოდი ერთს საყვარელს არსებაზედ მზრუნველობით; მე გავხმებოდი ნაყოფიერ ადგილიდამ უნაყოფა ადგილს გადარგულ მცენარესავით და ჩემი ქალი-შვილი სრულად ობლად დაჩივებოდა ამ ქვეყნად. მე ეგვიპტეში დავჩივები!

— ეხლა, შენი წასვლის შემდეგ, მე სწორედ საჭირლ ვიჭნები ჩვენი მეგობრებისთვის. ამასისი მოხუცებულა; თუ რომ იმის შემდეგ ფსამეტისი დაჯდება მეფედ, ჩვენ დიდ გავტარებას-

თან მოგვიხდება ბრძოლა ელინთა თავისუფლებისა და კეთილ-
 დღეობისათვის. ეს არის საგანი ჩემის ცხოვრებისა. ამ საქ-
 მეს მით უფრო გულ-მოდგინედ ვემსახურები, რამდენადაც ქა-
 ლი იშვილთად გაბედავს ამისთანა საქმეს ემსახუროს. დაე-
 სთქვან, რომ ჩემნაირი მოქმედება ქალს არ შეეძენის. ამ ღამეს,
 რომელიც ცრემლების ღვრით გაკატარე, ვიგრძენ, რომ გავნ-
 თავისუფლებულვარ ბევრი ქალური უღონობისაგან, რომელიც
 ერთსა და იმავე დროს ჩემს სქესის ბედნიერებასა და უბედუ-
 რებას შეადგენს. დავიცვა ჩემს ქალი-შვილში ეს უღონობა,
 რომელიც შესამებულაია ნაზ ქალურს ქცევასთან, შეადგენს ჩემს
 უბირველეს სურვილს; მერე ჩემი სურვილი ის არის, რომ
 ქალური გულ-ჩვილობა დაკუთვდეს, მაგრამ იმდენი დონე არა
 მაქვს, რომ ჩემი ბუნება დაკდილია და თვით მე არ დავიმარცხდე.
 რადესაც მე მწუხარება მტანჯავს და მზად ვარ სასოწარკვეთი-
 ლებას მივეცე, მაშინ ერთად-ერთი ჩემი წამალი ის არის, რომ
 მოვიგონო ერთა შორის საუკეთესო ჩემი მეგობარი პიჭაგო-
 რი და მისი სიტყვები: ადაიცევ ზომიერება ყველაფერში, ერთ-
 დე რეგულარე უდიდეს სიხარულს, ისე უდიდეს მწუხარებას,
 და ეცადე შეინახო შენი გული ისე ჭარბონიულად და ტკბი-
 ლად, რეგულარე კარგა მომართულის ქნარის სიმები! ამ პი-
 ჭაგორულს სულერს ქვეყანას, ამ ღრმა დაურღვეველს სუ-
 ლის სიმშვიდეს ყოველ-დღე ვხედავ ჩემს საძირში. ეხლა მე
 დამშვიდებულნი ვარ! შენ ვერ წარმოიდგენ, რა დიდი გაკლენა
 აქვს ჩემზედ, რადესაც მოვიგონებ ამ თვითსოფლისს, ამ და-
 მშვიდებულს და თავ-დატყობილს ვაძს. ამ ვაძის მოგონება ისე
 მატკობს, რეგულარე ტკბილი და ნაზი საკრავის ხმა. შენც
 კარგად იცნობდი მას და ჩემი მაზედ საუბარი რაღა საჭიროა.
 ეხლა გთხოვ მითხრა, რა გაქვს ჩემთან სათხოვარი. ჩემი გუ-

აი ისე დამშვიდებულა, წარგონიერ ნიჭისის ზვირთები, წარმედიც ჩვენს წინ ასე მშვიდად აქანავენს თავის ტალღებს. ვარგისა თუ ცუდი—ეს შენ მითხარა და მე ყურს დაგიგდებ.

— აი სწორედ ეგ მამწონს შენი, უთხარა ათინუღმა.— შენ წამი უფრო ადრე მოგეგონებინა სიბრძნის კეთილშობილი მეგობარი, — წარგონიერ პიჭაგონი ეძახოდა თავის-თავს, — მაშინ შენი გული გუშინვე იგრძნობდა სიმშვიდეს. მასწავლებელი თხრობდა, წამი ჩვენ ყოველ დამ შევიძინეთ შემთხვევანი, გრძნობანი და აზრნი გაკლდის დღისა. შენ წამი ასე მოქცეულა, შენის თავისთვის უნდა გეთქვას, წამი შენი მეგობრების არა ფარისკულურს გაკვირვებას დამთვრალი კაცის ჯანბლვა ერთი-ათასად სჭარბობდა; შენ შენი თავი ღმერთების საყვარლად უნდა ჩაგეთვალა, წადგან შენს სახლში უკვდავ არსებათა მომადლეს კეთილშობილს მოხუცს უდიდესი ბედნიერება, წარგონიერ კი კაცს ბედი არგუნებს, შემდეგ დიდის ხნის ტანჯვისა; ბოლოს ღმერთებმა, მოგაშორეს რა მეგობარს, მაშინვე მოგანიჭეს სხვა, უფრო ღირსეული, მეგობარი. წინააღმდეგობა უგამიხდები და ნება მიბოძე გითხარა ჩემი სათხოვარი.

«შენ უკვე უწეი, წამი მე ხან ათინულს მეძახიან და ხან გალიკარნასულს. იონიულნი, დორიულნი და ელიიულნი დაქირავებულნი კაცები დიდი ხანია უკრა რიგდებიან ვარდიულს კაცებთან; ამისთვის ჩემთვის, წარგონიერ წამი ნაწილის უფროსს, განსაკუთრებით სასარგებლო იყო ჩემი წარგონიერ ჩამომავლობა. რაც უნდა საუკეთესო ღირსების კაცი იყოს არისტომანი, ამისთვის ჩემს მოშორებას მაინც იგრძნობს; მე ადვილად მოვარდობები ხელში ჩემი წამის სხვა-და-სხვა ჯურს კაცებს, მაშინ წამი სხარტანულს ეს ძალიან გაუჭირდება.

«ამ ჩემს წარგონიერ ჩამომავლობას შემდეგი მიზეზი აქვს.

მამა-ჩემმა გალიკარნასული ქალი შეიერთა და. რადესაც დედა-ჩემს დედ-მამა დახორცადა, მამა-ჩემს გალიკარნასში ეცხორა მეძვი-დრეობის მისაღებად და აი, სწორედ ამ დროს დაებადებულვარ მეცა. თუმიცა მესამე თვეს მე ათინაში წაკეყანეთ, მაგრამ მე მანც კარული ვარ, რადგანაც კაცის სამშობლო ის არის, სადაც დაებადა.

«ათინაში მე, როგორც ახალ-გაზდა წარმომადგენელი გამოჩენილის აიაქსის გვარისა, აღვიზარდე არისტოკრატიულის ამპარტავნებით. მამაცი და ბრძენი პიზისტრათი, რომელიც ჩვენსათანავე გვარისა იყო და შთამომავლობით არა გვჯობდა (მამა-ჩემის გვარზე გამოჩენილი გვარი არ არის) მოახერხა უმაღლესი უფლების ხელში ჩაგდება. შეერთებულის ძალით არისტოკრატამ რჩვერ მოახერხა მისი დამარცხება. რადესაც მან მოინდომა დაბრუნება მესამედ, აღიღამის, ნიკოსულის, არგოსულების და ერეტრიელების შემწეობით, ჩვენ მას წინააღმდეგობა გაუწიეთ. რადესაც საუზმის წინ მსხვერპლსა ვსწირავდით ღმერთს ქალს, გონიერი მმართველი უეცრივ თავს დაგვესხა, შეება ჩვენს უიარაღო ჯარს და მცირე-ოდნად გაიმარჯვა. რადგანაც ჯარის ნახევარი, რომელიც მტარვალს ემორჩილებოდა, მე მომანდგეს, ამისათვის გადავწვიტე მოვძვედარაყავ და უკან გი არ დამეწია. მე ვიბრძოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა, ვამხნეებდი მეომრებს და არ ვბრუნდებოდი უკან, სინამ შუბით მხარში არ დამჭრეს.

«პიზისტრატები შეიჭმნენ ათინის მმართველნი. მე გალიკარნასში გავიქეცი, ჩემს მეორე სამშობლოში, სადაც თან გამოძევა ცოლი ჩვენის შვილებით, რა-გი ეკვიპტის დაქირავებული ჯარის უფროსობა მივიღე, — რადგანაც ჩემი სახელი განთქმული იყო ვაჟ-გაძობით.

«ჩემი ცოლი წარსულს წაფხულებს მოკვდა: შვილები—
კაცი თერთმეტის და ქალი ათის თვისანი გაფიქრებასში დაჩ-
ჩენ თავის დეიდასთან. მაგრამ დეიდაც ძალე მოუკვდათ. ამ
რამდენიმე დღის წინად მე განკარგულება მოკახდინე, რომ ჩე-
მი შვილები აქ მოიყვანონ; მაგრამ იგინი ნაუკრატისში სამს
კვირახე აღრე არ მოკვლენ და უსათუოდ ეხლა წამოსულნი იქ-
ნებიან, ასე რომ მეორე ჩემი განკარგულება კვლავ მიუსწრობს.

«ოღონე კვირის უკან ეგვიპტიდამ უნდა წავიდე, ჩემს შვი-
ლებს აქ ვერ დაგუხვდებათ.

«მე გადავწყვიტე წავიდე ძრავის ხერხონესში, სადაც
ბიძა-ჩემი, რეგორც შენც იცი, დოქტორების ერმა მიიწვია.
დაე იქ წავიდენ ჩემი შვილებიც. ვერცა, ჩემი ერთგული მო-
ნა, ნაუკრატისში დაჩჩება, რომ ჩემი შვილები ჩემთან მო-
ყვანოს.

«თუ რომ გინდა მეგობრობა დამიმტკიცო, ჩემი შვილები
მიიღე და იქამდის გუადენ, სინამ ძრავისში რომე-
ლიმე გემი არ წამოვიდეს, დაუძალე იგინი ტახტის მეგობრ-
ის, ვსამეტისის, ჯაშუშებს. შენ იცი, რომ მე მას საშინ-
ლად ვძულვარ, და იქნება ჩემი ჯავრის ამოყრა ჩემს შვილებ-
ზედ განიზრახოს. მე შენ გთხოვ ამას პირველად იმისთვის,
რომ შენი გულ-კეთილგობა ვიცი; მეორედ იმისთვის, რომ შე-
ნი სახლი, მეუღის ფარმანის გამო, არის სადგურნი, სადაც ჩე-
მი შვილები პოლიციის გამოკითხვას ასცილდებიან, რადგან
პოლიციის ვალდებულება იცოდეს ყოველი უცხო ქვეყნელი, მათ
შორის ბავშვებიც.

«ხედავ, რა დიდი პატივის-ცემა მაქვს შენი: მე გახარებ
შენ ერთად-ერთს საუნჯეს, რომელიც მე სიცოცხლეს არ მა-
ძულებს. არც სამშობლო ჩემთვის ძვირფასი, სამარცხვინოდ

მტარვალის წინაშე იდრიკება. გსურს დაუბრუნო მშვიდობა ადულებულს მამის გულს? გსურს თუ არა?...

— მე ყველაფერზედ თანახმა ვარ, ჭანეს! უთხრა როდობისმა სიხარულით. — შენ მე არაფერს არა მთხოვ, პირქით მისახულებ. რხ, რა ნაირად მიხარვან ბავშვების მოსვლას! და რა ნაირ გაცხადება საძმოს, როდესაც საყვარელი არსება. ნი მოკლენ და გაამხიარულებენ! მაგრამ წინადაც გეუბნები, ჭანეს, რომ მე არასოდეს არ ვიზამ, რომ ჩემი პატარა სტუმრები ჭრავიაში პირველად წამოსული გემით გამოვიგზავნო! შეიძლება ნახევარს წელს დასთმო იგინი; პირიქითს გაძლევ, რომ აქ ყოველისთვის კარგად ვასწავლით.

— მე მაგისტრის არ შეგწუხდებოდო, მიუგო ჭანესმა მადლობის ღიმილით: — მაგრამ მე მაინც გთხოვ, რომ იგინი პირველად წამოსული გემით გამოვიგზავნო. მე ძალიან მეშინიან პსამეტრის ღვარძლიანის გულისა. წინადაც გიხდით მადლობას ჩემის შვილების სიყვარულისათვის, მეც ვი ვფიქრობ, რომ იგინი კარგი გამრთობნი იქნებიან საძმოსი.

— მას, გააწყობინა როდობისმა და დაღუნა თავი: რადგანაწ შენ აგრე ეწმუნები ჩემს დედობრივს გულ-კეთილობას, აღარ მივაქცევ ყურადღებას იმ შეურაცხებას, რომელიც ლათმას კაცმა მომაყენა! მაგრამ აი საძმოსც მოდის!

IV

ხუთმა დღემ რომ გაიარა როდობისის სახლში ნადიმობის შემდეგ, საიის ნავთ-სადგურში რაღაც დიდ-ძალი ერის მოძრაობა სჩანდა. ყველა წოდების და სქესის ეპიპტულები

წყლის ნაპირს იდგნენ. პოლიციელები, შეიარაღებულნი გრძელის ჯოხებით, წესიერებას იცავდნენ.

ერთს მხარესაც ეგვიპტელის დიდებულნი და მხედრობანი იდგნენ. მათ შორის ჩვენი ნაცნობი ანდრეასი იყო; იგი იდგა რაკდენსამე ბერძნის ჯარის-კაცებთან ერთად მოედანზედ, რომელზედაც შესამეტის 1-ის ძეგლი იდგა და წყალს გადაჭყურებდა. მათ წინ მდიდრულად მოართული ტახტის შემკვიდრე შესამეტისი იჯდა კერცხლით მოჭედელს სულზედ; გასცხვია სასახლის დიდებულნი და მეფის მეგობარნი, რომელთაც ხელში სიწმინდის ფრთებით შემკული ჯოხები ეჭირათ.

«ერი დიდი ხანი მოუთმენულად ყვიროდა, ძღუროდა და იცინოდა; ქურუმები და დიდებულნი კი მღუმიანად იდგნენ. მაგრამ აგერ გამოჩნდნენ გემის ცისფერი და წითელი ფარხის აფრები.»

«ერი აღტაცებაში მოვიდა, დაიწყეს ყვირილი: «მოდან, აგერ ისინი! — გაფრთხილდი, კატას ფეხი არ დაადგა.» — «ძიძაკ, ბავშვი მაღლა დაიჭირე, რომ დაინახოს რამე!» — «შენ მე ვიცი წყალში გადამაგდებ!» — «შეხედე, ფინიკულა, ბავშვები წვერში ეკლებს გასკრიან.» — «ეღინელო, არ გგონოს, რომ ეგვიპტე მარტო შენ გაკუთვნოდას, რადგანაც ამანისი ნებას გაძლკუთ წმინდა მდინარის ნაპირზე იცხორებს!» — «უსვინიდილოები არიან, ეს ბერძნები! დაიკარგონ!» დაიყვირა ერთმა. «დაიკარგნენ ღორობის მჭამელნი, ღმერთების უარ-მყოფელნი!» იძახოდნენ აქედ-იქიდან.

უსათუოდ ჩხუბიც მოხდება, თუ რომ პოლიციელებს არ დაემშვიდობინათ მოჩხუბარნი. თან და თან უფრო კარგად გამოჩნდნენ გემები. ეხლა კი დიდებულნიც და ტახტის შემკვიდრეც ფეხზედ წამოდგნენ. მეფის მუზიკამ დაუკრა და პირველი გემი

წელის ნაპირს მოადგა. ნაკი მდიდრულად იყო მოწითული; შუაზედ თქრის ბაღდახინი იდგა. გემის წინ თრიაკე მხარეს თორმეტ-თორმეტი მომსმელები იდგნენ და ნაიბებს უსვამდნენ. ბაღდახინის ქვეშ ეჭვსი კაცი იწვა, მდიდრულად მოწითულნი და წამოსადგენი. სინამ გემი ნაპირას მოდგებოდა, უნცროსი მათგანი, რომელსაც ქერა ხუჭუჭი თმა უმშვენებდა თავს, გადმოხტა წელის კიდევად. მის დანახვასად ბევრმა ეგვიპტელმა ქალმა შეჭყვირა და თვით დიდებულმა ქალებმაც გააღიძეს. კაცს, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა ქალები, ბარტის ერქვა და იყო შვილი გადაცვალეულის და ძმა ცოცხალის სპარსეთის მეფისა. ბუნებას მისთვის ყოველისთერი მიენიჭებინა, რასაც კი თორმეტი წლის ემაწვილა ინატრებს. მის თვალებში სჩანდა სიცოცხლე, მხიარულება, გულ-კეთილობა, გამბედაობა და ამპარტავნება; მისი კეთილშობილური სახე, რომელიც ის იყო წვერით ახლად იმოსებოდა, ღირსი იყო დახატვისა: მოყვანილი ტანი ღონესა და სიმარდეს უმტკიცებდა. ტანისამოსის სიბრწყინვალე მის სიმშვენეურს ეფერებოდა, მაჭვებზედ ძვირთასი სამაჭურები ჭქონდა გაკეთებული. გულზედ თქრის ძეგლი ეგდო.

ეს ემაწვილი პირველად გადმოხტა ნაპირზედ. მას გადმოჭყვა დარი ჭისტასპის შვილი, მეფის ჩამომავლობის ემაწვილი კაცი, რომელიც ბარტის, მხიარულ უფრო ცოტა სადად ეცვა. მესამე იყო ჭაღარა-თმიანი მოხუცი, რომელსაც სახეზედ, ემაწვილური გულ-კეთილობა, მოხუცის გამოცდილება და ვაჟ-კაცის გონიერება ეტყობოდა. იგი სრულად სადა შეხედულობის კაცი იყო, მაშინ რომელიც ეს სადა მოხუცი, რამდენიმე წლის წინედ იყო ისეთი კაცი, რომელსაც ყველანი შერით უტყობდნენ და რომლის სახელსაც თრიაკის წლის შემდეგ

ძალის მდიდარს ვაძებს ვარქმევთ ხელმე. ეს იყო გრეზი, ტახტიდამ გადმოგდებულად ჯიდიის მეფე, რომელიც, რომელიც მეგობარი, მაშინ კამბიზის სასახლეში სცხვრობდა და რომელიც ეხლა ბარტიას თან მოჰყვა.

მათ თან გადმოჰყვნენ: არქისასპი, სპარსეთის მეფის ელი, ფოხარი, მეღაბიზის შვილი, კეთილშობილი სპარსელი, მეგობარი ბარტიასა და დარისა; ბოლოს გამოჩნდა, მოყვანილი ტანისა და თურ-მკრთალი შვილი გრეზისა — გიგესა, რომელიც მთხის წლისა დამუნჯდა და კვალად ამოიღო ენა, მამის შესახებ შიშის გამო, რომელსაც მტრმა სარდესი აიღო.

პარტიის სტუმრების მისაგებებლად წავიდა. იგი ცდილობდა მხარულად ყოფილიყო. დიდებულნი, რომელნიც მას თან მისდევდნენ, უცხო ქვეყნელების წინ თითქმის დაემხნენ და მერე ხელე-ჩაშკებულნი დადგნენ. სპარსელებმა გულზედ ხელე-ბი გადიჯვარდინეს და ტახტის შემკვიდრის წინ თავი მოიხარეს. ამის შემდეგ, ბარტიამ, რომელიც მიჩვეული არ იყო ამისთანა ამბავს, თავის ქვეყნის ჩვეულებისამებრ, გადაუგონა ყვითელი ლაყები ეგვიპტის შემკვიდრეს და წავიდა ტახტრევანებისკენ, რომელნიც მათთვის იყვნენ მომზადებულნი სადის სასახლეში მისასვლელად.

ერთი ნაწილი ერისა უცხო ქვეყნელებს უკან გაჰყვა; მაგრამ მომეტებული წილი მაყურებელთა კი თავის ადგილზედ დარჩენ, რადგანაც სხვა, უფრო კარგს სანახავს მოელოდნენ.

— აქნება შენც გინდა მოერთულს მაიმუნებს უკან გამოუდგე? ჰკითხა ტაძრის მოსამსახურემ თავის მეზობელს, რომელიც ჰერცოგი იყო.

— მეც გეუბნები და უმაღლესმა ქურუმმაცა სთქვა, რომ ეს უცხო ქვეყნელები არაფერს კეთილს არ მოუტანენ ჩვენს ქვეყნს.

ნას! სად გაჭჭრა ძველი კარგი დრო, როდესაც ვერც ერთი უცხო ქვეყნელი, რომელსაც გი ძვირად უღირდა სიცოცხლე, ვერ ბედავდა ეგვიპტეში მოსულას! ეხლა ჩვენი ქუჩები სავსენი არიან მატყუარა ებრაელებით და განსაკუთრებით ამ უსიციველო ელინელებით, რომელთა გაწყვეტასაც ღმერთსა ვსთხოვ! შეხედე: მესამე გემი მოდის, რომელიც უცხო ქვეყნელებით არის სავსე. იცი ვინ არიან ეს სპარსელები? უმაღლესმა ქურუმმა სთქვა, რომ მთლად მათს სახელმწიფოში, რომელიც ნახევარს ქვეყანას უდრის, არც ერთი არ არის სასიამოვნო ღმერთებისათვის; თავიანთ მიტვალებულებს, პატრიკის-ცემით დამარხვის მაგიერ, ძაღლებს და სვაკებს უგდებენ შესაჭმელად!

დარცვივს დიდი გაკვირება და უფრო დიდი სიბრაზე ერთობოდა; შემდეგ მან უჩვენა მდინარის კიდესად გაკეთებული კიბე და უთხრა:

— გეუბრები იზიდავს შეილა, რომელმაც ტიფონი გაანადგურა, რომ მეექვსე გემიც მოდის, უცხო ქვეყნელებით სავსე!

— ეს ძალიან ცუდია! უთხრა ტაძრის მსახურმა: გეგონება მთელი ჯარი აქა გროვდება. ამისი ასე მოიქცევა იქამდის, სინამ ტახტიდამ არ ჩამოაგდებენ და სახელმწიფოდამ არ გასდევნიან და ჩვენ უბედურ მონებად არ გადაგვაქცევენ.

— მეშვიდე გემიც მოდის! შეხედე დარცვივს.

— დაე დამღუპოს ჩემმა მბრძანებელმა ნეიტმა, საიის უდიდესმა ღმერთამ, სწუხდა ტაძრის მსახური—თუ მე მესმოდეს, რას სჩადის მეუფე. მან სამი გემი გაგზავნა ღვთის საზიზღარს ნაუკრატისში სპარსეთის ელიების მოსამსახურეთათვის საჭირო სამუშაოთ დატვირთული; მაგრამ სამი გემის მაგიერ რვა გემი გაამზადა, რადგანაც ჭურჭლისა, ძაღლებისა, ცხენებისა და ერთების გარდა თან მრავალი მოსამსახურენი მოიყვანეს.

მათ თან მოიყვანეს თავიანთი ქურუმები, რომლებსაც მოგვებს ეძახიან. ნეტა ერთი ვიცოდე, რისთვის უნდათ ეს უჭმად მან წანწაღა მოგვები? რად უნდათ ისინი, თუ კი მათ ღმერთები და ხატები არა ჰყავთ?

ეკვიპტის მოხუცებულმა მეფემ ამაზისმა დიდის ყოფითა და სიხარულთ მიიღო სპარსეთის საეფხო. ოთხი დღის შემდეგ მან, როდესაც ერთს დიდას თავის საქმეებს მოჩხა, კრკუზთან ერთად გაიხიარნა სასახლის ბაღში, დანარჩენი სპარსელები მემკვიდრესთან ერთად წავიდნენ ნილოსის ნაპირებზედ სასიერნოდ და იქიღამე მემძისში.

ამაზისი და კრკუზი ბაღის ერთს ხის ქვეშ დასხდენ, რომელზედაც ახლად იყო მადრკეანი. ტახტიღამ ჩამოგდებულნი მეფე, რომელსაც რამდენიმე წლით უფროსად იყო უძლიერეს ეკვიპტის მეფეზედ, უფრო ახალგაზრდა და ჭარმაგი სჩანდა ამაზისზედ. ტანით მაღალი ამაზისი წელში მოხრილი იყო; მისი მშვენებრი სახე აქა-იქა დაღმენჭილიყო. წვრილს, ბრწყინვალე თვალებში გონიერება ეხატებოდა, ხოლო ტუჩებზედ ყოველთვის სიმხიარულე და ღიმილი ეტყობოდა. განიერი შუბლი ამტკიცებდა, რომ იგი ძლიერის ჭკუის პატრონი უნდა ყოფილიყო. მან პირდაპირი და ცხარე ლაპარაკი იცოდა.

კრკუზის ქცევა სწულადად მეფური იყო. მას ეტყობოდა, რომ დაახლოებული იყო საბერძნეთის საუკეთესო კაცებთან. საუკეთესო მცნებრნი ძაღვსი, ანაქსიმანდრი და ანაქსიმენ მილეთელი, ბიას პრიენელი, სოლონი ათინელი, პიტაკ ლესბოსელი მიდიოდენ კრკუზთან სტუმრად, როდესაც იგი მეფედ იყო. მის ტუბილი ხმა ამაზისის რიხიან ხმასთან შედარებით გალამბა გებონებოდა.

— ესლა პირდაპირ მითხარით, დაიწყო თვარაზნმა ბერძნულად; — როგორ მოგეწონა შენ ეკვიპტე? მე არავის არ ვიცნობ

ასეთს, რომლის აზრიც შენს აზრზედ ძვირად მიღირდეს, ამისთვის, რომ პირველად, შენ იცნობ მოძებნებულს ერს და ქვეყნებს; მეორედ, ღმერთებმა შენ უდიდეს ბედნიერებადის აგვიყვანეს და კვალად ძირს ჩამოგვიყვანეს; მესამედ შენ ტყუილად არ იყავი მოთათობიკი უძლიერესის მეთვისა. მე მიზნდა, რომ ჩემი საჭმე იმდენად მოგეწონოს, რომ შენ დაჩხე ჩემთან, როგორც ძმა. ღმერთმანი, კრეზ, შენ დიდი ხანია ჩემი მეგობარნი ხარ, თუმცა ღმერთებმა მხელად გუშინ მახვევენს შენი სახე!

— და შენ—ჩემო მეგობარო, გააწყვეტინა მას ღიღიქმის: მე შენი ვაჟ-გაძრება მაკვირვებს იმით, რომ, თუმცა მოწინააღმდეგენი ბევრი გყავს, აკეთებ იმას, რაც კარგად მიგახნის; გმადლობთ იმ პატრიკის-ცემისათვის, რა პატრიკის-ცემითაც ჩემს მეგობრებს ელანულთ ექცეოდით. მე გთვლი შენ ჩემს ნათესავად, რადგანაც ჩვენი ბუდი ერთმანეთსა ჰგავს, ამისთვის რომ შენც ჩემსავით ბლამად გამოხსცადე ბედნიერება და უბედურება.

— იმ განსხვავებით, უთხრა ამასისმა ღიღიქმით: — რომ ბუდი ჩვენ სხვა და სხვა ნაირად გამოგცადეთ. შენ ბუდმა ჯერ ბედნიერება გარგუნა და მერე უბედურება; მე კი ჯერ უბედურება მარგუნა და მერე ბედნიერება; ე. ი. თუ ვითუქრებ, დაუმატა ჩათუქრებით მან: — რომ მე კმაყოფილი ვარ ჩემის ეხლანდელის ბედნიერებით.

— მე კი, უთხრა კრეზმა: — როდესაც ვითუქრებ, რომ ვიტანჯები ჩემის, ესრედ წოდებულას, უბედურებით.

— მას რა მოგივა მაგდენი საუნჯის დაკარგვის შემდეგ?

— განა ბედნიერება საუნჯეზეა დამოკიდებული? ჰკითხა კრეზმა. — და საუნჯე განა ბედნიერებას? ბედნიერება არის წარმოდგენა, გრძნობა, რომელსაც შუროანი ღმერთები უჭრენულს უფ-

რო აძლევენ, სინამ ძლიერს. უკანასკნელის მხიარული სა-
ხე იღრუბლება ბრწყინვალის საუნჯით და იგი ყოველთვის
უნდა იტანჯოს, თუ საქმე კარგად არ მოუვა, წადგანაც
გრძნობს ძალას ყოველისთვისადმი მისაღწევად და საქმით კი
ყველგან მარცხდება და კერ ისრულებს თავის გულის წადილს.

ამაზისმა ამოიხსნა და უთხრა:

— ნეტავი შემიძლოს, რომ მე შენ არ დაგეთანხმე, მაგრამ
როდესაც ჩემს წარსულს ვიგონებ, უნდა გამოგიტყდე, რომ იმ
დღიდან, რა დღიდანაც ბედნიერება მეწვია, დაიწყო ჩემი
დარდიანობაც, რომელიც მთელს სიცოცხლეს მიწამლავს.

— მე კი, უთხრა კრეზმს:— მადლობელი ვარ შენი დაგვიან-
ებულის ხელის აღზერობისათვის, წადგანაც უბედურების ერთმა
წამმა მომანიჭა მე პირველი, ნამდვილი ბედნიერება. როდესაც
სპარსები სარდლის კედლებზედ დაკინახე, მე ვწყეულიდი ჩემ
თავსაც და ღმერთებსაც, სიცოცხლე შემძულდა და საშინელს
მძიმე ტვირთად მეჩვენებოდა. თან ვიბრძოდი და თან ჩემის
ჯარით უკან ვიწევდი და განწირულებას ვეძლეოდი. ამ დროს
სპარსულმა მომარტმა ხმალი მომიღერა, ჩემმა შვილმა სტაცა
მას ხელი და რამდენიმე წლის შემდეგ პირველად გავიგონე მი-
სი ხმა. ჩემმა მუნჯმა შვილმა ჭაყსმა ამ საშინელი წამის
დროს კვლად ამოიღვა ენა და მე, რომელიც ღმერთებს ვწყე-
ულიდი, დავემხე წინაშე მათის ძლიერებისა. მონას, რომელსაც
კუბრძანე მოკვავალი, როგორც კი სპარსელებს ტყვედ ჩაუვარ-
დებოდი, წაკართვი ხმალი. მე სრულად სხვა კაცი შევიქნე და
თან და თან მიჭარდებოდა მძულვარება ჩემის ბედის და მტრე-
ბისადმი. შენ იცი, რომ ბოლოს მე კირის მეგობარი გახდი,
რომ ჩემი შვილი ჩემს გვერდით თავისუფლად იბრძებოდა და
სამშობლო ენას არ ივიწყებდა. ყოველივე, რაც მე მინახავს,

გამიგონის და მომიფიქრების ჩემი დიდის ხნის სიცოცხლის განმკურნაში, ყოველივე ჩემი შვილისათვის გარდამიცია; ეხლა ჩემი შვილი შეიქმნა ჩემი სახელმწიფო, ჩემი გვირგვინი და ჩემი საჯარო. რადესაც ვხედავ გირის მოუსვენარს ცხორებას, მე შიშით ვიგონებ ჩემს წარსულს დიდებას და ძლიერებას და უფრო მესმის, სადაც უნდა მოვძებნო ნამდვილი ბედნიერება. უკვლავ ჩვენგანს ბედნიერების დროცა უძევს გულში: კმაყოფილი, მომთმინო არსება, რამეცა მშენიერების დანახვაზედ აღტაცებაში მოდის, მაგრამ ცხორების მცირე მოკვლენასაც უფურცადღებოდ არა სტოვებს, ყოველსავე მწუხარებას უძლებს და სტებება წარსულის მოგონებით. ზომის ცოდნა ყოველს შემთხვევაში, სასურება ღმერთების მოწყალებაზედ და ჭეშმარიტებით ცოდნა იმისა, რომ ყოველივე, ასე გასინჯეთ, თვით უსამართლო ამბავიც ვა წარმავალია, — ყოველივე ეს ხელს უწყობს ბედნიერების დროცის დამწიფებას, რამეცა ჩვენს გულშია დამალული და გვაძლევს ძალას ღამილით შევხვდეთ მას, რის გამომისათაც ჩვენ განწირულებასა და მწუხარებაში ვარდებით.

ამაზისი უფურცადღებით ისმენდა მის ჯაჰანგს და თან თავის რქრის თავიანი ჯოხით ხატავდა მიწაზედ ძაღლის თავს, შემდეგ უთხრა:

— ჭეშმარიტად, კრეზო, მე დიდი ღმერთი, «მზე სიმართლისა», «მე ნიტიისა», «მბრძანებელი სამხედრო დიდებისა», (ასე მეძახიან მე ეგვიპტელები) შურით გიუფრებ შენ, გატარცულს და ტახტიდამ გადმოგდებულს მეფეს. ერთს დროს მეც შენსავით ბედნიერი ვიყავ, მთელი ეგვიპტე მიცნობდა საწყალო ასის თავის შვილს, ჩემი სიმხიარულის და ცელქობის გამომ. ჯარის უბრალო კაცებს ხელთ დაკუთვდი; უფროსნი

ბუკის ნაკლულებსა და ჭკობებს ჩემში, მაგრამ გიყ-მასაც ამა-
 ზისს უკუკლასთერი უხდებოდა, აფიცრები უჩემოდ ვერ მხია-
 რულაბდენ. მაგრამ აი ჩემს მოადგილემ გოძრამ გაგვასვენა
 ჩვენ საომრად გიჩენის წინააღმდეგ. უდაბნოში საირუოთ და-
 მაშკრალთ წინ-წასკლასედ უარი განვაცხადეთ. იმ ეჭვმა, რომ
 ვითომც ხელმწიფეს უნდოდა ელინთათვის ჩვენი მსხვერპლად
 შეწირვა, ძველგარება ჩამოგდო ჩვენში. მე ჩვეულებისამებრ
 ხუმრობით ვუთხარ ჩემს მეგობრებს: «თქვენ ხომ უხელმწიფოდ
 არ დარჩებით, მოდით და მე გამხადეთ თქვენს მბრძანებლათა;
 ჩემზე მხიარულს სხვას ვერავის იპოვით მეტქია!» სალდათებ-
 მა ეს სიტყვები გაიგონეს. «ამაზის ხელმწიფობა უნდა!» გა-
 ვარდა ჯარში ხმა. «კეთილი, ბედნიერი ამაზისი დაე ჩვენს
 ხელმწიფედ იყოს!» ამ სიტყვების ძახილით მიმიღო ჯარმა
 მადდენივე საათის შემდეგ. ერთმა ჩემმა ამხანაგმა თავზედ ჯარ-
 რის უფროსობის ფუჩა დამხურა. მე ხუმრობა ნამდვილ საქ-
 მედ გადავაქციე, მომეტებულა ჯარი ჩემსკენ გადმოვიდა და
 ჩვენ გოძრუა მეძებისთან დავამარცხეთ. ერთი შეთქმულებს
 მოგვემხრო. მე აკედი ტახტზედ. მე ბედნიერს მეძახოდენ.
 აქამდის ეგვიპტელების მეგობარი, ეხლა საუკეთესო მათგანს
 მტრად გადავაქციე. ქურუმები მე პატროსა მტემდენ და თავის
 წოდებაში მიმიღეს, იმისთვის რომ იმედი ჰქონდათ, რომ გოძრე
 უნდა ისე მათამაშებდენ. ჩემი წინანდელი უფროსები ან შუროთ
 მიუხრებდენ, ან წინანდებურად მექცეოდენ. მათი ასეთი საქციე-
 ლი ჩემს ახალს წოდებას აღარ შეეფერებოდა და ერში გაკლე-
 ნა დამეკარგებოდა. ერთხელ ჩემს სახლში ჯარის მოქეიფე უფ-
 როსებს, რომელთაც უნდოდათ ისევე ეხუმრათ ჩემთან, რომ-
 გოძრე წინად, ვუჩვენე თქვოს ტახტი, რომელშიაც ჩვენ ფე-
 ხებს ვიბანდით სადილის წინად. ხუთი დღის უკან, რომელსაც

იგინი კვალად ჩემთან ქეითობდენ, მე ვუბრძანე დაედგათ სტოლ-ზედ რქოსგან ჩამოსხმული დიდი ღმერთის რას სურათი. რგორც კი დაინახეს იგი, მაშინვე პირქვე დაემხნენ და თაყვანისცეს. რადესაც აღგნენ, მე სვიპტრა ზვილე ხელში, მედიდურად დავიჭირე მალა და წამოვსთქვი: «ეს ღვთაების სურათი ხელსანმა გააკეთა ხუთი წლის განმავლობაში ამ ჭურჭლისაგან, რომელშიაც ჩვენ გათურთხებდით და თქვენს ვიბანდით. მეც ერთხელ ამ გვარი ჭურჭელი ვიყავ, მაგრამ ღვთაებამ, თქვენს მეყუდ გამხდა. მაშ დაემხეთ პირ-ქვე და თაყვანი მეცით, ამ დღიდან, ვინც მოჩილი არ იქნება, ან დაივიწყებს ხელმწიფის პატივისცემას, რომელიც ქვეყნად რას მოადგილეს, სიკვდილით დაისჯება». იგინი ყველანი პირ-ქვე დაემხნენ. მე ჩემი უფლება გადავარჩინე, მაგრამ მეგობრები კი დაკარგე. ეხლა ჩემის უფლების დასაყრდნობელი მინდოდა. ამ მისაყრდნობელად ელინები გახდნენ. სამხედრო სამსახურში ერთი ბერძენი სჯობიან ხუთს ეგვიპტელს; ეს მე კარგად ვიცოდი და განვიზრახე ის ამესრულებინა, რაც სასარგებლოდ მიმახინდა.

მე ყოველთვის დაჭირებულად ბერძნები მევანდნენ დაახლოებულნი. მათის წყალობით ვისწავლე მათი ენა, მათ გამაცნეს უკეთესობილესი კაცი, რგორც მე რადისმე შემხედრია, — პიფაგორი. მე უცდილობდი შემომეღო ჩვენში ბერძნული ჩვეულება და ენა, რადგანაც დავრწმუნდი რომ სისულელეს ცუდის ჩვეულების შენახვა იქ, სადაც უფრო კარგი ხელთ გვაქვს.

მე წესიერად ვაყვავ მთელი ქვეყანა, დაუწესე პოლიცია, რომელიც საუკეთესოდ ითვლება მთელს დედა-მიწის ზურგზედ, და ბევრი რამ მოვიყვანე აღსრულებაში; მაგრამ ჩემი სურვილი

— შემოდელთ ბერძნული განათლება, ხელფანება და ბერძნული დატობება სიტყვებით ამ მდიდარს, მაგრამ შავ-ბნელს ქვეყანაში, — ამათ სურვილად დარჩა, რადგანაც ქურუმები ყოველს ჩემს განზრახვას ეწინააღმდეგებოდნენ. იგინი მოწიწებით ეჭვიანი ყოველსავე იმას, რაც უამთა ვითარებას შემოუღია; იგინი, რომელნიც ყოველს სხვა ქვეყნის ჩვეულებას და თვით უცხო ქვეყნელებსაც თავიანთ უფლების მტრებად რაცხვენ, — განაგებენ ამ ხალხს ისე, როგორც უნდათ. ამისათვის ყოველი ჩემი საუკეთესო სურვილი და განზრახვა მათს სურვილს შეესწირე, ჩემი ცხადება ყოველისთვის შევიწროებულა მათგან ჭ მუკონებ, ისე მოკვდები, რომ დაწმუნებული არ ვიქნები, — სათლავში მაინც მომასვენებენ ეს შუამავალი ღვთაებასა ჭ სიკვდილს შორის!

— გუფიტებით ზევესს მხსნელს, ჩემო საწყალო ბედნიერო! უთხრა მას კრეზმა გულის მტკივნეულობით: — მე მესმის შენი ძწუნარება. თუმიცა ჩემს სიტყვებში ბევრს ვიცილობდი იმისთანა პირთ, რომელნიც უმხარულად და შავ-ბნელად ატარებდნენ ცხადებას, მაგრამ მე მაინც ეჭვი არა მქონია, რომ ქვეყნად ბევრნი ისეთნიც სცხადებენ, რომელთაც შემკვიდრეობით ერგებათ ხელმე მჭუნვარება სულისა, როგორც მცურავთ შხამი. რამდენი ქურუმები ვნახე გზაზე და შენს სასახლეში, რომელნიც ყოველთვის დაღვრემიანი არიან. თვით ყმაწვილნიც, რომელნიც შენ გემსახურებინ, ძალიან იშვიათად იღიბებინ, მაშინ, როდესაც მხარულება არის ყმაწვილობის საკუთრება, როგორც საუკეთესო ნიჭი ღვთაებისა.

— შემცდარი იქნები, თუ ყველა ეკვიპტელები მოღრუბლული გეგონებინ, მიუგო ამზისმა. ჩვენი საწმუნება მართალია სიკვდილზედ დაფიქრებას გვიბრძანებს, მაგრამ, ახა, სხვა ისეთი ერი იზრკე, რომ ამისავით რხუჯი და, დღესასწაულის

დრას, მეტის-მეტად მხიარული იყოს. ქურუმებს უცხო ქვეყნელების დანახვა ეჯავრებათ და ჩემს დაკავშირებას თქვენთან ძალიან უკმაყოფილოდ უცქერიან. ის უმაწვილები, რომლებიც შენ მოიხსენე, ამ ქვეყნის დიდებულთ შვილები არიან და საშინლად მიწამლავენ სიტყვებს. იგინი მე მოსამსახურე მონებად მუკანან და ყოველსავე ჩემს სიტყვას ემორჩილებიან. ვინც ამ საქმისათვის შვილებს იმეტებენ, უნდა ჩაითვალოს მეუღის ერთგულ, ყურ-მოჭრილ უმებად, რომელსაც დიკრთსავით თაყვანსა-სცემენ, მაგრამ დამერწმუნე, კრეზო, რომ სწორედ ამ ერთგულებაში, რომელსაც ვერც ერთი მიმართული ვერ უარ-ჰყოფს, იმალება ცბიერი და ეშმაკური ანგარიში. უკვლამ უმაწვილთაგანი—ჩემი მოსამსახურეა და თვალ-ყურის დამჭერი. მათ გაუგებრად ხელსაც ვერ გაკანძრევ, რადგან ყოველსავე ჩემს მოჭმელებას ქურუმებს ატყობინებენ.

— მას რომელი იტან მაგისტანა ცხივრებას? გაჭყარე ებ უმაწვილები და აიჩიე მოსამსახურენი, მაგ. თუ გინდ მეომართა წოდებისაგან, რომელნიც შენთვის ქურუმებზედ ნაკლებ სასარგებლონი არ იქნებიან.

— მე რომელი მაგის ასრულება შემეძლოს! სთქვა ამანისმა ძალიან ხმით. შემდეგ მან ისევ ჩუმად დაიწყო, თითქმის თავის ხმისა შეეშინდა:— მე მგონია, რომ ჩვენს ლაშარსკს ყურს უგდებენ. ხვალ ვუბრძანებ, რომ ის ინდის ხურმის ხე ძირონად მოგლიჯონ. ბაღში სუირობის მოყვარული ახალგაზდა ქურუმისათვის, რომელიც იქ დაუმწითებულს ინდის ხურმას ჰკრეფავს, უფრო სხვა ნაირი ნაყოფია საჭირო, სინამ ის, რომელსაც ჰკრეფს და კალათში ჰყრის. მისი ხელი ნაყოფს აგროვებს და ყური კი—მეუღის ნათქვამს სიტყვებს.

— გუფიტები მამა ზეკესს და აზოლონს...

— მე მესმის შენი გაჯავრება და თანაგოგონობა; მაგრამ, რა გაეწეობა, ზოგში მაინც უნდა დაკუმოჩილო ქურუმთა სურვილს. მე რომ მათთან ყოველივე გაკვირვებით, და-მეწმუნე, ჩემს გვამს აღარც კი დამარხებენ. მე უნდა გითხრა, რომ ქურუმები ასამართლებენ ყველა მიცვალებულს და არ აღეკენ სათლავში მოსვენებას მას, ვისაც დამნაშავედ იცნობენ. შეიძლება ჩემი შვილის პატრიარქის-ცემით დამმარხონ, მაგრამ ისინი რაგორ მოექცევიან ჩემს გვამს, რომელნიც ჩემს სათლავზედ მხსვერვლის შეწირვას აღასრულებენ...

— შენ რა საქმე გაქვს სათლავთან! სიბრძნით განწყობილნი გრეზმა საუბარო. სიციცხლისათვის უნდა იციციცხლო და არა სიკვდილისათვის.

— უძჯობისა მითხრა, უთხრა ამისთვის და წამოდგა ზეზე: — რომ ჩვენ, რომელთაც ბერძნები მოგვწონან, მშვენიერი ცხორება დიდს ბედნიერებად მიგვაჩნია; მაგრამ, გრეზო, მამა-ჩემი ეპიპტული იყო, ეპიპტულმა დედამ მაწოვა ძუძუ, ეპიპტის ნიდაგზედ აღვიზარდე და თუმც ზოგიერთა რამ ელი-ნური შეკითხვის, მაგრამ გულთ მაინც ეპიპტული ვარ. ის, რასაც სიყმაწვილით გიმეორდენ, რასაც წმინდანად სთვლიდენ, ღრმად იბეჭდება გულში და არ აღმოიფხვრება იქამდის, სინამდვილის არტახებს არ შემოგახვევენ. მე მოხუცი ვარ და დიდი მანძილი აღარ არის იმ სამნამდის, რის იქითაც საუკუნო ცხორება იწყება. ნუ თუ მე, რამდენიმე დღის სიციცხლისათვის, უნდა ჩავიშხამო დაუსრულებელი ათი ათასი წელი სიკვდილისა? არა, ჩემო მეგობარო, მე ისევე ეპიპტულად დავრჩი: ჩემ თანამემამულეებსაგვით მტკიცედ მრწამს, რომ შენახვა ჩემის გვამისა, რომელნიც სულის სადგურია, მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩემი მეორე ცხორების კეთილდღეობასთან. მაგრამ კმარა ამ

უძალეს საგნებზედ საუბარი, რადგანაც მე დიდი ფიცი მიმი-
ცია, რომ ყოველივე ესენი არ შევატყუებინო მას, ვისაც მათი
სიღრმე და დიდებულება შესწავლილი არა აქვს. უძჯობისაა ამ
კითხვაზედ მომიტოვებს: როგორ მოგწონს ჩვენი ტაძრუ-
ბი?

კრეზმა ჩათუქრებით მიუგო:

— პირამიდების ქვების ნამზღვევნი, თვალ-გადუწვდენელი
უდაბნოების ნამოქმედარნი მგონია და ტაძრები ტურფა ო-
ზაფხულის ნაწარმოებნი. ასევე იზიდავენ თვალს იეროგლიფუ-
ბი, მაგრამ თავიანთის საიდუმლოებით ცნობის მოყვარე გონე-
ბას ვი არ იზიდავენ. თქვენი მრავალ-სახოვანი ღმერთების სუ-
რათები უკვლავანა სდგანან; იგინი ყველას თვალში ეჩხირობიან,
მაგრამ ყველა ვი გრძნობს, რომ იგინი განსხვავდებიან იმის-
გან, რისიც სურათები არიან; რომ იგინი არიან წარმომაღლე-
ნელნი ღრმა აზრობისა, რომელთაც ვაჭის გონება ვერ მისწვდე-
ბა. ყველგან ჩემი ცნობის-მოყვარეობა მოქმედობს, მაგრამ ჩე-
მი თანაგრძნობა ყოველივე მშვენიერებისადმი არ ვმყოფილდე-
ბა. ჩემს გონებას უნდა გაიგოს თქვენთა ბრძენთა საიდუმლოე-
ბანი, მაგრამ გული და ცნება უნდა მოშორებულა იყოს თქვენს
ცნებასთან, რომელზედაც დამყარებულა თქვენი აზროვნება,
ცხოვრება და მოქმედება და რომელიც გამცნევთ, რომ სიტო-
ცხლე მოკლე გზა არის, ამ გზას სიკუდილთან მიჭყუვხარ და
სიკუდილი ვი ნამდილი ცხოვრება არის!

— სიტოცხლე, რომელსაც დღესასწაულებში ვამკობთ, ჩვენ-
შიაც თვასობს, ეშინიან სათლავისა და ცდილობენ სიკუდილის
თავიდან აცილებას. ჩვენი ეჭიბები ასე გათქმულები არ იქნებო-
დენ, თუ რომ არა სტოდნოდათ სიტოცხლის გაგრძელება.
მართლა: მე მომაგონდა თვალის ეჭიბი ნებუნხარი, რომელიც

სურსაზი მეფეს გაუგზავნე. ვნახეთ, როგორ გამოიჩენს თავს. კმაყოფილნი ხართ იმათი?

— ამისთანა წარმომადგენელი შენის ქვეყნის მეცნიერებს ადობებს, მიუგო გრემი. — მანვე მიაქცია გამბიზის ყურადღება შენის ქალის სიტუროფოდ. ნებენსარმი არა ერთს ბრძანს უძველეს; მაგრამ მეფის დედა, საუბედუროდ, დღევანდელადის ვერა ხედავს. ჩვენ მხლელად იმას გაწუხებართ, რომ ასეთი დახელოვნებული კაცი მხლელად სიბრძნევს არჩენს. რადესაც მეფის ქალი, ათონი, ცხელებით ავად გახდა, ჩვენ ნებენსარის ვერას გზით ვერ გავახედინეთ მისთვის ექიმური დარიგება მიეცა.

— ეგ ადვილი სახსენებია, ამისთვის რომ ჩვენი ექიმები ყოველთვის ერთ რამდენსავე ნაწილს სხეულისას სწამლობენ. ჩვენ გვეყვანან ყურისა, გბიჯისა და თვალის ექიმები; გვეყვანან აგრეთვე მოტეხილის და შინაგანი ავად-მყოფობის ექიმები. არც ერთს გბიჯის ექიმს, ქურუმების უძველესის განონის ძალით, არ შეუძლიან, უწამლოს ყრუს, არც ერთს მოტეხილის ექიმს არ შეუძლიან შინაგანს ავად-მყოფობას უწამლოს, თუ გინდ რომ კიდევც კარგად ესმოდეს შინაგანი ავად-მყოფობის წამლობა. ამისთანა განონების ძალით უნდათ, რომ ექიმებმა უფრო სათუძუკლიანად შეისწავლონ მკურნალობის ერთ-ერთი ნაწილი; საზოგადოდ ქურუმები, რომელთა რიცხვი ექიმებიც ითვლებიან, გულ-მოდგინედ სწავლობენ მეცნიერებს. აგრე იქ არის სახლი უმაღლესის ქურუმის ნეიტროტებისა, რომლის ვარსკვლავთ-მრიცხველობის და გზომვის ცოდნას თვით პიფაგორიც აქებდა. ეს სახლი იმყოფება დმერთის ნეიტის ტაძრის ახლად. მე მსურს გაჩვენო წმინდა ჭაღა თავის დიდებულის ხეებით, ტაძრის მშენიერი სვეტები, რომელნიც ერთის მთლიანს ქვისაგან არიან გაკეთებულნი, მაგრამ, საუბედუროდ, ქუ-

რუმებმა მთხროვეს ტაძრების გალავნების იქით არ შეგიყვანათ. წავიდეთ ახლა ჩემს ცოლთან და ქალებთან; ამათ შენ შეგიყვარეს და მე მსურს, რომ შენც შეიყვარო ჩემი საწყაელი ქალი, სინამ იმასთან მოგიხდება წასვლა შორს უცხო ქვეყანაშიც, რომლის მეფის ცოლადაც იგი უნდა გახდეს. განა, შენ იმას შენის მოვარკველობის ქვეშ მიიღებ?

— მაგაში დაწმუნებული იყავ, უთხრა გრემმა და ჩამოართვა ამასისს ხელი. მე მამობრების სიყვარულით მოკუპყრობი შენს ნიტეტისს და მეც იმისათვის საჭირო ვიქნები, რადგანაც სპარსეთის სასახლის ქალებისათვის დანიშნულს ოთახების იატაკზედ თუხი ადგილად სხლტება. შენს ქალს დიდის პატივისცემით მოუჭტევინ. გამბიზი კმაყოფილი იქნება თავის აჩუკანით და ძვირად დაათვასებს, რომ შენს მშვენიერს ქალს მას ანდობ, თუმცა ტახტოც ნიტეტისზედ ნაკლები არ არის, მაგრამ მას აკლავს ის მედიდური ქცევა, რომელიც ნიტეტისს აქვს და შეჭტუერის კიდევ, როგორც სპარსეთის მეფის მომავალს მეუღლეს. ნებენხარი მხალოდ შენს ქალს ტახტზედ დაზარაკობდა.

— მე მაინც ვგზავნი ჩემს მშვენიერს ნიტეტისს; ტახტისათვის სუსტია და ნაზი, რომ არ მეგონა თუ ის მოგზავრობასა და დედ-მამის განშორებას აიტანდა. მე რომ ჩემი გულისათვის დამეჭტუებინა, არც ნიტეტისი უნდა გამეგზავნა სპარსეთში. მაგრამ ეგვიპტე მშვიდობიანობაში საჭიროებს და მეფე უფრო ადრე გაუხდია, სინამ მამა!

V

სპარსეთის ელჩების ყველა მხლებელნი საისილამ ნილით პირამიდებთან მოვიდენ; მხოლოდ პრექსასსი დაბრუნდა სპარსეთში, რომ შეეტყობინებინა კამბიზისათვის ქორწილის მშობლობიანად გათავება.

ამაზიას სასახლეში ყველგან მოძრაობა იყო. კამბიზის ელჩის მხლებლებით, რომელნიც 300 კაცი იყო, სავსე იყო სასახლის ყველა ოთახები. ეზო სავსე იყო დიდებულებითა და ქეშიკებით, ახალგაზრდა ჭურჭლებით და მოწიებით, რომელნიც მდიდრულად იყვნენ დართუნი.

რადგან ამ დღეს დღესასწაულად იქნა თავის ქაღის ნიშნობის გამო, ამისათვის მეფეს უნდოდა ამ დღეს თავი გამოეჩინა თავის სასახლის სიდიდრით და ბრწყინვალებით.

სტუმრების მისაღები დაწესდა ისე გაბრწყინვალებული და მდიდრულად მორთული იყო, რომ კაცის თვალს ხიბლავდა. კედლებზედ, რომელნიც სურათებითა და იეროგლიფის ნიშნებით იყო აჭრელებული, თურქად-თურქადი ლამაზები ეკიდა და მზის სხივისავი აბრწყინვალვდა თურქად შუშებიანს თანჯრებს. ზაღის სვეტების შორის იდგნენ ძვირფასი ხეხილები, ალიანდრები, ბზისა, ბრწყინულისა და თურქთაზაღის ხეები და საუკეთესო ვარდები, ხეხილების იქით მემუსიკენი ისხდნენ, რომელნიც ყოველს სტუმარს სასიამოვნო ხმის დაკვრით ეგებებოდნენ.

ოთახის შუა სტოლები იდგნენ, რომლებზედაც ეწყო ტბილეული, ხილით სავსე გალათები, ოქროს აზარტუშები და თურქადი შუშის ვაზები. სტოლების გვერდით იდგნენ მდიდრად ჩაცმული მოწიები, რომელთაც მიჰქონდათ სტუმრებთან საჭმე-

ლები. ეს სტუმრები ზოგი ფეხზედ იდგნენ და მუსაიფობდნენ და ზოგნი ძვირთვის სელებზედ ისხდნენ.

საზოგადოება შესდგებოდა ქალებისა და კაცებისაგან. ქალებს შესულის დროს ახალგაზდა ქურუმები ვარდის კონებს აძლევდნენ, ხოლო დიდებულთ ახალგაზდა შვილებს კი თან მოჰქონდათ ყვავილები და სთავაზობდნენ თავიანთ გულის სატრფოს.

ეგვიპტელები ძალიან თავაზიანად და მოწიწებით ექცევოდნენ ქალებს, რომელთა შორის ლამაზები ძალიან ცოტანი იყვნენ. მაგრამ კინც იყვნენ, ყველას ხელებზედ ოქროს სამაჯურები ჰქონდათ და ფეხები, ეგვიპტის ჩვეულებისამებრ, წითლად შეღებილი. ტანსაცმელიც ძალიან მდიდრული ეცვათ, სულ ძვირთვისის ფარხისა; ზოგს ისეთი კაბა ეცვა, რომ გულის მარჯვენა მხარე სრულად ტიტული ჰქონდა.

როგორც კაცებ შორის, სილამაზით, სპარსეთის თავადი ბარტია ირჩეოდა, ისე ქალებში ნიტეტისი, ფარაონის ქალი, ეგვიპტის ყველა ქალებსა სჯობდა. მეფის ქალი თავის ვარდის ფერის კაბით და თმებში დატანებულის ყვავილებით თავის დის გვერდით დადიოდა და ისეთი ფერ-მკრთალი იყო, როგორც დათუთქილი ყვავილი, რომელიც იმის დედასა ჰქონდა თმაში გაკეთებული.

დედოფალი ლადისა, ჩამომავლობით ბერძენი, ბატონს კირენელის ქალი, ამასისის გვერდით იდგა და ახალგაზდა სპარსელებს თავის შვილებს აცნობებდა. მას თავზედ ედგა ოქროს გველი—ეგვიპტელთა დედოფლების თავის მოსახრთავი. სახეზედ კეთილშობილებსა და მიძგებლობას ეტყობოდა, და ყოველივე მისი მოძრაობა გაჩვენებდათ, რომ იგი არის მექონი გრაციისა, რომელსაც მხოლოდ უღინური აღზრდა აძლევს.

თავის მეორე ცოლის ტენტხეტის შემდეგ, რომელიც ეკვიპტული ქალი იყო და დედა ტახტის მემკვიდრის ფსამეტისას, ამისისმა მეუღლედ ეს ქალი ამოაჩინა ბერძნების სიყვარულის გამო და ქურუმთა გამეჯავრებით.

ლადისის ახლან მდგომარეობაში ქალი, ტახტი და ნიტეტისი, ტყუილებად ითვლებოდნენ. მაგრამ მათში არ იყო არავითარი ისეთი მსგავსებები, რომ მათი ტყუილად დახადება გვეუფროსებინა.

ტახტი ქრის იყო, ჯერჯერ თავლებიანი, მოძრავი ტახტისა და კარგის აგებულებისა, ნიტეტისი კი მალაღი და სრული, შავის თავლებითა და თმებით და ყოველ მოძრაობაში მუთუნი ჩამომავლობა ეტყობოდა.

— რა ხარის თურ-მკრთალი ხარ, ჩემო ქალო, უთხრა ლადისმა და აკოცა ნიტეტის ღრუბრად. გამხიარულდი და მომავალი გრწახდეს. მე მოვიყვანე შენთან ძმა მომავალის შენის ქმრისა, კეთილშობილი ხარტია.

ნიტეტისმა აიღო მალა თავის შავი თავლები და დიდ ხანს აკვირდებოდა მშვენიერს ახალგაზრდას. უკანასკნელმა მდებარედ თავი დაუკრა, აწითლებულის ქალის ტანსაცმელს აკოცა და უთხრა:

— გეგებები შენ, რომელიც მომავალს ჩემს დედოფალს და დას. მრწამს, რომ შენი გული იტანჯება სამშობლოს, მშობლების, ძმებისა და დების მოშორებით; მაგრამ ნუ იწუხებ, ამისათვის რომ შენი საჭმელ დიდი გვირისა და ძლიერი მუთუ; ჩვენი დედა გასანდანა — დედა-გაბრთა შორის ერთი უკეთესთაგანისა და ქალის სილამაზე და გულ-კეთილობა პატრიუ-ტეზის სხარსუთში ისე, რომელიც მისი ხათული, რომელიც სიცოცხლეს ჭყენს ქვეყნიერობას. შენთან კი ის ნიტეტისის დაკვირვება

რომელსაც მინდა მასთან ერთად «ვარდი» დაგიძახო, ბო-
დიშს ვიხდი, რომ მოკედით და გაშორებით საუკეთესო მეგობ-
ბაქს.

ახალ-გაზდა სპარსული დასცქერდა ლურჯს თვალებს მშვე-
ნიერის ტახტისას, რომელმაც დაიდო გულზედ ხელი,
მღუძარედ დაუგრა თავი და დიდ ხანს არ აშორებდა თვალს
მიმაკვალს ბარტიას, როდესაც ამასმის წაიყვანა იგი მოთამაშე
ქალების საჩვენებლად. მოთამაშე ქალებს მხოლოდ სუბუქი მატუ-
რის იუბკები ეცვათ და მათი მოქნილი ტანი ირხეოდა საკრავის
ხმაზედ. ამათ შემდეგ გამოვიდნენ ასპარეზზედ ეგვიპტის
მომღერლები და მანქანები.

ბოლოს ზოგიერთა სასახლის-გაცნი დაბაზიდამ გავიდნენ;
მხოლოდ ჯარის უფროსნი, სპარსეთის საელჩოს გაცნი და
ზოგიერთი დიდებულნი მეჯლისის გამგემ დაიჭირა და შეიყვან-
ნა ძვირფასად მოწითულს ოთახში, სადაც სუფრა საბერძნეთის
გემოზედ იყო გაშლილი ხელახლად ღვინის გასახილვებლად.

ამასმისი მალაქს სულზედ იჯდა სუფრის თავში; მარ-
ცხნივ მოხუცებული კრეზი, აქვე იყვნენ ნაცნობი მეგობრები
ზოლოტრატისა, თეოდორე და ივიკი, აგრეთვე ჯარის ახალი
უფროსი არისტომანხი.

ამასმისა, რომელიც აქ ამას წინად კრეზს დინჯად ელას-
პარაკებოდა, ეხლა ხუმრობა დაუწყო. გეგონებოდა, რომ იგი
კვალად გაუმაწვილდა და ძველებურ მხიარულ აფიცრად გადაიჭ-
ცაო. იგი ძალიან ოხუჯობდა და ხუმრობდა თავის სტუმრების
შესახებ; სტუმრებიც გულთანად იცინოდნენ; თასი თასზედ იც-
ლებოდა და მხიარულობა მეტის-მეტად გაჩაღდა; ამ დროს სუფ-
რის გამგებელი გამოჩნდა ოქროში დათვილი ვატაკა მუ-
მიით, იგი აჩვენა სტუმრებს და უთხრა:

— დალოთ, იხუმრეთ და იმხიარულეთ, ამისთვის რომ ძალთან მალე უკვლანი ამ მუმიას დაემსგავსებით.

— მხიარულობის დროს სიკვდილის მოგონება თქვენში ჩუ-
ულებად იქნება? ჭკითხა მას ბარტიაში და მცირედ დაღონდა, —
ან იქნება შენმა სუფრის გამგებელმა გაბუდა ამისთანა ხუმ-
რობა?

ძველადგანვე, მიუგო ამანისმა, მიღებულა ამისთანა მუ-
მიების ჩვენება, რომ მოქეიფეთ უფრო აღეძრათ სიმხიარ-
ულის მადა, რომ მათ მოგონონ სიკვდილი, დაეშურნენ
სიცოცხლით დატვობას, სინამ დრო არის. შენ, ახალ-გაზდა
მოქეიფეს, ჯერ კიდევ ბევრი დრო გაქვს საქეიფოდ; მაგრამ
ჩვენ, მოხუცებულნი, მეგობარო გრეზო, ამ სიკვდილის მო-
გონებას უნდა ჩაუფიქროდეთ. მერიქიფევ, დროით აღავსე ფიან-
ჯები, რომ არც ერთმა ჩვენი სიცოცხლის წამმა უნაყოფოდ
არ განუღოს! რეგორა სვამ, ახალ-გაზდა სვარსულა! დიერ-
თებს შენთვის ისეთივე დიდი უელი მოუციათ სასმელის ჩასა-
ყლავად, რეგორც მშენიერი თვალები და უმშენიერესი სი-
ტურთუ! მოდი ერთი გაგონო მომხიბლარ ახალ-გაზდავ, უვარ-
გისო ემაწვილა! ჩემი ქალი ტახტო სხვა აღარავიხედ ლავა-
რავობს, თუ არ ამ უსუსურზედ, რომელმაც მოხიბლა იგი
პირველად ნაზის ცქერით და შემდეგ გრძნულის სიტყვებით.
რადა სწითლდება, ახალ-გაზდა ქარათუტავ! შენისთანა ახალ-
გაზდას ნება აქვს დააცქერდეს ხელმწიფის ქალებს; მაგრამ შენ,
თუ გინდ თვით მამა-შენი კირი იყო, მაშინაც არ გაგატანდი
ჩემს ქალს სვარსუთში.

— მამა! უთხრა ჩუმიად ხელმწიფეს ტახტის შემკვიდრე ფსა-
მეტისმა და შეაწყვეტინა ლავარავი. — მამა, ენას ბევრს ნებას
ნუ აძლევ და მოგონე ჭანესი.

მეფემ შეჭმუხვით შეხდა შვილს, ჭეიფი წაუხდა და ამის შემდეგ მხალღად ხანდისხან იღებდა ლაპარაკში მონაწილეობას.

არისტომახი, რომელიც კრეზის პირდაპირ იჯდა, სპარსელებს თვალს არ აშორებდა, ხმას არ იღებდა და არც ამისის ხუმრობაზედ იცინოდა. როგორც კი ფარაონი გაჩუმდა, მან თამამად ჭკითხა კრეზს:

— მე მსურს გავიგო, ჯიდაყლი, თოკლი მოდიოდა მთებზედ, რდეს სპარსეთიდან წამოხვედით?

ამ საკვირველის სიტყვებით გაოცებულმა კრეზმა, ღიმილით უპასუხა:

— მომეტებულად ნაწილი მთებისა მწვანით იყო შემოსილი, რდესაც ჩვენ ამ რთხის თვის წინად ეგვიპტეში წამოვყვდით; მაგრამ კამბიზის სახელმწიფოში ისეთი მთებიც არიან, რომლებზედაც თოკლი დიდს სიცხემიანც არა სდნება, და ეს მთები თუთრად ბრწყინავდენ, რდესაც მოვდიოდით.

სპარტანელს სახეზედ მხიარულება დაეტყო. კრეზმა, რომელსაც ეს დამჯდარი გაცი მოეწონა, ჭკითხა მას სახელი.

— მე არისტომახი მქვია.

— შენი სახელი თითქოს მაგონდება.

— შენ ბეკრს ელინელს იცნობდი და ბეკრს მათგანს ჩემი სახელი ერქვა.

— როგორც ლაპარაკზედ გეტყობა, შენ დროის მოდგმის ერს უნდა ეკუთვნოდე; სპარტანელი ხომ არა ხარ?

— წინად ვიყავ.

— ესა?

— ის, ვინც ნება-დაურთველად სამშობლოს დასტოვებს, სიკვდილის ღირსია.

— შენ შენის ნებით დასტოვე სამშობლო?

— დიაღ.

— რადა?

— რომ შეურაცხებას მივმოხრებოდი.

— მერე ცუდი რა შექნა?

— აწათყარი.

— მას უსამართლოდ შეგწამეს დანაშაული?

— დიაღ.

— ვინ იყო შენი უბედურების მიზეზი?

— შენა.

კრეზი შეხტა. სპარტანელის დიხჯმა ლაპარაკმა და მოჭმუხნილმა სახემ აფიქრებინა, რომ იგი არა ხუმრობდა.

ყველა იქ მჯდომნიც შეშინდნენ და სთხოვეს არისტომასს განემარტა თავისი სიტყვები.

სპარტანელი ყოყმობდა. ეტყობოდა, რომ მას ლაპარაკი არ ესაძიოვნებოდა; მაგრამ როდესაც შეუძინა სთხოვა, მან დაიწყო ასე:

— შენ, კრეზო, დაუჯერე ორაკულის სიტყვას და ჩვენ, ლაპიდემონელი, როგორც უძლიერესნი, ამოგვიჩიო შენს მომხრედ სპარსეთის წინააღმდეგ, რისათვისაც გვაჩუქე ოქრო ანალონ გერმესის ტაძრისათვის, რომელიც აშენებულა ძორონასის მთაზედ. ამისათვის ეძიებოდა გადასწვითეს ეჩუქებინათ შენთვის ძალიან დიდი ჭურჭელი, საგულის-გულად სპილენძისაგან გაკეთებული, რომ სასმელი შეგენახა. ამ ჭურჭლის მოსაწოდებლად მე ამოვიჩიოს. სინამ ჩვენ სარდესამდის მოვიდოდით, ჩვენი გემი და მასთან ჭურჭელიც ქარიშხალმა დაღუპა ზღვაში. ჩვენ

მხალად ჩვენი თავები გადავარჩინეთ და სამასამდის მოკვდით. რადესაც სამშობლოში დავბრუნდით, მე ცილი დამწამეს, ვითამც გემი და ჭურჭელი სამოსელის ვაჭრებისთვის მიმეყიდოს. მაგრამ რადგანაც დანაშაული ვერ დამიმტკიცეს და ჩემი დაღუპვა ვი უნდოდით, ამისათვის გადამიწვიტეს სამარცხვინო სვეტის ძირში რჩოდ დღე და ღამე დაკმდგარიყავ. სინამ ჩემი შეურაცხების დილა დადგებოდა, ჩემი ძმა მოვიდა ჩემთან და იღუმალად ხმალი მომცა. მე თავი უნდა მომეკლა, რამ შეურაცხებას გადავრჩენილიყავ. ვერ მოვიკალ თავი, რადგანაც ჩემის მტრების ჯვარის ამოყრა მინდოდა, ამისათვის მე თვით მოვიჭერ სვეტზედ მიბმული ჩემი თეხი და ევროტოსის ჩაღიანში დავიმალე. ჩემს ძმას ჩუმიად მოჭქონდა სასმელ-საჭმელი. რჩი თვის შემდეგ მე ამ ხის თეხით სიარული შევიძელი. ჩემს მაგივრად ახლოვნმა ამოყარა ჯვარი, რადგანაც ჭირმა ჩემი მტრები სრულად გაწვიტა. თუმცა იგინი დაიხრცნენ, მაგრამ მე მაინც ვერ დავბრუნდი სამშობლოში. გიძიუმში მე გემში ჩაკვექი, რამ შენთან ერთად, კრეზო, სპარსელების წინააღმდეგ მებრძოლა. რადესაც ტაოსში ნაპირს მივაგექი, გავიგე, რამ შენ ხელმწიფე აღარ იყავ. ძრეულმა გირმა, ამ მოკვნიერი ყმაწვილის მამამ, რამდენსამე კვირას დაიმორჩილა ძლიერი ლილია და უმდიდრესი მეფე ღარიბად გახდა.

ყველა მოქვიფენი გაკვირვებით უცქეროდენ არისტომასს. კრეზმა მას ხელი ჩამოართვა და ახალ-გაზდა ბარტიაში სთქვა: — სწორედ რამ სპარტანელი ხარ, მე მინდა ჩემთან სურსაში წამოხვიდე, ვუთხრა ჩემს მეგობრებს, რამ ვნახე ისეთი მამაცა და პატროსანი კაცი, რამდენსათანაც ძნელად თუ შეიძლება.

— მეწმუნეთ, უმწვილთ, რომ ყოველი სპარტანელი ჩემსაკით მოიქცეოდა. ჩვენს ქვეყანაში უფრო დიდი გამბედაობაა სპარტის იმისთვის, რომ მხდალი იყო, სინამ იმისთვის, რომ გმირი იყო.

— და შენ, ბარტიაკ, უთხრა დარმი, სპარსეთის მეფის ბიძაშვილია:— განა აიტანდი შეურაცხებას—სკეტთან დგომას?

ბარტია გაწითლდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ისიც სკეტთან დგომას სიკვდილს აჩივდა.

— შენა, ზოპირა? ჭკითხა დარმი მესამე სპარსელს ახალგაზდას.

— მე მხოლოდ შენი საყვარელით დაკომანდოვებული თავს და ჩამოაჩთვა თავის მეგობრებს ხელა.

ჰსამეტის ახალგაზდა გმირებს დაცინვით უყურებდა; გრეზა, გიგესი და ამასისი საიმოვნებით; ეგვიპტელნი ერთმანეთს უყურებდნენ, ხოლო სპარტანელი კი მხიარულად იცინოდა.

ესა ივიკმა სთქვა ორაკულის წინასწარმეტყველებს, რომ აჩისტომასი სამშობლოში დაბრუნდება, როდესაც მალაღ დათავილით მთებიდამ ხალხი მოვა, ამასთანავე ახსენა როდოპისის სტუმრის მოყვარე სახელი.

ფსამეტისი უსამოვნოდ გახდა როდოპისის ხსენებაზე; გრეზმა გამოაცხადა სურვილი გაეცნო ძრავიელი მოხუცი ქალი, რომელზედაც ეზოპი ბევრს კარგს ელაპარაკებოდა, და როდესაც დამთვრალთ დაჩაბი დაუტევეს, მამინ ტახტიდამ გადმოგდებულმა მეფემ, პოეტმა, მექანდაკემ და სპარტანელმა პირმა დადეს მორე დღეს ნაუკრატისში წასულიყვნენ, რომ დამტკბარყვნენ როდოპისის ლაპარაკით.

VI

აღწერილი ღვინის ღამეს მეფე ამისისს სამი საათის მოსვენება ძლივსა ჰქონდა. როგორც სხვა დღეს, ეხლაც, მამლებმა იყიადეს თუ არა, უმაწვილმა ქურუმებმა გააღვიძეს იგი. ახანავს, შეძლეს მეფურის ტანისამოსით და მიიყვანეს სასახლის ტაძარში, სადაც მან, ერის დასანახავად, ჩვეულებრივი მსხვერპლი შესწირა; უმაღლესი ქურუმი კი მალაღის ხმით ღოცვებს გალობდა, სთვლიდა მეფის კეთილს საქმეებს და ყოველსავე მოხდენილს ცოდვას მეფის მჩუგვებს აბრალებდა, რომ მეფე არ გაეკიცხათ.

როგორც ყოველთვის, ქურუმები ამხნეებდნენ მას კეთილს საქმეებში, უკითხავდნენ სასარგებლო წიგნებს და შემდეგ წაიყვანეს ოთახში, სადაც მოხსენდა მთელი სახელმწიფოს ვითარება.

ამ ცერემონიებს, რომელნიც ყოველ-დღე ხდებოდა, ამისისი წმინდად ასრულებდა, აგრეთვე სკინიდისიანად საქმობდა ღბნიშნულს საათზედ, მაგრამ სამის შემდეგ დაჩენილს დროს თავის ქეიფზედ ატარებდა, განსწკუთრებით მხიარულს საზოგადოებაში.

ამისათვის ქურუმები ჰკიცხავდნენ მას, რომ ვითომც იგი მეფურად არა სცხოვრობდა; მაგრამ ერთხელ განრისხებულს უმაღლეს ქურუმს უთხრა: აუუურე ამ შვილდ-ისარს; თუ რომ ყოველთვის გასჭიმამ, მალე გაწყდება და დაჰკარგავს თავის ძალას. ხოლო თუ მხოლოდ ნახევარს დღეს იხმარებ და შემდეგ დაასვენებ, მაშინ იგი მაგარი იქნება და საქმეშიაც გამორადგება იქამდის, სინამ არ გაწყდება.

ამაზისმა ის იყო მოაწერა ერთს ქალაქს ხელი, რომლის ძალითაც ერთს მოხელეს აძლევდა ნებას წყალ-დიდობისაგან დაზიანებულის ნაპირების გამაგრებისას, რომ მოსამსახურები მოახსენა: ტახტის მეშვედრე ვსამეტიხი გახლათ და თქვენთან რამდენსამე წამს მოლაპარაკება უნდაო.

ამაზისმა, რომელმაც სასიამოვნო ამბები მიიღო მთელს სახელმწიფოს ნაწილებიდან, მხიარულად მიიღო მოსამსახურის მოხსენება, მაგრამ მალე ჩაფიქრდა. შემდეგ რამდენიმე ხნის სიჩუმისა, უბრძანა:

— წადი და სთხარე ტახტის მეშვედრეს შემოვიდეს.

ვსამეტიხმა, როგორც ყოველთვის, ფერ-მკრთალმა და დაღვრემილმა, შევიდა თუ არა მამასთან, ვატიფის-ცემით დაუკრა თავი.

ამაზისმა გაჟავრებით ჰკითხა:

— რა გინდა შენ ჩემთან? მე ჩემი დრო განაწილებული მაქვს.

— განსაკუთრებით შენი შვილისათვის; მიუგო ფსამეტიხმა და ტუჩები აუკანკალდა. — შვიდ-ჯერა გთხარე დიდი მოწყალების მოღება, რომელიც მხალხოდ დღეს მივიღე.

— უკედრებას თავი დაანებე! მე მივხვდი შენი მოსულის მიზნებს. შენ გინდა განმარტო შენი ეჭვები ნიტეტიხის ჩამომავლობის შესახებ.

— მე ცნობის-მოყვარე არ გახლავარ და უფრო იმისთვის მოკუდი, შეგატყობინო და მოგაკონო, რომ, ჩემს გარდა ეს საიდუმლოება სხვამაც იცის!

— ჭანესმა?

— მას სხვამ ვინ? იგი, განდევნილი ეკვიპტიდან და თავის სამშობლოდან, რამდენიმე დღის შემდეგ ნაუკრატისიდან წავა.

ვინ გიდგება თავდებად, რომ იგი სპარსეთის წინაშე არ გავ-
ვცემს?

— გულ-კეთილობა და მეგობრობა, რომელსაც მე მას ყო-
ველთვის საჭმით ვუმტკიცებდი.

— მასშეუნი ხალხის პატივის-ცემა გწამს?

— არა, მაგრამ მე მრწამს ჩემი ნიჭიერება, რომლის ძალი-
თაც ხალხს ვარგად ვცნობილავ. ჭანესი ჩვენ არ გვიღალა-
ტებს! გიმეორებ, რომ იგი ჩემი მეგობარია.

— იქნება შენი მეგობარი იყოს, მაგრამ ჩემი ვი დაუძინებუ-
ლი მტერია.

— მასშეუნი მტერი. მე ვი იმისი არ მეშინიან.

— შენ ვი არა, ჩვენს სამშობლოს! თ, მამა-ჩემო, იფიქრე
მასზედ, რომ მე გეჟავრები, როგორც შეილი, მაგრამ მანც ახ-
ლო უნდა ვიყო შენს გულთან, როგორც ეგვიპტის მომავა-
ლი. იფიქრე, რომ შენი სიკვდილის შემდეგ, რომლისაგანაც
დაგინსნან ღმერთებმა მრავალს წელს, — მე, როგორც ესაა
შენ, ვიქნები წარმომადგენელი ამ საკვირველის ქვეყნის აწმყო-
სი, რომ მომავალში ტახტიდან ჩემი გადმოგდება ეგვიპტისა
და შენის სახლის დაღუპვა იქნება.

ამაჩისი თან და თან ფიქრთანდებოდა, ფსამეტიხმა ვი
გულ-მხურვალედ განაგრძო:

— შენ უნდა დამეთანხმო და დამეთანხმები ვიდუც, რომ მე
მართალი ვარ! იმ ჭანესის ხელშია გადასცეს ჩვენი ქვეყანა
რომელსაც გინდა გარეშე მტერს, ამისთვის, რომ მან ეს ქვე-
ყანა ისევე ვარგად იცის, როგორც მე და შენ. ამას გარდა,
მან იცის საიდუმლოება, რომლის გამომავალსაგანაც ჩვენს
მომხრეს ძლიერს სახელმწიფოს მტრად გადაგვიქცევს.

— შენა სცდები! ნიტეტისი თუმიცა ჩემი შეილი არ არის,

მაგრამ მაინც მეუთის შეილა და თავის ქმრის გულს ადვილად მიიზიდავს.

— თუ გინდ რომ იგი რომელიმე ღმერთის ქალიც იყოს, მაშინაც კი კამბიზი, გაიგებს თუ არა საიდუმლოებას, მტრად გაგვიხდება; შენ ხომ კარგად იცი, რომ სპარსელებს სიძრუვე უდიდეს დანაშაულად მიაჩნიათ და მოტყუება დიდ სიწმინდესად უჩნთ. შენ კი იმათგან უკვლავად ამპარტავანი და ძლიერი მოატყუე, და რას გააწყობს მარტო გამოუცდელი ქალი იქ, სადაც სხვა უფრო ბევრი ქალები ახვევიან მეუღეს, მანქანებითა და ცბიერებით სავსენი?

— განა მართალია, რომ სიმძულვარე და ჯიჯარის ამოყრის მჭკვრ-მეტყუელების საუკეთესო რსტატნი არიან? ჰკითხა მკვასხედ ამისისმა. უგუნურად შეილა, ნუ თუ შენა გგონია, რომ ამისთანა ძნელი საქმე მოუთუიქრებლად დავიწყე? დაე ჭანესმა თუ გინდ დღესვე უამბოს სპარსელებს ის, რაც მან კარგადაც არ იცის და დამტკიცებით კი ვერ დაამტკიცებს! მე—მამამ და ლადისა—დუდამ უფრო უკედ უნდა ვიცოდეთ, ვინც არის ჩვენი შეილა. ჩვენ რჩივნი ნიტეტისს ჩვენს შეილს ვეძახით; ვინ გაბედავს სთქვას, რომ ეს სიძრუვეა? თუ რომ ჭანესი, სპარსელებს გარდა, სხვა მტრებსაც შეატყობინებს ჩვენს სუსტს მხარეს, დაე შეატყობინოს; მე არავისი მეშინიან! ნუ თუ შენ გინდა დამითანხმო იმ კაცის დასაღუპად, რომელსაც ჩემთვის სიკეთის მეტი არა უქნია-რა და რომელიც ათს წელიწადს ერთგულად შემსახურა? გუბნები, რომ დაღუპვის ნაცვლად, მე მზად ვარ ყოველივე შემწეობა ამოკუჩინო, რომ გადავარჩინო შენს შურის-ძიებას, რომლის საზიზღარი მიზეზი მე კარგად ვიცი.

— მამა!

— შენ გინდა დაღუპო ეს კაცი იმისთვის, რომ მან შეგიშალა ხელი ძალად მოგეტაცნა ნაშუკრატისიღამი წოდებისის შეიღის-შვილი, იმისთვის რომ ის ჯარების უფროსად დაენიშნე, რომდესაც შენ ამ თანამდებობისათვის უნიჭო გამოდექი. ჭკუითაღლები? სწორედ მადლობელი ვარ ძანესისა, რომ წინადავე შემატყობინა შენი საზიზღარი განზრახვანი და ამით მომცა შემთხვევა მიმიზიდნა გული იმ ხალხისა, რომელთაც შეადგენს ჩემის ტახტის ძლიერებას და რომელსაც წოდებისი ძვირად უღირს.

— მამა, როგორ შეიძლება უცხო ქვეყნელების აგრე ქება და ეგვიპტის ძველი დიდების დაკვიწყება! გამაზნძლე მე, რამდენიც გნებაკდეს; მე ვიცი, რომ არ გიყვარვარ, მაგრამ იმას ვინუ იტყვი, რომ ჩვენი დიდებისათვის უცხო ქვეყნელი საჭირონი არიან. გადასთვალერე ჩვენი ისტორია! როდის ვიყავით უკუაზოდ ძლიერნი? მაშინ, რომდესაც უკუა უცხო ქვეყნელისათვის ეგვიპტის კარები დაკუტილი იყო: რომდესაც ჩვენი თუხით დაკდიოდით, გვწამდა ჩვენი ძლიერება და ვცხდობოდით ჩვენი ღმერთების და მამა-პაპათ ძველის განონებისა მებრ ის დრონი მოწამენი იყვნენ რამზეს დიდის ძლიერებისა, რომელმაც დაუძირა ჩვენს ძლიერ-მოსილს იარაღს უძირკესნი ქვეყანანი; ის დრონი იყვნენ მოწამენი, რომ მთელნი ქვეყანა ეგვიპტეს უძლიერეს სასულძიფიფოდ სთვლიდა დედა-მამის ზურგოდ. ესა რადა ვართ ჩვენა? თვით შენის პირიღამ მესმის, რომ შენ უცხო ქვეყნელ ღარიბ-ღატაკთ დასხულძიფიფოს ბურჯად სთვლი; მე ვხედავ, თუ შენ, მეფე, როგორ ცრუობ, რომ მოიზორო იმ ერთა მეგობრობა, რომლებოდესაც არა ერთხელ გაგვიმარჯუნია იქამდის, სინამ უცხო ქვეყნელები ნიღოსის ნაპირებოდ არ გამოჩნდენ. ეგვიპტის ქვეყანა მდიდრად

იყო მორთული და ძლიერიც იყო, ესაა კი იგი ფერ-წასულისა
 ღ წიხილ-პიპილებით მორთული, წარმოადგენს წესიერ და ღაღა-კაცი.

— ენა დაიმოკლე! დაუყვირა ამისთვის და თუბრა-
 ხუნა. ეგვიპტეს თავის დღეშიც არ უნახავს ამისთანა დიდება
 და აყვავება! წამყესმა გადიტანა ჩვენი იარაღი შორეულს ქვე-
 ნებში და სისხლის ღვრით დაიმორჩილა ზოგიერთი ხალხი;
 მაგრამ მე კი ის მოვასხერხე, რომ ჩვენი ქვეყნის ნაწარმები
 მიდის შორეულს ქვეყნებში და სისხლის ნაცვლად სიმდიდრე
 და საუნჯე მოაქვს ჩვენთან. წამყესი თავის ქვეშევრდომებს
 სისხლსა და ოფლს აღვკვირებდა თავის სახელის დიდებისა-
 თვის, მე კი ის მოვასხერხე, რომ სისხლი უბრალო საქმისა-
 თვის არ იღვრება, ოფლი კი ყოველ მუშაობის დროს და რომ
 ყოველი მოქალაქე სიკვდილამდის უშიშრად და ბედნიერად
 სცხორებოდა. ნილოსის ნაპირებზედ ათი ათასი ადგილია მჭიდ-
 როდ დასახლებული, არც ერთი მტკაველი მიწა შეუმუშავებელი
 არ დაჩენილა, არც ერთი ბავშვი ეგვიპტეში არ მოიპოვება,
 რომ განიხილოს მთავრობის ქვეშ არ იყოს, ვერც ერთი ავა-
 ჴავი ვერ დაემალება ფხიზელს მთავრობას. თუ რომ ჩვენ
 მტრები დაგვეტყვიან, მაშინ, ჩვენი ციხეების, ზღვებისა, უდაბ-
 ნოების და საკუთრად ეგვიპტის ჯარის გარდა, ჩვენს გვეყავან
 საუკეთესო მეთარხნი—სამი ათასი ელანი. ასეთია ჩვენი ეგვი-
 პტის საქმეები. წამყესის დროს ბევრი სისხლი დაიღვარა ეგ-
 ვიპტეში, მაგრამ დიდებული მანც არ იყო; ესაა კი ნამდვი-
 ლად და უტყუარად დიდებულია და ბედნიერი და ყოველივე
 ამის მიზეზი მე ვარ.

— მე მანც გეტყვი, უთხრა შემკვიდრემ, რომ ეგვიპტე
 ხეა, რომლის ტოტებისაც ჭია გასჩენია და დღესა თუ ხვალ
 სრულიად გაანადგურებს. ოქროსა და ვერცხლის მონეტების სურ-

ვიღმა, მდიდრულად და ბრწყინვალედ ცხოვრებამ ყველას გული წაუხდინა. უცხო ქვეყნულთ მდიდრულმა ცხოვრებამ სრულიად ბოლო მოუღო ჩვენს მარტივს ონე-ჩვეულებას. ხშირად მესმის რომ ეგვიპტელნი, ეფინებისგან გარყვნილნი, დასცინიან უძველეს ღმერთებს; ჩხუბი და აყაღმაყაღი ჩამოვარდა ქურუმების და მეომრების შორის. უცხო ქვეყნელნი და ეგვიპტელნი ყოველს ციამარე ღღეს ჩხუბობენ. მწყემსი და სამწყესო ერთმანეთში ჩხუბობენ; სახელმწიფოს წისქვილის ერთი ქვა მეორე ქვას ამტვრევს იქამდის, სინამ ორივენი მტკრად არ იქცევიან. დღად, მამა-ჩემო, თუ ყოველისთერს ღღეს არ ვიტყვი, სხვა დროს თქმა აღარ მეღირსება მისი, რაც ჩემს გულს აწუხებს! იმ დროს, როდესაც შენ სახელმწიფოს ბურჯს—ქურუმთა წოდებას ებრძოდი, გულ-მშვიდად უყურებდი ნორჩი სპარსეთის სახელმწიფოს გაძლიერებას, რომელმაც მრავალი ქვეყნები დაიმონა და აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გამოიწია. იმის მაგივრად, რომ დახმარებოდი ღიღიულებს და ბაბილონელებს, როგორც წინა პირველად გინდოდა, შენ ეხმარებოდი ბერძნებს მათის ცრუ-ღმერთებისათვის ტაძრების ასაშენებლად. მაგრამ როდესაც ყოველივე წინააღმდეგობა შეუძლებელი იყო, როდესაც სპარსეთმა ნახევარ ქვეყანა დაიპყრო და, რაც ნებაკდა, იმას სთხოვდა ყველა ხელმწიფეთ. მაშინ უკვდავმა ღმერთებმა ერთხელ ვიდევ მოისურვეს შენი შველა ეგვიპტის დასახსნელად. კამბიზი დაინიშნა შენს ქაღზედ; მაგრამ შენის სისუსტის გამო ვერ გაიმეტე შენი ქალი შეგეწირა მთელი სახელმწიფოს ბედნიერებისათვის და უგზავნი სხვა ქალს, რომელიც შენი შვილი არ არის; ამას გარდა შენის უხასიათობით იფარავ იმ უცხო ქვეყნულს კაცს, რომელსაც ხელთ უჭირავს შენი სახელმწიფოს ბედი და უბედობა, თუ რომ იგი უფ-

რო ადრე არ დაიწყო შინაურის არეულობის გამო!

აქამდის ამისი, სიბრძნისგან გაუვითლებული, ყურს უგდებდა შვილის ლაპარაკს. მაგრამ ესაა კი კვლავ მოითმინა და წახიანის ხმით შექუიკრა:

— შენ იცი, ვინ უნდა გამეწიროს სასიკვდილოდ, თუ რომ ჩემი შვილები და ჩემგან დაარსებული სახელმწიფო სახლი უფრო ძვირად არა მღირობოდა, სინამ ამ ქვეყნის კეთილ-გან-განწყობილება? იცი, შენა, ტრახახა და გესლიანის გულის პატრონო შვილო, ვინ არის ის კაცი, რომელიც ამ მშვენიერის უძველესის სამეფოს დამტყვევი შექმნება? ეს შენ თვითონა ხარ, ფსამეტის, რომელსაც მთელი ერი შიშით გიყურებს, შენ, რომლის გულმაც არ იცის სიყვარული, მკერდმა—მკობრობა, სახემ—ღიბილი და სულმა—შებრალება! ღმერთების წუკვლამ დამღუბული სასათისა გაგხადა და უფულისაგ შენს დაწყობი-ლობას ცუდი ბოლო მოუღის. ესაა შენ დამიგდე ყური, რად-განაც მინდა გითხრა ის, რისიც თქმას აქამდის მამობრიული გული ნებას არ მძლეკდა. მე გადმოვაგდე ტახტიდამ მეფე და ძალა დავატანე თავის და ტენტხუტი ჩემთვის მოეთხოვებინა. მან შემეყვარა და იმედი მქონდა, რომ ერთის წლის შემ-დეგ მამა გაგხდებოდა. შენი დაბადების წინა-ღამეს, ჩემის ცო-ლის კრატის გვერდით მჯდომს ჩამეძინა. მაშინ სიზმარს ვხანსე, ვითომც დედა-შენი ნილოსის ნაპირზედ იწვა. იგი შე-მოძრიადა გულის-ტვირთს. მე დავხედე მას და დავინახე, რომ იმის გულზედ კიპარისის ხე ამოსულიყო. ხე თან და თან იზდებოდა და აქედ-იქით ტოტებს უშვებდა, ფესვები კი დედა-შენს გარს შემოეხვია და დაიხრო. შიშისაგან გავიყინე. მე მინდოდა გაქტეულიყავ, მაგრამ უეცრად აღმოსაკლეთიდა მსაშინელი ქარიშხალი ამოვარდა, კიპარისის ხე მოგლიჯა ისე,

რამ მისი დიდრწონი ტოტები ნილსში ეწყო. მაშინ მდინარე შეგუბდა, მისი წყალი გაჭკავდა და ჩემს წინ მდინარის მაგივრად უდიდესი მუძია იდო. წყლის ნაპირის ქალაქები მიწასთან გასწორდნენ და გადაქცნენ სასათუჯაოებად, რომელნიც, სამარკუსით, ნილსის უზარ-მაზარს გვამს გარშემო შემოვლავდნენ. ამ დროს გამომეღვიძა და ვუბრძანე სიზმრის ამსსნელება მოეყვანათ. ვერც ერთმა მათგანმა ვერ ამიხსნა ეს საკვირველი სიზმარი; ბოლოს ამონ ლივიის ქურუმთ ამიხსნეს ამ გვარად: «ტენტსეტი შეიღოს შობის შემდეგ მოკვდა, გიზარისის ხე შეიღია, მოჭმუხვნილი და ავის გულის კაცი, თავის დედის დამხრჩობი. ამის მეფობის დროს აღმოსავლეთის ხალხი ნილსს, ე. ი. ეგვიპტელთ, მოჭკლავს და მათს ქალაქებს დაანგრევს».

ფსამეტიხი გაფითრებული იდგა მამის პირდაპირ, მამამ განაგრძო:

— დედა შენი მოკვდა შენი შობის შემდეგ; შენ გაიზარდე და განდი ბოროტი კაცი; უბედურება ყველგან თანა გდევდა, რისათვისაც საუკრელი ცოლი და ოთხი შვილი დაჭკარკო. როგორც მე ბედნიერს ვარსკვლავად ვარ დაბადებული, ისე შენ, ვარსკვლავთ-მრიცხველების გამოანგარიშებით, დაბადებულხარ მაშინ, როდესაც საშინელი პლანეტი სება გამოჩენილა; შენ...

ამაზისმა გასწევიტა ლაზარაკი, რადგანაც ფსამეტიხს, რომელმაც საშინელი ამბები გაიგონა, გული წაუვიდა და კბნისით მხალხოდ ამასლა იძახდა:

— იკმარე, სასტიკო მამაკ, იმაზედ მაინც ნურას იტყვი, რამ მე ერთად-ერთი შვილი ვარ მოელს ეგვიპტეში, რომელსაც მამა მღვენის.

ამაზისმა დახედა გაუვითლებულს ვაცს, რომელიც მის თვებით წინაშე დაეცა. მისი მრისხანება სიბრალეულად გადაიქცა. მან იგრძნო, რომ ძაღვიან სასტიკად მოექცა შვილს, რომ თავის ღაზარკით ფსამეტისს გული დაუგონდა მათი, რომ მოგონა ღრმობის წლის წინად მომკვდარი დედა. დიდის ხნის შემდეგ მან პირველად შეხედა, როგორც მამამ და ხუგეშის-მტკემელის პირ-მჭუმე შვილს, რომლის გულშიაც სიყვარული და სიბრალეული აჩაოდას არ ყოფილა. მის ჩივილს გულს ესლა პირველად მიუცა შემთხვევა მოსწმინდოს შვილს ცრემლები. დიდის სინარულით ისარგებლა მან ამ შემთხვევით, მკვნიასარი ფსამეტისის წინ დაეშვა და აკოცა მას შუბლზედ, მერე წამოაყენა ზეზედ და გულ-მტკიანეულად უთხრა:

— მახატოვო, შვილო! შენი გამაჯარებელი სიტყვები ამაზისის პირიდან გი არ ამოვიდა, არამედ სიბრალის ყბიდან. შენ მრავალთა წლის განმავლობაში მაჯარებდი შენის გულ-გრძობით, მტარვალობით და უხიანობით. დღეს შენ ჩემს საუკეთესო გრძობას ცუდად შეესე, ამისათვის მეც გაგბრალდი. ამას იქით ჩვენ შორის ყველაფერი კარგად იქნება. თუძცა ჩვენ სასაათებით ისე გავიჩივით ერთმანეთისაგან, რომ, არა მგონია ორივეს გული ერთად მოთავსდეს, მაგრამ ამას იქით გი ჩვენ ერთმანეთის თანახმად ვიმოქმედოთ და სიტყვა დაუუთმოთ.

ფსამეტისმა თავი დაუკრა და აკოცა მამას ტანისამოსზედ.

— არა, კბრე არა, უთხრა მამამ: ტუჩებში მაკოცე. აი კბსხვა საჭმეა, სწორედ ასეც უნდა იყოს მამა შვილით შორის! რაც შეესება იმ საშინელს სიზმარს, რომელიც მე გაამბე, იმისი ნუ შეგეშინდება. სიზმარი — მოჩვენებაა, რომელსაც ღმერთები

გვიკლინებენ, მაგრამ მისი მხსნელები სცდებიან. შენ ხელები ისევ გიკანკალებს და სახე გაუკითლებული გაქვს. მე ძალიან სასტიკად მოგეძევე, ისე სასტიკად, რომ მამას...

— ისე სასტიკად, რომ უცხო უცხოს არ მოეძევა ასე, უთხრა მეფეს შემკვიდრემ. შენ სრულიად გამანადგურე; თუ აქამდის ჩემს სახეზედ ღიმილი არა სჩანდა, ამას იქით ეს სახე იქნება სარკვე უბედურებისა.

— არა, უთხრა ამაზისმა და მხარზედ ხელი დაადო, თუ მე შენ დაგკოდე, მოსარჩენი წამალიცა მაქვს. მითხარ, რაც კა სურს შენს გულს და მე აგისრულე!

ფსამეტისს თვალები გაუბრწყინდენ, მის გაუკითლებულს სახეს სიწითლე დაეტყო და უთხრა ძველკარეს სძიოთ:

— მამეცი მე ძანესი, ჩემი მტერი.

მეფე რამდენსამე ხანს ჩაფიქრდა, შემდეგ უთხრა:

— მე ჩემს უნებურად უნდა ავასრულო შენი თხოვნა, მაგრამ უფრო სასიამოვნო კი იქნებოდა ჩემი ნახევარ ზაზინა გეთხოვნა. რაღაც იდუმალი ხმა ჩამჩურჩულებს, რომ უნდა ჩავიდინო ისეთი სიჭმე, რომელიც არ შემფეროს და რომელიც დამღუბკელი იქნება, როგორც ჩემთვის და შენთვის, ისე მთელის სახელმწიფოსათვის. ჯერ კიდევ იფიქრე, სინამ მოქმედებას დაიწყობდე; მაგრამ წინადადეგებები, რომი ძანესის შესახებ, რა გინდ ცუდი განზრახვა გქონდეს, როდობისის თაყვედ ერთს ბეწვსაც ნუ ახლებ ხელსა; ამასთანავე უნდა ეცადო, რომ შეგან ჩემის მეგობრის დევნა საიდუმლოდ დაჩქეს, განსაკუთრებით ბერძნებისათვის. სად ვიპოვი ისეთს სარდალს, მჩხველს და მოსაუბრეს, როგორც ის იყო? მაგრამ ის მაინც ჯერ შენს ხელში არ არის და ამისათვის წინადადეგ გავგონებ, რომ თუ შენ ხარ ცბიერი და მოხერხებული, როგორც ეგვიპ-

პტელი, არც ჭანესს აკლას ცბიერება და ხეჩხი, როგორც ელინელს! განსაკუთრებით დაუტოვე უოკელივე განზრახვა როდობისის შვილის-შვილის შესახებ. რაც შეეხება ეგვიპტეს, გიმეორებ, რომ ჩემი სახელმწიფო ამანკედ ბედნიერი თავის დღეში არა უფილა. მხლელდ უკმაყოფილო ქურუმნი და ხალხი ამბობს, რომ ეგვიპტე ესა უბედურია. შენ გინდა შეიტყო ნიტეტისის ჩამომავლობა? მაშ უური დამიგდე, შენის საკუთარის სარგებლობისათვის ამ საქმის შესახებ უნდა ჩუმიდ იყო!

ფსამეტისი დიდის უურადლებით უგდებდა ყურს მამის საუბარს და, როდესაც გაათავა, მადლობა გადაუხდა.

— ახლა მშვიდობით! უთხარ ამანისმა და ამით გაათავა შვილთან ლაპარაკი. ნუ დაივიწყებ, რაც გითხარ და განსაკუთრებით გთხარ არავის სისხლში ხელი არ გაისვარო. საწყალო ათინელი ჭანეს! რა მხიარულათა ხარ! უმჯობესი იქნებოდა შენთვის, ამ ქვეყანაში თავის დღეში არ მოსულიყავ.

როდესაც ფსამეტისი გავიდა მამის ოთახიდან, უკანასკნელი დიდ ხანს ფიქრობდა და წინ და უკან ბოლთასს სცემდა. იგი ნახობდა, რომ მისცა თავის შვილს ნება და თვალ-წინ უდგებოდა სისხლში შესვრილი ჭანესი, რომელიც მის წინაშე იდგა ტახტიდგან გადმოგდებულ გოჭრუსს აჩრდილის გვერდით. «მაგრამ მას ხომ მართლა შექმლო ჩვენი დაღუპვა, — ცდილობდა გაემარტლებინა თავის თავი სინიდისის წინაშე, — შემდეგ შეკრთა, წელში გაიმარტა, დაუძახა მოსამსახურეებს და დიმილით გამოვიდა ოთახიდან.

ნუ თუ ამ სუბუქმა ქუდბუდიანმა კანმა ასე მალე დაიმშვიდა თავისი სკინიდისი? ან იქნება იმდენად თავდაჭერილია, რომ დიმილით ჭყარავს თავის გულის ტანჯვას?

VII

ფსამეტისი გამოვიდა თუ არა მამის ოთახიდან, მაშინვე ღმერთის ნიტიის ტაძარში წავიდა. ტაძრის შესავალთან უძალესი ქურუმი იკითხა. ტაძრის მოსამსახურეთ სთხოვეს მოეცადა, რადგანაც დიდი ნიტიტები წმიდა-წმიდათა შინა იყო და ეკიდებოდა ცის უდიდეს დედოფალს.

ასალ-გაზდა ქურუმი მალე მოვიდა და უთხრა, რომ ნიტიტები ხელისა.

მდიდრულად მოერთულს ოთახში, დაფენილს ბაბილონის ხალხებით, სამოც-და-ათის წლის მოხუცა ნიტიტები სულზედ იჯდა, თუბი პატარა სკამზედ ეწყო. მას ხელში დასვეული ქალაქი ეჭირა, რომელზედაც იეროგლიფური ნიშნები ისხდა. უგან ბავშვი უღვა და სიწაქლემის ფრთებით ბუზებს უგერებდა.

მოხუცს ქურუმს სახე მოღმეჭილი ჰქონდა: მაგრამ ეტყობოდა კი, რომ წინად ჯამაზი უნდა ყოფილიყო. დიდროსს ლურჯს თვალებში გონიერება ესატებოდა. ქურუმმა მეგობრულად მიიღო ტახტის შემკვიდრე და უთხრა:

— რამ მოგიყვანა ჩემთან ჩემო უგანათლებულესო შვილო?

— მე ბევრი რამა მაქვს სათქმელი, ჩემო მამავ, მიუგო ფსამეტისმა გამარჯვებულის დიმილით; მე ეს არის ამასისი-გან მოუდივარ.

— ესაა მაინც არის მოგისმინა?

— ძლივს!

— სახესუდ გეტყობა, რომ ჩვენს მბრძანებელს და შენს მამას ალერსიანად მიუღიხარ.

— დიად, შეძგეგ იმისა, რომესაც გამიჩისხდა. რომესაც გამიკუცხადე სურვილი, რომელც შენ ჩამაგონე, იგი საშინლად გაბრაზდა და დამიწყო კიცხვა.

— იქნება გააჯაკრე? თუ რომელიც მე დაგარბე, ისე თავმდაბლად მიხვედი?

— არა, მამაკ, მე აღუკლებული ვიყავ.

— მას ამისი სამართლიანად გააჯაკრების; თავის დღეში შეიღი მამას უკმაყოფილოდ არ უნდა მოექცეს, განსაკუთრებით მაშინ, რომესაც რამე სათხრავარი აქვს. შენ ხომ იცი თქმულება: «ხატის მცემელი მამისა დიდ ხანს იცოცხლებს». აი ხედავ, შეიღო ჩემო, შენ ყოველთვის დანაშაული გამოდიხარ იმით, რომ გინდა ძალით აისრულო სურვილი, რომელსაც მშვიდის და წყნარის ქცევით უფრო აისრულებ. კეთილი სიტყვით უფრო ბევრს გაარბებს კაცი, ვიდრე ბოროტის სიტყვით. გამიგონე რა გითხრა: დიდი ხნის წინად ეგვიპტეს განაგებდა მეფე სნეჭრუ, მცხოვრები მეძებისში. ერთხელ მას ესიზმრა, რომ პირიდან ყველა გბილები გამოსცვივდა. მან მაშინვე მიიხმო სიზმრის ამხსნელი, რომელსაც უამბო თავის სიზმარი. უგანასკნელმა უთხრა: «ო მეფე კ ვაება შენ, ყველა შენი ნათესავები შენზე ადრე დაიხრცებიან!» გაბრაზებულმა სნეჭრუმ აცემინა საცოდავი და სხვა სიზმრის ამხსნელს დაუძახა, რომელმაც სიზმარი ასე აუხსნა: «დიდო მეფე, დიდებულ იყოს სახელი შენი, შენ ყველა შენს ნათესავებზედ დიდ ხანს იცოცხლებ!» მეფეს გაუღიმა ამ სიტყვებზედ და ეს უგანასკნელი სიზმრის ამხსნელი დასაჩუქრა; ამისთვის რომ, თუძცა მორქმაც ის უთხრა, რაც პირვალმა, მაგრამ მან უფრო თავაზიანად მოახერხა თქმა. ხომ გესმის ჩემი ლაპარაკის აზრი? მას ამას იჭით ეცადე ხოლმე რაც გინდა, ყოველივე

თავისადად გამოსთქვა, ამისთვის რომ, განსაკუთრებით მეფისათვის, საჭიროა იცოდეთ როგორც ის, თუ როგორ ეუბნებიან, ისე ის თუ რას ეუბნებიან.

— ა, მამა ჩემო, რამდენჯერ დაგირიგებია ავრე, რამდენჯერ მე თვით მიგვრძნია, რომ ჩემის თავისთვის მე თვითონ მიმიყენებია შეურაცხება ჩემის ცუდის ქცევით; მაგრამ ვერ შემიძლია ხასიათის გამოცვლა, ვერა...

— უძჯობესია სთქვა, რომ არ გინდა. ნამდვილმა კაცმა ის აღარ უნდა ჩაიდინოს მეორედ, რაც ერთხელ შეუნანია. მაგრამ კმაწა დაწიგება. მიაძბე, როგორ დააშოშმინე გაბრალებულ მამა შენი!

— შენ იცნობ მამა ჩემს. როდესაც მან დაინახა, რომ მამის სიტყვებმა საშინლად შემაძრწუნეს, მან შეინანა თავის სიბრავე. მან თითონ იგრძო, რომ მეტის-მეტად სასტიკად მომეპყრო და განიზრახა რითიმე გამეყსიდა თავის დანაშაული, რა თქმაობა უნდა დასჯდომოდა.

— იგი კეთილის გულისაა, მაგრამ შოკს-მხედველი ჭკუა არ აქვს! უთხრა ჭურჭმმა: რა ძვირფასი იქნებოდა ამისი ეკვიპტისათვის, მან რომ ჩვენს რჩევას და ღმერთების მცნებას გაუგონოს!

— რაჟი ძალიან შეკვცოდა, დამთანხმდა, — კარგად დამიგდე ყური, მამა ჩემო, — დამთანხმდა შემომწიროს ძანესის სიცოცხლე!

— რა ნაირად აბრიალებ თვალებს! ეგ კარგი არ არის, ფსემეტიხ! ათინელი უნდა მოიკლას, რადგანაც ღმერთებს შეურაცხება მიაყენა; მაგრამ მსაჯულს, რაც უნდა სასტიკი იყოს, არ უნდა უხაროდეს, პირაქით იგი უნდა სწუხდეს სიკვდილით დასასჯელ კაცისათვის. მითხარ კიდევ რა მოახერხე?

— მეფემ შემატყუებინა, ვისი სახლის ჩამომავალიც არის ნიეტეტისა.

— სხვა არაფერი?

— არა, მამა ჩემო, მაგრამ არ გესიამოვნება გაიგო...

— ცნობის-მოყვარეობა ქალების ნაკლულეკანებას. მაგრამ მე დიდი ხანია ვიცი ისა, რაც შენ უნდა მითხრა.

— მას გუშინ რად მითხარი მამი-ჩემისათვის ყოველის ფერი გამომეკითხა?

— შენს გამოსაცდელად, რომ გამეგო ღმერთების ერთგული ხარ თუ არა და შეასრულე მათს ბრძანებას თუ არა. მე ვსჯდავ, რომ შენ გულ-წრთულად გაატყუებინებ, რასაც იგებ და ასრულე ჭურუმის უბრკელეს სურვილს — მოჩილებას.

— მას შენ იცი, ვინც არის ნიეტეტისის მამა?

— მე თვით წაკითხე ლოცვები მეფე გოტირუს საფლავზედ.

— მერე ვინ გაგიმხილა საიდუმლოება?

— საუკუნო ვარსკვლავით, შვილო ჩემო, და ზეციურის წიგნის წაკითხვის ცოდნამ.

— კვ ვარსკვლავები ვი არას დროს არ ატყუებენ ვაცს?

— ნამდვილად განსწავლავს ვაცს არას დროს არ ატყუებენ.

ფსალმების გაყვითლდა. მას მოაგონდა მამისგან ნაამბობი სიზმარი და საშინლად შეძრწუნდა. ჭურუმმა მასშინვე შენიშნა სახეზედ ცვლილება და უთხრა ტკბილის ხმით:

— შენ იგონებ ზეციურს უბედურ ნიშანთ შენის დახადების დროს და დაღუპული გგონია შენი თავი; გამხნედი ფსალმების: იმ დროს ასტროლოგებმა ვერ შენიშნეს სხვა საბუდნიურ ნიშანი, რომელნიც ჩემს თვალებს ვერ დაემალა. შენი და-

ბაღების ცის დასაკალო ცუდი იყო, ძალიან ცუდი, მაგრამ შე-
იძლება ის კარგი გახდეს, შეიძლება...

— მითხარ, მამა ჩემო, მითხარ!

— ყოველისთვის კარგად იქნება, თუ რომ შენ ყოველის
თვის დაივიწყებ, იცოცხლებ მხოლოდ ღმერთებისთვის და
დაემორჩილები მათს ხმას, რომელიც ჩვენ გვესმის წმინდა-
წმინდათა შინა.

— მომეცა ნიშანი მამა ჩემო და ყოველისთვის ავასრუ-
ლებ!

— მოგანიჭოს საისის დიდმა ნიეტამ! დაღად-ჰყო ქურუმმა
დიდებულის ხმით. — ეხლა კი, შეილო ჩემო, განაგრძო მან
ტობილად: თავი დამხებე, წადგანაც დავიღალე დიდის ხნის
ლოცვით და მოხუცებულობით. თუ შეიძლება ჯერ დაგვიანე
ქანისის სიკვდილი: მე მინდა მასთან მოვილაპარაკო, სინამ
მოკვდებოდეს. აი კიდევ რა: გუშინ აქ შემოვიდა ეჭიოპთა ჯა-
რი. ამ ჯარმა ერთი სიტყვაც არ იცინა ბერძნულად. თუ კარ-
გი სარდალი ეყოლება, რომელსაც ათინელიც და ადგილიც
ეცოდინება, ეს ჯარი ადვილად დასჯის დამნაშავეს. ნაუკრატის-
ში წასვლის დროს ამ ჯარმა არ უნდა იცოდეს თავის მო-
გზაურობის საგანი; როდესაც საჭმე გაკეთდება, მაშინ იგინა
ისევე გუშინ გაკვზავნოთ. გახსოვდეს, რომ საიდუმლოება,
რომელიც არა ერთმა კაცმა იცის მხოლოდ, ნახევრად გამო-
სჭარაებულა. მშვიდობით!

ფსამეტისი გავიდა მოხუცის ოთახიდან. რამდენიმე წამის
შემდეგ შემოვიდა ახალ-გაზდა ქურუმი, ხელმწიფის ერთი მო-
სამსახურეთაგანა, და ჰკითხა მოხუცს;

— რას ბრძანებთ, კარგად მიგდია ყური, მამა ჩემო?

— კარგად, ჩემო შეილო, შენ ანათური გაგზავნია ამან-

სისა და ფსამეტის ღაპარკადამ. იზიდა იყოს შენი მფარველი.

— დღევანდელს ღაპარკს ურუჯ კი გაიგონებდა, რადგანაც მეფე ისე ღრიალებდა, რაგორც ხარი.

— დიდმა ნიტიმა დაავიწყა მას სიფრთხილე. წადი ახლან თვალ-ყური კარგად გეჭიროს და თუ ამაზისმა ჭანესის შესახებ განზრახვა შესცვალა — რაც ადვილად შეიძლება — მაშინვე შემატყობინე. შენ ყოველს შემთხვევაში შინა მნახავ. უბრძანე მოსამსახურეთ, რომ მათ შეს მუტი ჩემთან მომსკლეონი აჩვენებინ, უთხარ რომ ვლაცულოზ წმინდა-წმინდათაში. ღმერთები იყვნენ შენი მფარველები!

იმ დროს, როდესაც ფსამეტისი ჭანესის დასაჭერად ეზადებოდა, გრეზი თავის მოგზაურებით ჯდებოდა ნილოსის სამეფო გემში, რომ ნაუკრატისში წასულიყო და მუცრუ სადამო რადობისას სასხლში გაეტარებინა.

გრეზის შვილი გიგესი და გიდეკ სამი ახალ-გაზდა სპარსული საისში დარჩნენ, რადგანაც აქაც კარგს დროს ატარებდნენ.

ამაზისი დიდის აღერსით ეჭვოდა მათ, ეგვიპტის ჩვეულებებისამებრ, ნება მისცა ენახათ თავის ცოლის საზოგადოება, გაგეს სძლის თამაშობას ასწავლიდა და იჩენდა დიდს ოხუჯობის და სიმხიარულის ნიჭს; მას უხაროდა, როდესაც სტუმარნი მის ქალების ბურთაობასა და რკლების თამაშობაში იღებენ მონაწილეობას.

— ეს თამაშობა, სთქვა ბარტამ იმის შემდეგ, როდესაც ნიტეტისმა სვილოს ძულის ჯოხით რამდენჯერმე შეათამაშა ჯენტობით მორთული რკალი: — უსათუოდ ჩვენს სამშობლოშიაც უნდა შემოვიღოთ. ჩვენ, სპარსელები, თქვენ, ეგვიპტელები

აწა გგეკართ, ყოველსავე ახალს და უცხო ქვეყნურს იმდენად
სინარულთ ვითვისებთ, რამდენადც თქვენ იწუნებთ. მე ამ თა-
მისობის ამბავს ვუამბობ დედა ჩემს კასანდანს და იგი დიდის
კმაყოფილებით დათანხმდება, რომ ჩემის ძმის ცოლები ამ თა-
მისობით ერთობოდნენ.

— უსათუოდ მოახერხე ეგა, უსათუოდ, უთხრა ქერთიანმა
ტანატმა და-თან გაწითლდა. ნიტეტისი მონაწილეობას მიი-
ღებს მკ თამისობაში და რცხებით სამშობლოში გადმოვა თა-
ვის გულის სწორებითან.—შენ კი, ბარტია, განაგრძე დაბალის
ხმით:—რკალის ტრიალს უყურებდე და ამ დროს მოაგონებდე
ხალძი.

ახალ-გაზდა სპარსელმა დიმილით უთხრა:

— მე ეს დრო თავის დღეში არ დამავიწყდება! შემდეგ მი-
უბრუნდა თავის მოძავალს მეუღლეს და ხმა-მაღლა მხინარულად
უთხრა: ნუ ფაქობ, ნიტეტის, დაწმუნებული ვარ, რომ
ჩვენა ქვეყანა მოგეწონება. ჩვენ, აზიელთ მშვენიერების
პატრონის-ცემა ვიცით; ეს იმით ამტკიცდება, რომ რამდენიმე
ცოლი გგუავს.

ნიტეტისმა ამოიხრა და ხელმწიფის ცოლმა ჯადისამ
უთხრა:

— მაგათი იმას ამტკიცებთ, რომ ქალას ბუნება არა
გცოდნიათ. შენ ვერ წარმოიდგენ, ბარტია, რასა გრძნობს ქა-
ლი, როდესაც იგი ხედავს, რომ მას ისე უყურებს, როგორც
რომელსამე სათამაშობს, ან ძვირფას ცხენს და ან ძვირ-ფას
ჭურჭელს. ის ვატი, რომელიც მას თავის თავზედ უფრო ძლიერ
უყვარს და მზად არის ყოველივე, რაც კი ძვირად უღირს, მას
შესწირას. ათასჯერ უფრო სწეუნია, როდესაც სხვა ათას

ჭაღს უნაწილებს იმ სიყვარულს, რომელიც საჭიროა, რომ მხალხოდ ერთს ეკუთვნოდეს.

— აი ხედავ, რა ხაირი ეჭვიანია! უთხრა ამასმის. ამ ლა-
პარაკით იგი ამას არ ამბობს, რომ მე ვითომ რამდენჯერმე
მიღალატნია მისთვის?

— არა, ჩემო ძვირფასო, მიუგო ლადისამ: ამ შემთხვევაში
თქვენ, ეკვიპტელი, უკუაა სხვა გაცებს სჯობიხართ; თქვენ
ერთგულნი ხართ და გამაფრთხილი იმით, რაც ერთხელ შეიყვარ-
ეთ; მე გაგებდავ და ვიტყვი, რომ არც ერთი ქალი ეკვიპტე-
ლის ცოლად ბედნიერი არ იქნება. თვით ბერძნებიც კი, რომ-
ელნიც უფრო მშენივრად აწეობენ ცხოვრებას, სინამ ეკვი-
პტელი, ისეთს ჰატრის ვერა სტემენ ქალებს, როგორც ღირ-
სნიც არიან. მათ დედ-მამანი ძაღას ატანენ მთელს დღეს ართან
და ქსოვონ, რისგამოდ ელინელი ქალები მჭმუნვარებით ატა-
რებენ თავიანთ სიყმაწვილს და შემდეგ თხრვდებიან უცნობს
გაცხედ, რომელიც იშვიათად შედის ქალის ოთახში. ჭაღს ნუ-
ბა აქვს დასწრის გაცების საზოგადოებას მხალხოდ მაშინ,
როდესაც მის ქმართან ახლო ნათესავნი და მეგობარნი მიუ-
ჯენ, მაგრამ მაშინაც ქალი მოკრძალებით იქცევა და ვერ იგებს
ქვეყანად რა ხდება. ჩვენც ჯვარს სწავლის შექმნის სურვი-
ლი და ეს არც უნდა დაეშალოს ჩვენს სქესს, იმისთვის რომ
ჩვენ, მომავალ დედებს, შეგვიძლოს ჩვენი შვილების აღზრდა.
რას ასწავლის თავის ქალებს ელინელი დედა, როდესაც მან
თვითონ არათუ იცის და არათუ გამაფრთხილია. ამისათვის
ბერძენი ძალიან იშვიათად გამაფრთხილებს თავის კანონიერის
ცოლით, რომელიც გონებით მასვე დაბლა დგას, და მიდის
ბუტეების სახლში, რომელთაც შეუწყობელი ვაკშირი აქვთ
სხვა სქესთან, უკუელისთერს გაცებისგან სწავლობენ და ამის

შემწობით ამკობენ ცოდნით ქალის მშენიერებას. ეგვიპტეში კი უოკულისთერი სხვა ნაირად ხდება. აქ მოზარდს ქალებს ნება აქვთ მოწაწილეობა მიიღონ კარგი ხალხის საზოგადოებაში; ახალ-გაზდა ქალი და კაცი გაიცინობენ ერთმანეთს დღესასწაულებში საყმაწვილოთვე და ურთი-ერთის სიყვარულს ეჩვენებენ. ქალი მონა კი არა, მეგობარი ხდება თავის ქმარისა. უფრო მხელი გასაკეთებელი საქმე ძლიერებს რჩებათ, წიკრიძალი საქმე კი ქალებს, რადგანაც წიკრილი საქმეებისა მათ უფრო ესმით. ქალები კარგის უურადლებით იზრდებიან, რადგანაც დედა მოკლებული არ არის ცოდნას და გამოცდილებას. ქალი ჩვენში გულ-კეთილია და სახლობის მოყვარული, რადგანაც იგი თავის გულ-კეთილობით უმატებს მას ბედნიერებას, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და რომლისთვისაც მხოლოდ ის შეადგენს ძვირფას საუნჯეს. ჩვენ, ქალები, ხომ იმას ვაკეთებთ, რაც გვიამება. ეგვიპტელები ისე გეზდიან, რომ ჩვენ იმას ვაკეთებთ, რაც კარგია. აქ ნილოსის ნაპირებზედ ძოკილიდ მილეთულო და ლიპონას ეთესული თავის დღეში ვერ გაბედვენ თავის ლექსებით ჩვენს დაცინვას, — აქ თავის დღეში ვერ იგონებდენ პანდოროზედ თქმულებას.

— რა კარგად ლაპარაკობ! უთხრა ბარტიაში. — მე ძალიან მიძნელებოდა ბერძნულის სწავლა, მაგრამ ესლა მიხარვანი, რომ კრების გაკეთილებს გულ-მოღვინედ ვისმენდით.

— აბა ვინ არიან ის სამაგული კაცები, რომელნიც ქალებზედ სამაგლად ლაპარაკობენ? ჭკითხა დარმი.

— რამდენიმე ბერძნის პოეტები, მიუგო ამასისძი: — კაცთა შორის ყველაზედ გულადნი, რადგანაც მე უფრო იმაზედ დავთანხმდებოდი, რომ ლომი გამეჭვარებინა, სინამ ქალი. ამ

ბერძნებს ქვეყანაზედ არაფრისა ეშინიანთ. ახა მოისმინე ნიბუ-
ში ჭიპონასის ბრეზიისა:

ცოლი მხლელად მის დღესა გვიამება:

ქორწილის დღეს და წოდესაც მოკვდება.

— გმარა, გმარა, შე უსუნიდისა, უთხრა ჯადისმა და უუ-
რებში თითი დაიწყო. აი ხედავთ, სხარსულებო, რაგორი ვა-
ცია ეს ამისისი. სადაც კი შეუძლიან და შეძთხვევას იზრვის,
დასტინის ქალებს, თუ გინდ რომ თვითონაც იმ აზრისა იყოს,
რას აზრისაც არიან ისანი, რომელთაც დასტინის. არ არის
შუკეთსი ქმარი....

— არც ცოლია შენზედ ცუდი, სიცილით უთხრა ამისისმა:

— რადგანაც შენ ცილსა მწამებ, რომ ვითომც მე ყურმორგო-
ლი ქმარი ვაყო. მშვიდობით ბავშვებო, დაე ახალ-გაზდა გმი-
რებმა გაიციონ ჩუნი საასი; მაგრამ წინდაწინ მიხდა ვუთხრა,
თუ რასა მღერის ბორცტი სიმონიდი ერთს საუკეთესო
ქალზედ:

ფუტკრისაგან ერთი ქალი იშვება:

ნეტავი მას, ვისაც იგი შეხვდება!

რასაც ბედა მას კეთილს მიანიჭებს,

ყოველასავე ერთი-ორად ამრავლებს.

თვის საყვარელს ქმარსა შეაბერდება,

მისი ტრფობა გულში ჯამბრად ენთება.

ის დასჩაგრავს დიდებითა სხვა ქალებს,

ვითა ღმერთი სიტურფისა იბრწინებს.

უჭმად მსხდომნი ქალები შესმაგდება,

მისი გული იმათ არ მიუდგება,

აი ზეესი გვანიჭებს რა ქალებსა,

რომ დაგვიტკობნ სიტოცხლე ჩვენ კაცებსა!

— აი ესეთია ჩემი ჯადისა! მშვიდობით!

— არა, მოთმინეთ! უთხრა ზარტიამ. — მე ჯერ მინდა ჩვენი საწყალო სპარსეთი გაკამართლო, რომ ჩემი მომავალი ცოლი უფრო გაკამხნეო. მაგრამ არა! დარი, შენ ილაპარაკე ჩემს მაგივრად, რადგანაც შენ ისევე კარგად იცი ჯაპარაკი, როგორც სძლავს ხმარებას.

— შენ მე უბედ კაცად გამოგეგვარ, მიუგო ჭისტასპის შვილი. — დაე აგრე იყო: მე დიდი ხანია მსურს ჩვენი ქვეყნის ჩვეულება დავიცვა. ესრედ იცოდა, ჯადისა, რომ შენი ქალი არას დროს მონა არ იქნება, არამედ იქნება მეუღის მეგობარი, თუ რომ რამეზადი მაგის გულს კეთილად წარმატთავს; იცოდა, რომ სპარსეთშიაც, დიდი დღესასწაულობის დროს, მეუღის ცოლები სადილობედ კაცებთან ერთად სხედან და ჩვენ დიდი პატივის-მცემენი ვართ ჩვენის ცოლებისა და დედებისა. გამიგონეთ: შეგიძლიანთ თქვენ, ეგვიპტელებს, მიაჩთვით თქვენს ცოლებს იმაზედ ძვირფასი საჩუქარი, როგორც საჩუქარიც მიაჩთვა ბაბილონის მეუღემ, რომელსაც ცოლად სპარსული ქალი ჰყავდა. ბაბილონელი მეუღის ცოლი, ძვირფასი თავის ქვეყნის მთებს, გრძნობდა თავის-თავს უბედურად ეფრატის თვალ-გადუწოდებელს ველებზედ და თავის სამშობლოსთვის მიწუნარებით ავად გახდა. რა ქნა მეუღემ? მან უბრძანა ალემებინათ მალაღი შენობა, რომლის ბანზედაც ნაყოფიერი მიწა დაეყარათ. იქ ახარეს მშვენიერი ხეები და ყვავილები, რომელნიც ხელფუნურად გაყვანილის წყლით იწყოობდენ. როდესაც ყოველივე მხად იყო, მან მიიყვანა იქ თავისი ცოლი, სპარსული ქალი და აჩუქა მას ეს ხელფუნური მთა, საიდგანაც, როგორც რაჭმელის მთიდა, შეეძლო ეტყინა ველებისათვის.

— მერე, მოჩხა სპარსული ქალი? ჰკითხა ნიტეტისმა მოჩხობით.

— მოჩხა და გამხიარულდა; შენც აგრეთვე რამდენიმე ხნის განმავლობის შემდეგ შენს თავს ჩვენს ქვეყანაში კმეფილივად და ბედნიურად ჩასთვლი.

ლადისმა მხიარულად გაიღიმა და ჰკითხა:

— მერე, რამ უფრო მოაჩხინა მეფის ახალ-გაზდა ცოლი? განგებ გაკეთებულმა მთამ, თუ ქმრის სიყვარულმა, რომელმაც ცოლის სასიამოვნოდ ასეთი დიდი შენობა ააშენა?

— ქმრის სიყვარულმა! დაიძახეს ქალებმა.

— მაგრამ ნიტეტისი არც გოჩას დაიწუნებს, არწმუნებდა ბარტია. — მე ისე მოვიძინეთ, რომ დაგიდრულს ბაღებში სცხორებდეს, როგორც კი სასახლე ბაზილიონში გადავა.

— ეხლა კი წადით, უთხრა ამასისმა: თორემ ქალაქის დათვალეობა ბნელაში მოგისდებათ. მე კი აგერ ერთი საათია რამი მწერალი მომეჯის. სახლს, უბრძანე ქეძიკების უფროსებს ასის ჯარის კაცით ჩვენს უმაღლეს სტუმრებს განჯეკს.

— მაგდენი რა საჭიროა? ერთი გზის მიკვებულად საკმაოა, ან რომელიმე ბერძენთაგანი ჯარის უფროსი.

— ასე სჯობიან. ეგვიპტეში უცხო ქვეყნულს მეტის-მეტისი იფრთხილე არას დროს არ უნდა. ეს სახეში იქონიეთ: განსაკუთრებით ერთდეთ წმინდა ცხოველებს დასცინათ. მშვიდობით, ჩემო ახალ-გაზდა გმიჩებო.

სპარსელები გამოვიდნენ სასახლედამ და თან მისდგოდა თარჯიმანი, ბერძენი, აღზრდილი ეგვიპტეში, რომელიც რჩიუქნაზედ კარგად ლაპარაკობდა.

საისის ქუჩები, რომელნიც სასახლის ახლოს იყვნენ, სასიამოვნო სანახავს წარმოადგენდნენ. სახლებს, შორის ზოგ-

ნი სამ-სარტულანები იყვნენ, ნილოსის აგურებით აშენებულნი და ნახტებით და იეროგლიფულის ნიშნებით მორთულნი. შესაკვალ კარებზედ ამოჭრილი იყო სახელი და წოდება სახლის პატრონისა. სწორე ბანებზედ ყვავილები და ღამისი მცენარენი იდგნენ, რომელთა ქვეშაც ეგვიპტელთ უყვართ სსდრმა საღამოებით, თუ რომ არ და ამჯობინებდენ ასკლას გოშებზედ, რომელიც თითქმის ყველა სახლთან იყო აშენებული. ამ გოშებს იმისთვის აშენებდენ, რომ მწერები დაბლა-დაბლა დაჭურინებდენ და მოსვენებას არ აძლევდენ კაცს, სინამ გოშკში მალა არ ავიდოდენ.

ახალ-გაზდა სპარსელებს უკვირდათ სახლებისა და ქუჩების სისუფთავე. რადენსაც შორდებოდენ სპარსელები ნილოსს და სასახლეს, იმდენი ქუჩებიც უფრო ვიწრონი და უსუფთაონი იყვნენ. ეს ქალაქი ერთის მთის კალთაზეა გაშენებული და წინად უბრალო სოფელი ყოფილა, მაგრამ ქალაქად მამინ გადაქცეულა, რომდესაც ფარაონებს თავიანთი ტახტი აქ გადმოუტანიათ.

— უგან დავბრუნდეთ, უთხრა გაგესმა, კრეზის შვილმა, თავისზე უნცროს თანა-მგზავრებს, — რომლებსთვისაც, თავის მამის აქ უმყოფლობის გამო, ყური უნდა ეგდო და ეწინამძღვრა. — ახა შეხედეთ, რამოდენა ხალხი აგვედგენა.

— როგორც ბრძანებთ, მიუგო თარჯიმანმა, — იქ ველზედ, იმ გორის კალთებზედ, მდებარეობს მკვდარი ქალი საიტებისა, რომელიც, ჩემის აზრით, უცხო ქვეყნელებისათვის სასიამოვნო სანახავია.

— გაგვიძეხ წინ, უთხრა ბარტამ, ჩვენ იმისთვის წამოვყვით არაქსაპსა, რომ ქალაქის ყოველივე ღირს შესანიშნავი რამეები ენახათ.

როდესაც ივინი, მკვდარი ქალაქის ახლოს, მაგიდენ ცარიელ ადგილზედ, რომლის გარშემოც ხელსახთანა დუქნები იყვნენ აშენებულნი, მათს უკან მიმდევარს ხალხში ხმაურობა გაისმა. ხაკშეები მხიარულობდნენ, ქალები ყვიროდნენ და კილასიც ხმა ყველას ხმაზედ მაღლა მოისმოდა:

— მოდიოთ აქ, ტაძრის კარებთან, რომ ნახოთ საქმენი დიდის თვალთ-მაქცისა, რომელიც ღვივის დასაკლეთიდა მკვიდა. მას ყოველივე თვალთ-მაქცობა შესწავლილი აქვს ხუნსუსგან, რომელიც ყველას კარგს დარბობას აძლევს.

— წამომყოთ აი აქა, პატარა ტაძართან! უთხრა თარჯიმანმა. — თქვენ ესლავუ ნახათ საკვირველს სანახავს.

აქ მან თავის სტუმრებთან ერთად გაიკვლია გზა ეგვიპტელთა ხალხის გროვადი და მაღუ დაბრუნდა ერთის ქურყმით, რომელმაც წაიყვანა უცხო ქვეყნელები ტაძრის ტაღანში. აქ, რამდენიმე უუთების ახლოს, იდგა კაცი, ქურყმის ტანისამოსით. მრი ზანგი მის წინ იყო დანოქილი.

ღვივილი უზარ-მაზარის ტანის კაცი იყო და მეტის-მეტად შავი და გამგვირავი თვალები ჰქონდა, ხელში ჩვენი კლანეტის მსგავსი საკრავი ეჭირა. იმის მკერდს და ხელებს ესვია რამდენიმე გველი, რომელნიც ეგვიპტეში შხამიან გველებად ითვლებიან.

როდესაც თვის წინ სზარსელები დაინახა, თავი დაუგრა და მედიდურად ანიშნა მათ მისთვის ეცქირნათ, გაიხადა თავის ტანისამოსი და დაიწყო მანქანება თავის გველებთან ერთად.

იგი მათ ხან კბენის ნებას აძლევდა, ასე რომ ლოყები-დამ სისხლი გადმოუვიდოდა ხელზე, ხან თავის საკრავის ხმით ისე ამოძრავებდა მათ, თითქოს თამაშობსო, ხან ყბაში ჩააფურთხებდა და ჯოხებისავით გააშეშებდა. შემდეგ ბმ-

ლები ადგილზედ დაყარა და თვითონ მათ შორის დაიწყო გა-
გიჟებით თამაშობა, ასე რომ გველებს თვებს არ ახვედრებდა.

გიჟისაკით იგრიხებოდა და იმანტებოდა ჯადოსანი, სინამ
თვალები არ გადმოეკარკვლენ და ტუჩები არ დაუსისხლიანდა. უც-
ხად იგი მკვდარისაკით დაეცა დედა-მიწაზედ, სხეულის აღარც
ერთი ნაწილი არ ენძრეოდა, გარდა ტუჩებისა, რომელნიც
შტეენა-სისინის ხმას იღებდენ. ამ ნიშნებით გველები მი-
ცურ-
დენ და უეღზედ, თვებსზედ და ტანზედ გარშემო ჭკალსაკით
შემოერთეენ. ბოლოს იგი ადგა და სთქვა სიმღერა ღვთაების
ძალის სადიდებლად.

შემდეგ მან ახადა ყუთს თავი და შიგ ჩასხა მომეტეუ-
ლი ნაწილი გველებისა, მხოლოდ ზოგიერთები დანარჩუნა
თავისთან, რომელნიც სამკაულისა და ბრასლეტებისაკით ეხვია
უფლად და მაჯებსზედ. ამ გველების თამაშობის გარდა მან სხვა
ფოკუსებიც გააკეთა, რომელნიც სწარსულებს ძალიან აკვირებ-
და.

ისე გაერთვნენ, რომ თვითონაც ვერ გაიგეს, როგორ
მივიდნენ საუკეთესო ქუჩებამდის; მაშინ მათ შენიშნეს რომ მათ
უკან ასდევნიებოდნენ მრავალი ეგვიპტელნი, რომელთაც ხელები,
ყურებიც ცხვირები დაჭრილები ჰქონდათ. ეს დამახინჯებული ხალ-
ხი სწარსულებს არ აკვირებდა, რადგანაც მათს ქვეყანაშიც ბევრი
იყვნენ დამახინჯებულნი დანაშაულობისათვის. სწარსულებს
რომ გამოეკითხათ დამახინჯების მიზეზნი, შეიტყობდენ, რომ
ეგვიპტეში ხელ-მოჭრილი კაცი დამნაშავეა ვისიმე მოტყუებაში,
უცხვირო ქალი — ქმრის მოღალატე, ენა მოჭრილი — სახელ-
მწიფო დამნაშავე და ცილის-მწამებელი, ყურ-მოჭრილი — ჯამუ-
ში და გაყვითლებული, გამოსუფლებული ქალი — შვილის მკვლე-
ლი, რომელსაც დანაშაულობისათვის სამი დღე და ღამე თა-

ვისგან მოკლული შვილი ხელში უნდა სჭეროდა. ამის შემდეგ რომელს ქალს-ღა შერჩებოდა გონება?

ბოლოს სპარსელი სტუმრები მივიდნენ ერთს მშენიერს სახლთან, რომლის ფანჯრებიც ბაღს გადასცქეროდნენ. სახლის კარებზე ერთი მოხუცი კაცი იდგა, რომელსაც ქურუმის მოსამსახურის თეთრი ტანისამოსი ეცვა. იგი რამდენსამე კაცს უყვიროდა და არ ანებებდა სასლიდამ ყუთის წაღებას:

— ვინ მოგცემთ ნებას ჩემი ბატონი გაჭქურდეთ? ყვიროდა იგი და ხელებს იქნევდა. მე ამ სახლის ყარაული ვარ და როდესაც ჩემი ბატონი წავიდა სპარსეთში, რის განადგურებასაც ღმერთს ვსთხოვ, — მიბრძანა მე განსაკუთრებით ამ ყუთისათვის მეგდო ყური; ამისა მისი ქალაქებისა შენახული.

— დამშვიდდი მოხუცო გიბო, უთხრა ტაძრის მოსამსახურემ, რომელმაც წინად სპარსელები მიიღო: ჩვენ აქ ნიიტის უმაღლესმა ქურუმმა გამოგვგზავნა, რომელიც ბატონისა შენის ბატონისა. ამ ყუთში აღებად საყურადღებო ქალაქებისა, თორემ ნიიტოტები ამის წაღებას არ გუიბრძანებდა.

— მე ნებას არ მოგცემთ, რომ წაიღოთ ჩემი ბატონის ეჭიმის ნებუნხარის საკუთრება! ყვიროდა მოხუცი, — მე სიმარტლეს ვიპოვი და თუ საჭირო იქნება ხელმწიფედის მივალ.

— დადექ! შეჭვივარა ახლა ტაძრის მოსამსახურემ. არ გესმით, ყუთი ეხლავე წაიღეთ უმაღლეს ქურუმთან; შენ კი, მოხუცო, უფრო გონივრულად მოიქცეოდი, ცოტა ენა რომ დაგემოკლებინა და გეფიქრა, რომ შენც მონა ხარ ჩემის ბატონის — უმაღლესის ქურუმისა. ესლავე შედი სახლში, თორემ ხვალ შენც ისე წაგათრევთ, როგორც ეხლა ამ ყუთს!

ამ სიტყვებთან ერთად ისე ძალიან გამოიჯახუნა კარები, რომ მოხუცი შიგნით მოჭყვა და ხალხი კელარ ხელდაკდა. სპარ-

სულემს ნახეს ეს ამბავი და თარჯიმანს სთხოვეს ახსნა მათ-
თვის ამის მნიშვნელობა.

ფარაონმა გაიგინა, როდესაც გაიგო, რომ მოტაცებული
ყუთის ჰატრონი თვალის ეჭიმი იყო, რომელიც სპარსეთში
იმყოფებოდა მუჟის დედის თვალთ დაკვლების გამო და რომე-
ლიც ჯიუტის ხასიათისათვის გამბიზის სასახლის კაცებს არ
მოსწონდათ.

ბარტიას უნდოდა ევითხა ამბისათვის, თუ რას ნიშ-
ნავდა ყუთის მოტაცება; მაგრამ გაგესმა დაარწმუნა იგი, არ
გარეუდიყო იმისთანა საქმეებში, რომელნიც მათ არ შეეხე-
ბოდათ.

როდესაც იგინი თვითონ სასახლესთან მივიდნენ, (სიბნე-
ლი, რომელიც ეგვიპტეში მალე დგება, უკვე იფიანებოდა) გა-
გესმა იგრძნო, რომ მას ვიღაც კაცმა წააკლათ ტანისამოსში
ხელი და შეაყენა. მან მიიხედა და შენიშნა, რომ უცნობი კა-
ცი ანიშნებდა, ხმა არ ამოუღო.

— როდის შეიძლება მხოლოდ შენთან ჩუმიდ ღაპარაკი?
უჩუჩხულა მან კრეზის შვილს.

— რა გინდა ჩემგან?

— ნუ მკითხავ და დროით ვასუხი მომიც. გეფიცები მიტრს,
რომ მე მინდა შენ საყურადღებო ამბები შეგატყობინო!

— შენ სპარსულად ღაპარაკობ? მაშ ეგვიპტელი არა ყო-
ფილხარ, თუძცა ეგვიპტური ტანისამოსი კი გაცვია?

— მე სპარსული ვარ; დროით მამე ვასუხი, სინამ ნაღაპა-
რაკებს დაგვიჩინავდენ. როდის შემიძლიან მარტო შენ, სხვის
უხილაკად, მოგუღაპარაკო?

— ხვალ დილით.

— ეგ ძალიან გვიან არის.

— მაშ თუთხმეტი წამის უკან, სასახლის ალყათვის გარბო-
თან, როდესაც სრულიად დაბნელებას.

— მაშ მოგელოდები.

ამ სიტუაციის შემდეგ უცნობი გაქვრას. როდესაც გიგისი
სასახლეში შევიდა, გამოეთხოვა ბარტიასა და ზეპირს. ხმალი
შემოაკრას და დარისაც სთხოვა აგრეთვე შეიარაღებულიყო და
მას უკან გაჰყოლოდა; ცოტა ხნის შემდეგ ივინი სასახლის
ალყათვის გარბთან იდგნენ უცნობის პირის-პირ.

— დიდება რამდენად, რომ შენ მოხველ! შესძახა მან ახალ-
გაზდა ლიდელს სპარსულს ენაზედ:— მაგრამ შენი ამხანაგი
კილა არის?

— ჩემი მეგობარი, ახემენიდი, დარი ჭისტასპას შვილი.
უცნობმა მდაბლად თავი დაუგრას და უთხრა:

— ეს გარგია, თორემ მე მეგობარს ეგვიპტელი ვინმე ხომ არ
არის მეთქი.

— არა, ჩვენ მარტონი ვართ და გვინდა ყური დაგიგდოთ,
მაგრამ მოკლედ სთქვი. ვინა ხარ შენა და რა გინდა?

— მე ბუბრესი მქვიან და დიდის გირის დროს ასის
თავი ვიყავ. როდესაც ჩვენ სარდესი ავიღეთ, მამი-შენის
სატახტო ქალაქი, ჩვენ ჯერ გაცარცვის ნება მოგვცეს; მაგ-
რამ ბრძენმა მამა შენმა სთხოვა გირს ცარცვა შეეუენებინა,
ამისთვის რომ, რადგანაც სარდესი უკვე დაიმორჩილეს, ეს ის
იქნებოდა, რომ ეცარცვათ წინანდელი მიფლობული ვი არა,
თავიანთ თავი. მაშინ სასტიკად ნაბძანები იყო, რომ ყო-
ველივე ასის თავებისთვის მიუტანათ; ასის თავებსაც ნაბძანუ-
ბი ჰქონდათ ძვირფასი საუნჯენი შეიდანზედ გაუტანათ. იქ
ეწვივნენ მრავალი რქოვანი და ვერცხლის ჭურჭელნი, ქალებისა
და გაცების სამკაულნი ძვირფასის თვლებით.

— დროით, დროით, ცოტა დრო გვაქვს! უთხრა გიგესმა უცნობს.

— შენ მარტაჯს ამბობ! უნდა მოკლედ გაამბოთ. მე უნდა სიკვდილით დავსჯილიყავ, რადგანაც ჩემთვის შეკინახე ურთი, ძვირფასი თვლებით სავსე, მამი შენის სასახლიდამ გამოტანილი. კირს უნდოდა ებრძანებინა, რომ მოკვალა; მაგრამ კრეზმა მიშუამდგომლა მასთან და სიკვდილს გადამარჩინა. კირმა გამანთავისუფლა, მაგრამ პატროსნება მოკლებულს ვაწად ვა გამოძაცხადა. ესრედ, მე მამა შენმა მომანიჭა სიცოცხლე; მაგრამ მე მანც სპარსეთში ვერ დავდექი სიწმინდის გამო. სმირნის გემით გივრში მოკვდი. იქ ხელახლად სამსახურში შეკვდი, ბერძნული და ეგვიპტური ენები შევისწავლე, ამისისის წინააღმდეგ ვიბრძოდი და აქ ძანესმა მომიყვანა, როგორც ტყვე. მე ყოველთვის ცხენოსანს ჯარში ვმსახურებდი. ჩამრიცხეს მონებში, რომელნიც მეფის ცხენებს უვლიდენ. თავი ვისახელე და ექვსი გვირის შემდეგ საჯინობოს შედამხედველად დამნიშნეს. მამა შენი არც ერთს წამს არ დამვიწყებია სიკვდილიდამ დახსნის გულისათვის; ეხლა ჩემი რიგია მას სამგირეო გადაუყვანდო.

— საჭმე მამა ჩემს შეეხება? მამ დროით, დროით, მითხარო.

— ეხლავე. კრეზს ტახტის მემკვიდრე ფსამუტისისათვის ხომ არა უწყენინებია-რა?

— არ ვიცი.

— მამა შენი ამაღამდეღს ღამეს ნაუკრატისში რადოპისთან ატარებს?

— შენ საიღამ იცი?

— მე კვ თვითონ ამისაგან გავიგონე, ამისათვის რომ ნავ-

ში მასთან ერთად ჩაკვება, რომ ფეხ-ქვეშ ჩაკვარდნოდი.

— მერე აისრულე წადილი?

— დიაღ. მან რამდენიმე ალერსიანი სიტუცა მითხრა; მაგრამ დიდ ხანს ვერ დამიგდო ყური, რადგანაც მისი თანამგზავრნი უკვე გემში ისხდენ, რადგანაც ის მოვიდა. მისმა ძუელმა მონამ სანდონმა, რომელსაც მე ვიცნობ, საჩქაროდ მითხრა, რომ იგინი ნაუკრატისში მიდიან, ელინულ ქალ რადგანობისთან.

— მარტალი უთქვამს.

— მას დროით უნდა დაიღსნათ იგი. რადგანაც მოუღანი სავსე იყო ხალხით, მასინ ნაუკრატისში ჩუმად წავიდა. რამდენიმე ათი ურემა და რჩი ნავი ეჭილბელების ჯარით, რომ ღამე რადგანობის სახლს შემოერთყან და მისი სტუმრები ტყვედ დაიჭირონ.

— ღაღატია? შეჭყორა გიგესმა.

— მერე მათ რა საჭმე აჭკოთ მამა შენთან? ჭკათხა დარბი. მათ ხომ კარგად იცინ, რომ კამბიზი ჯავრს...

— მე არა ვიცი-რა, გაიმეორა ბუბარესმა: იმის მეტი, რომ რადგანობის სახლს, სადაც მამა შენიც არის, ეჭილბელი ჯარი გარს უნდა შემოერთყას. მე თვით შევაბი ურემები და გავიგონე, რომ ტახტის შემკვიდრის მესაიდუმლე ეუბნებოდა ასის თავს ზენტარს შემდეგ სიტუცებს: კარგად გაახილე თვალები და უბმანე შემოერთყან რადგანობის სახლს იმისთვის, რომ იგი უკანა კარებიდან არ გაიპაროს. ნუ მოჭკლავთ, თუ შეგიძლიანთ და მოჭკალთ მხალხოდ მასინ, რადგანაც წინააღმდეგობა გაგიწიოთ. თუ რომ მას საისში ცოცხალს მოიყვანთ, მასინ რცხს რქრეს ბეჭედს მიიღებთ.

— ნუ თუ ეს მარტალა მამა ჩემს შეხება?

— თავის დღეშიაც არა! უთხრა დარჩი.

— არ ვიცი, წაიღუღლულა ბუბარესმა: ამ ქვეყანაში ვკვლავ-
ფერი შეიძლება.

— რამდენს ხანში შეიძლება კარგის ცხენით კაცო ნაუკრატისში მივიდეს?

— სამს საათს, თუ ცხენმა კარგად იარა და ან ნილოსმა გზა ძაღიან არ გააფუჭა.

— მე იქ რის საათს მივაქ?

— მეც შენთან წამოვაქ, უთხრა დარჩი.

— არა, შენ აქ ზოპირთან უნდა დარჩე ბარტიას დასაცველად. შენ ეტყვი, რომ მე მხარულებასკად ვერ დავესწრები, რადგანაც თავი ან გბილი სტკივა-თქო; გესმის? მე ბარტიას ცხენით წავაქ; შენ, ბუბარეს, დარჩის ცხენით უკან გამოძეე; დროებით ხომ მათხრებ ცხენს, დარჩი?

— მე რომ ათი ათასი ცხენი მყავდეს, სულ შენები იქნებოდნენ.

— ბუბარეს, ნაუკრატის გზა ხომ იცი?

— რაგონიც ჩემი რჩი თვალი!

— მასწ წადი, დარჩი, და უბრალო, რომ შენი და ბარტიას ცხენები მოამზადონ! მოცდა შეუძლებელია! მოვიდობით, დარჩი, იქნება საუკუნოდ! ბარტიას დამცველი იყავ! მოვიდობით.

(შემდეგი იქნება)

სახალხო ლექსები.

(მთაში შეკრებილი)

დილა ადრიათ, დედაო,
კაის ყმას უნდა სადილი,
ან მტერი შემოვარდება,
ან მთას გაუკა ნადირი.

წვერის თავს ქერი ნადირებს,
წვერის ბოლოზე არწივი;
ჩამოვალ, ქერი იძახის;
არ ჩამოვიშობ—არწივი.

მგელი არ მოშლის მგლებასა,
ჯალი ყმა მამაცლებასა,
არც მოშლის ბერი არწივი
წვერის ძირს ნადირებსა.

კარგის ყმის დედას დაუნატრი, ვინც ნათქამი გააცხადებსო,
წავალ ის სანადირლსა, ჯიხვს მოკლავს, მოაქანებსო,
დააძლავს ამხანაგებსა და ჯალაბს გაახარებსო.

გახედე მავა ჯიხუესა, რა მშენიერი დავანანო,
 რქა გარდუდვიათ რქაზედა, საგრილოზედა დავანანო,
 უნდა—გამოვლენ მწვანეზე, უნდა—გრილოზე დავანანო.



მტრისაგან დაღონებული მთაც ქარებულას ჭყიოდს.
 მე მონადირე მეგონა: თურმე მას გული სტკიოდს.



სამის ბატონის ემა ვიყავ: ხან ისი მცემდა, ხან ისა,
 სამივეც გამიწყდებან: ხან ის ვიტირო, ხან ისა,



ნუ სტრუობ, ნუ ამხარტავნობ, ნუ ელესები ქაღთაო,
 აგრემცა გამოგაქციან ამოღებულთა ხმაღთაო.



ხეეს მოხუკენი უბნობენ, ხეესური გავაქციენითო,
 წითელ-ყვითელი დროშანი სამელეს დავაყრენითო,
 თავის ნასროლნი ისარნი თითონვე შავაქციენითო.



ქაღი ქისტი სჯობს ხეესურსა,
 ვაჟი ორხლებლული,
 სამდეკროდ გუდა მადრული,
 თავის ხან ვარზე სვანული.



ი. გუგუთოვი

თბილისის ალვა ალა-მაჰმად-ხანისაგან 1795 წ.

(მოთხოვა თვლით-მნახველისა)

აქორმანშაში ალა-მაჰმად-ხანმა ოცი დღე ძლივსა დროება მისცა ხანასა განსვენებისათვის და შემდგომად უბანა უკუ დაბრუნება თეიჩანს და მუნით წასულა ატრაპატს, საცა დიდ-დიდნი განძრახვანი აქვნდა შესასრულებლად. პირველად მინდობა გალაშქრება ყარაბაღის იბრამი ხაღაჯ, ანუ იბრემი ხან-ზე, რომელიც თვლობდა ყარაბაღსა და იგი იყო წინააღმდეგი სარდარისა მაჰმად სადაღხანისა, და ეგრეთვე საქართველოს ირაკლი ვაღიხანზე, რომელიც არასოდეს არა სცნობდა შაჰსა. თუმც ბძანებდა შაჰი: მივაჯ მათზედაც, მაგრამ ჩვენ არა გუჟურ-როდა, რადგანაც, რომელიც ჩვენ ვიცოდით, ეგრეთვე შაჰმა იცოდა და უკეთესად ჭკობნობდა, თუ რადგანად ძნელი იყო მათზედ ბრძოლა, რადგან ბევრჯულ სპარსეთის მხედრობისათვის საფლავად შექმნილა საქართველოს არე-მარე.

*) ეს მოთხოვა გადმოთარგმნილია ქართულად შემოკლებით სომხურ ყურნალიდამ «კრუნკ ჰაიასტან» 1863 წ. № XI ვინმე მდივანოვისაგან და ეკუთვნის ვალუსტ შერმაზანოვს. შერმაზანოვს გაუგონია ეს ამბავი 1842 წ. იაკობ ბებუთოვისაგან, რომელიც თავად შაჰის ფარში ყოფილა და რამდენიმე ასი კაცისგან შემდგარი რაზმი ჰბარუბია.

«ღაზმინში რამდენისამე დღის განსვენების შემდეგ, მეორეს დღეს სიხარულის ხმა განითქვა, რომ შაჰმა გარდასწევითა, იქიდან გაკმგზავრდეთ კერძოდ ყარაბაღსა და საქართველოსა და ამასევე ყოველნი მოსარულნი იყვნენ, მაგრამ მე ვაწუხდი, ამისთვის რომ უსჯულონი მიდიოდნენ ქრისტიანებზედ დასატყუებლად და ასაკლებლად.

«ყოველის მხრის მიულობუღნი მოვიდნენ დიდის პატრიარქებით, მხოლოდ ყარაბაღის იბრეიმ ხანი და საქართველოს ვალი ხანი გაკადნიერდნენ და შეიქმნენ შაჰის ბრძანების წინააღმდეგნი, პირველი შუშის სიმაგრის იმედით და მეორე — კავკასიის მალაღის მთებისა, მაგრამ ხეებისა და ზამთრისა... განჯის მიულობუღი ჯავათ-ხანი, რომელიც ყოველთვის თვებ-ქვეშ იყო დათურგნილი ყარაბაღისა და საქართველოს მიულობუღთ — ერთავე საწმინო მეგობართაგან, შეერთდა გამორჩენილ სომეხთ მეორე მეჯღუმთან, რომელიც აგრეთვე შემომწერალი იყო და რამდენიმე წელი განჯაში იმყოფებოდა თავისის ერთესანი იყვნენ მოსულნი შაჰის კარს და ამით დრო იზოგეს და უმეტესად აღსძრეს შაჰი მოასსუნეს, რომ ყარაბაღის ხანი და ერეკლე, დიდი ხანია, რაც ჩუმათ არიან ერთმანეთთან მოპირი და, რადგანაც შაჰმა ნახა რომ ყარაბაღის შუშის ალება მხელი იყო, ამისთვის წარვიდა განჯას და იქიდან საქართველოზედ; და შემდგომად, როდესაც დაბრუნდები, ყარაბაღის ხანს მაშინ დაკსჯიო. საქართველოს სიმიდრე და უმეტესად მცხოვრებთ მშენიერების ანბავი საჩქაროთ გაამრავლეს ჯავათ-ხანის და მეორე მეჯღუმის მოთანხმეთა.

«განჯასვე ვიყენით, როდესაც ბანაკის მხრით გამორჩენილთ მხედართ სთხოვეს შაჰსა, რომ ახლავე ჩვენი ტყუეობი ჩვენთვის მიძიმე ტვირთნი არიან, და რასაკვირველია, ღვთით სა-

ქართულსაც წავახდენთ და დავატყვევებთ და მას დროს შე-
უძლებელია იმოდენის ტყვეების პურით გაძლობა, რადგან
ბევრჯერ შეგვემთხვევა ხოლმე, რომ ჩვენ პური გვაკლდება და
ახლაც გვაკლია, და გთხოვთ ბრძანება მოგვცეთ, რომ ეს
ტყვეები გავისტუმროთ არეზის იქით მხარეს და, სადაც და-
ნიშნავთ, იქ დარჩნენ, კიდრე ჩვენს დაბრუნებამდის. და ეს ძლიერ
კარგი საშუალება იქმნა შაჰისათვის, ამისთვის რომ პირველად
ბანაკი დასუმბუქდებოდა და მერედ ის, რომ დაკლის შოვნის
იქედით მსუდარნი გამხსნეკდებოდნენ. ჯავათ-ხანმა კარგად იცო-
და უარხალებების გაყვანება და უჩინავს, რომ იმათის მხრივ
არ გავისტუმროს, მისთვის რომ იქნება იბრემ-ხანი ციხიდან
გამოვიდეს და წავართვას ტყვეები და უჩინავს რომ ნუხისა და
შამახის ხანებმა თავიანთის ჯარებით წაიყვანონ არეზის იქით
მხარეს და მიიყვანონ არდავილსა, და ამ რიგით შაჰის ბანაკ-
საც ჯარი არ მოაკლდება, ნუხისა და შამახის ხანებმა უმეტე-
სად თავიანთის მოჩინაობისათვის ეს ასე აღასრულეს...

«ტყვეების გასტუმრების შემდეგ, ავიყარენით განჯის
მხრიდან, სადაც ორისა ანუ სამის დღის მეტი არ დავსდუ-
ქით; შემოდგომის დასაწყისი წვიმიანი იყო, რადგანაც ბანაკი
განჯიდან დაიძრა და რადგან დროსაც ჯავათხანის მიწაში ვი-
ყავით, საჭმელი უხვად იყო, და რადგანაც შევედით საქართუ-
ლის მიწაში, არა თუ მხოლოდ სოფლის მცხცვრებნი აყრი-
ლიყვნენ, არამედ ყანები და ბაღებიც დამწვარი იყო, სადაც
რომ დიდს შეწუხებას სწევდა ერთობ ჯარი. პირველად ყოველს
ბანაკს (ურდოს) ძლიერ უხაროდა და სიხარულით მიუდიოდით
საქართულოზად და, რადგანაც შევედით მათს მიწაში, შიში
დღე და დღე ასუსტებდა ჩვენს გულსა. და სხვა-და-სხვა ჯამუ-
შების ამბავისაგან გვესმოდა, რომ ერეკლე ხანს ორმოცი ანუ

არმოდანათი ათასი კავკასიის მცხოვრებნი შეუკრებიან და ყოველი სიმაგრეები უჭირავსონ და აქვს განძრახვან, რომ ჩვენ უკან მოგვექცეს (ანუ უკან გვდიონ) და ზედ დაგვესხას. და მთის მცხოვრებთ სახელსა სასტიკი შიში ჩაუგდონ სპარსეთის ჯარში, რომელთა მრავალჯერ იყვნენ ჩავარდნილნი განსაცდელში მათგან, არ იყო დავიწყებულნი ხადირ-შაჰის დათრგუნვა და უკუ-ქცევა კავკასიის ჯართაგან. შაჰმა სამ-რიგად განჭყობათვისი ბანაკი. საშუალო თვით მიიღონ, პირველი და მეორე სხვა მხედართ მთავრებს მიანდონ.

დავიწყებულნი მათგან მდინარეებისა და ხიდების სახელი (გონებ გატეხილ ხიდთან), სადაც პირველნი მცველნი ჩვენს მხედრობას დაუხვდენ რამდენიმე ასი ქართველთ მხედრობათაგანნი, რომელნიც მცველნი იყვნენ ხიდისა და, ვიდრე ჩვენის ბანაკის მისვლამდე, ქართველთ დიდის ვაჟ-კაცობით ებრძოლათ და რადუსაც ბანაკის წვერი ენახათ, იმავე წამს არმოდანათი მკვლარი და დაჭრილნი გაემართ და გაქცეულნი იყვნენ, და ხიდს, რომელთა ერთს ვიწრო ხეში იყო ჩავარდნილი და აქეთ იქით მხარეს ამალაგებულნი მთანი (გორანი) საშუალოდ მას სიმაგრეს ამალაგდენ, ჩვენმა ბანაკმა უწინააღმდეგოდ განვლო იქით მხარეს და მდინარე მალაღ დაშთა და მდინარის პირზედ ჩამოვხდით და ამ ღამეს, როგორც შაჰი, ეგრეთვე სრული ბანაკი დიდს შიშში იყვნენ: ჭკობებდნენ თუ, იქნება ერეკლე დაგვესხას, რადგანც ჩვენის ბანაკის ადგილიც ძლიერ უშესაბამო იყო, თუძც ოთხ-კუთხივ, ვიდრე გათენებამდის, გასათრთხილებულნი უარყულნი იყვნენ დარბილებულნი.

«მეორეს დღეს აიყარა ურდო (ბანაკი) და ჩამოხდა ერთს დიდს არხზედ (რუ, რუვი) ოთხ-კუთხივ შესათყურნი მამასახლისნი, ანუ მცხოვრებნი, რამდენიმე კაცი, ამოვიდნენ მო-

საწმენკით (ძღვნით) და თაყვანი-ჭსტეს შაჭსა და ესენი გამე-
 უძღვნენ ბანაკსა, რეგორც წინა-მძღვნი. ბანაკმა მძიმეს სულით
 მეორეხე დღეს მიაღწია თბილისსა ერთს ნახევარის ასპარეზის
 განშორებით ერთ მინდორში (გგონებ სოფანჯულისა). მტკვარის
 პირს დაიბანაკა და მეორე დღეს, გგონებ ორშაბათს, კარგად
 აღარ მახსოვს, ანუ კვირას დღეს, ჭერი ჯანდიანი იყო, რე-
 დესაც ბანაკმა დაიწყო აყრა თბილისისკენ. ჩვენს მარცხნის
 მხრით იყო მალაღი და გრძელი მთა ვიდრე თბილისამდინ
 (გგონებ თელეთის მთა ანუ იაღჯუჯა) სამსუ ხეებით, რე-
 მეღშიაც, გვესმოდა, რომ ბერი ლეკასა და ქართველთ ჯარი
 არის დამალული, და მტკვარი დაგვიჩა მარჯვნივ, მდინარის
 იქითა პირი იყო თანასწორი მინდორი. თუმიც ტაროსი იყო
 ღრუბლიანი, მაგრამ ჩვენს თვალში კადევაც კარგად ჩნდა და
 გრძელდებოდა თბილისამდინ, სადაც ადვილად შეიძლება ბანაკის
 მიყვანა, უკეთუ მტკვარი დიდი არ ყოფილიყო; და ესრედ ვი-
 წრო გზებში, რომელზედაც უნდა გაგვეღო ერთის მხრით
 იყო მალაღი მთები, და მრავლის სანგრებით და ჯარებით გა-
 მაგრებულნი, და მეორეს მხრით—მტკვარი ადიდებული და ჩვენ
 გგონებდით რომ შეუძლებელია თბილისის აღება. შაჭმა იმავე
 დღით წამდენიმე ცხენოსანი გაგზავნა, რომელთაც გზები
 უნდა გაეშინჯათ და ბრძანა მისკლა ქალაქსად.

ჩვენის ბანაკის ადგილიდამ ნახევარ საათისა ანუ მეტის
 სიარულის შემდგომ მიკვსნივით ვიწროსა გზასა და კლდიანს
 ადგილსა, სადაც მარჯვნივ იყო მტკვარი და მარცხნივ იქ მა-
 ლაღს მთებზე ქართველთ ჯარი ერთს სანგარში გამაგრებული
 იყო, ამასევე საგმარ ძალი მიკვიტანეთ მაგრამ ადგილიდამ არ
 დაიძრნენ, ვიდრე რომ წამდენისამე წაბზინის მიტანა ბრძანა
 შაჭმა და დაიწყო მათზედ დაცლა, და იმათ ველარ შეიძლებს

იმ ადგილს ყოფნა, გამოვიდნენ სანგრადამ და წავიდნენ მთე-
ბის წვერზედ, რის ცხენის ასპარეზის სიშორედ, და შევიდ-
ნენ მუარე სანგარში, რამდენი გასატარებელი გზა უფრო
ვიწრო იყო და მაგარის კლდით შეკრული და ამის წინად პა-
ტარა მინდორი იყო, სადაც ჩვენი ბანაკის მუათედი დაეტოვდა
მხლელად სანგარზედ საომრად, ძლივ თუღა რა ათასსა მხე-
დრებსა შექმლო თავიანთის იარაღის ხმარება. ვითარცა ვთქვი-
ვითს მხარეს მტკვარი იყო და მუარე მხარეს მიუსუკლელი
კლდეები, სადაც ბევრი ჯარი იყო თრთუებით ხელში განმზა-
დებულნი, რამდენიც დიდად აბრკოლებდნენ ჩვენს ჯარს სანგარ-
ზედ მისულისათვის, ერთს საათამდინ ვეცადებით და ვერ შევი-
ძლით მიახლოება იმას სანგარზედ და ჩვენგანნი ვგონებ ას-
სობით დაეცნენ; შაჰი სტდილობდა, რამ ახალი ღონისძიება
მოეზონა.

«შაჰმა ნახა თავის ჯარის განსაცდელი და მიუსუკლელი
გონა სანგარი. ამბობდნენ, იმისთანა სანგრები წინ ბევრი არი-
სო. მოუწოდა წინ წამსუკლეთ ჯარის მხედართ მთავარსა და
უბრძანა რამ შეუნძრევლად ის ადგილი დაიცვას და გაფრთხილ-
დეს მთების წვერებზედ განთენილის ქართულთ ჯარისაგან,
რამ არ დაესხან თავიანთ ჯარსა და თვით თავის ცხენი მო-
ახრუნა მტკვრისაკენ და ხმა-ჰყო; ვისაც შაჰის თავი უყვარს
ღვაყ-გაცია, მოვიდეს შაჰის ახლო და თუ მტკვარმა მე წამიღოს,
ვეცადებით ჩემი გვაძი შეიზურათ, წაიღოთ და დათულათ. სთქვა
და თავის თურქმნის ცხენს ჰქონა მათრახი და შეაგლო მტკვარ-
ში. ჩვენი მხრივ მტკვრის პირი ვაკე იყო და გაღმევ ვი და-
კლდეებულნი, ასულა არ შეიძლებოდა. მოულოდნელად ახლოთვე
სამი ათასი ცხენოსანი ჯარი გაჰყვა შაჰსა (მათში მეც ვიყავ
ჩამდენამე ასი ცხენოსნით). შაჰი რამ მიახლოვდა იქით ნა-

პირს, ვგონებ ახლად შეენიშნა რომ ცხენი იმ კლდეზე
ვერ ავიდოდა; ამისთვის ცხენი მოახრუნა და ცოტა ქვემოთ
დავაკებულ კლდეზე გავიდა გაღმა მშრალზედ. როგორც პირ-
ველი შევიდა მტკვარში, ისე პირველი გავიდა გაღმა. და სამ-
სამდის ცხენოსანნი მდინარეში დაიხრჩუნენ, რადგან ვერ შეი-
დეს მუხრეთ გასულა გამოღმიდამ გაღმა.

მშრალზედ გასული შაჭა ერთ პატარა გორაზე ავიდა,
დადგა და უყურა გამსულეთ ჯართა, რომელნიც სრულად რა
გავიდნენ, ხმა ჰყო ამიჯახორს (მეჯანიბეთ მთავარს), რომ
ორი ცხენი გამამიყვანო. მხედრობა პატარა ხანს დაასვენა.
შემდეგ მძიმედ დაუწყო გაღმიდამ სინჯვა ქართულთ სანგრუ-
სა, რომელთაც ცხადად ვხედავდით, აგრეთვე თბილისის ერთის
ნაწილის სახლებს ადვილად გამჩნევდით. ქართულთ მესანგრე
ჯართ ნახეს შაჭა გაღმა გა ცოტ-ცოტა ცხენოსანი ჯარის
მიმართება და დაინახეს რომ შაჭა წინ წავიდა იქით პირსა ზე-
მოდ მხარესა; და შაჭამ ხელთ ანიშნა მხედართ მთავარს, რომ
ყოფლის ძლიერებით სანგარზედ მისულყო. ქართულებს კი
ეგონათ — უგანიდამ გზა უნდა გადაგვიჭრას შაჭამო. ამისთვის
მაშინვე თავი დაანებეს იმ სანგარს და, თბილისისაკენ წასულნი,
მესამე სანგარში მყოფ ჯართან შეერთდნენ.

შაჭამ რომ ნახა მათი გაქცევა, მოინდომა უგანვე დაბრუ-
ნება და თავის ჯართან გაღმა გასულა, ამ დროს რამდენიმე
სარწმუნოება გამოცუდილი ქართულები, რომელნიც ჩვენს ბა-
ნაკში იყვნენ, წინ წამოდგნენ და თავი დაუკრეს შაჭსა და მო-
ახსენეს — ამ ახლად ადგილს ზემოთ ბალები (ორთა-ჭალა) რომ
ჩანს, იქ უფრო უკეთესი ფორნი არის, რადგან მტკვარი ორად
ეყოფება და იქ საშალზე ავიდებულად ჯორიც ადვილად გავაო.
შაჭამ აქო ისინი და მათი ერთგულება და ვაჟ-გაცობა და გავ-

ვიძღვნენ ის საწმინდოების მგომბელი ქართველი და ძლიერ
ადვილად გაკედით იმ ფონსა და რამდენიმე წამი მოვიცადეთ,
სანამ ჩვენი ბანაკის თავი მოვიდოდა, რომელიც იყო დაჩხრ-
მილი; ცხენოსანი ჯარი, და ქვეითი ჯარიც წინ წამოვიდნენ
და ჩვენ წინ ვხედავდით კიდევ ორს სანგარსა, უმეტესად ძლი-
ერსა და მაგარსა, და ვიდრე რომ მტერზედ ჩვენი უკანა ქვე-
ითი ჯარიც მივიდა, შევიდა ბაღებში და დაუწყოთ თოფის
სროლა ქართველების ცხენოსან ჯარსა და, რა დაინახეს, რომ
ბაღებში ჩვენ ჯარი გვემართებოდა თან და თან, გაბრუნდნენ.
ერეკლემ არ იცოდა ამათი გაქცევა და სანგარის მახლობლად
გორაზედ თოფის ჯარით მიჰმართა შაჰზედ. და შაჰისათვისაც
მხლობდ ის იყო საჭირო, რომ ერეკლე გორის წვერიდამ
ძირს ჩამოეყვანა რამე მოხერხებით.

რძი შეიქმნა საზოგადო. ამ დროს წვიმა დაიწყო.
ზარბაზნის ტყვიით შაჰს ცხენი მოუკლეს და სხვა ცხენ-
ზე შეჯდა და ერეკლეზე მასვლა ბრძანა. ერეკლემ ვერ შე-
სძლო გამაგრება და მრავალი ჯარის ხოცვით სანგარში შევი-
და და როდესაც ირავლას შვილი გაიქცა და მაღალს კლდეების
და ხეების საფარში შევიდა ჩვენკენ მარცხენა მხრივ, შაჰმა
მიბრძანა რომ მე ჩემის ცხენოსანის ჯარით მისი მამასთან
გაზიარება გავსწვიტო. და მეც ცოტა რამ იმის უკან დევნით
როდესაც ვნახე მთების წვერზედ მობრუნდა მარჯვენა მხარეს
თბილისსზედ, შევშინდი და მეგონა თუ განგებ მიჩბის, და
რა დაკბრუნდი, მე ვნახე რამდენიმე ზარბაზნები გაჭიმვით აღუ-
მაღლებით ჩემს გაკლდის გორების თავზედ, რომელიც დიდს
ვნებსა აძლევდა ირავლის სანგარს. და ეს რძი ვნახე ჩემი თვა-
ლით და აქამომდე მიკვირს — როგორ მოხდა, რომ იმის-
თანა ძველმა მხედართ მთავარმა ერეკლემ, იმოდენი ვიწრო ად-

გილები და მაგარი მთანი უჯაროდ გაუშვა. თუმცა კი ბეგრნი
 ამბობდნენ, რომ ვითომც უფთხიყუნენ უფუელს ადგილს დად-
 გენილი ჯარები, მაგრამ ირაკლას შვილის და დიდურს კაცთა
 შორის მომხდარყულს წინააღმდეგობა და მისთვის დაუტოვეს
 და გაიქცნენ იმათი პირველებით. ჩვენ გამოვიარეთ და ვნა-
 ხეთ, რომ მესამე სანგარზე თვითონ ერეკლე იყო მბრძანებელი
 და ახლად იყო ჩვენზედ, მხლად ერთი პატარა ხევი და ბა-
 ლები განგუფოდნენ ჩვენ მათგან, და ძალიან ძლიერი იყო ჯარ-
 რით და წარბაზნებით და იმ ხევიდამ მცირე ნაწილი ჯარი
 გავიდა მორეს მხარეს, სადაც ცოტა რამ ვაკე ადგილი იყო,
 და უცებ ბალების თავიდაც და ხევიდამ, მრად განგუფილი
 ათასეული ცხენოსანი, და იმოდენიც ქვეითი ჯარი გამოვიდა,
 და შემდგომად, რეგორც შევიტყუთ, ერეკლეს უფრესი შვილი
 უფთხიყულ და უნდოდა, რომ ჩვენის ჯარის ჯარევი (კავშირი)
 გაეწვიტა და უფლას ძლიერებით ჩვენ დაგვეტა, და ჩვენი
 ცხენოსანი ჯარი ძლიერ შორს იყო დარჩენილი. უკეთუ უფთხი-
 ლიყუნენ ჩვენთან, მაინც ვერას გაარბებდენ, რადგანაც ადგილი
 იგი იყო ძლიერ ვიწრო. იმისი გამოსულა ჩვენ დიდს გან-
 საცდელში ჩაკვადებდა, თუ მოეცადაც ცოტა რამ ხანი, რომ
 ჩვენს ბანაკის დიდს ნაწილს გამოეუღო. აგრეთვე არ უნდა გაყო-
 თავისი ჯარი მრად, რომ თავიანთი ძალი არ დაჰკარგოდათ.
 ამ ვიწრო ადგილს ჩვენი დიად მრავალი დაიხრცა, წინ ერეკლე
 და შუაში შვილი იყო და შანა პირველ წინ მისულს ჯარში
 იყო და ადგილი დიდი ეჭირა. მაგრამ ჯარი ცოტა ჰყვანდა და
 წინააღმდეგად ჩვენზე ბოლოს მოსულის ჯარისთვის ადგილი
 ძლიერ ვიწრო იყო და ჯარი ბეგრი იყო. ადგილიდამ ვერ
 შეძრუდიყუნენ სივიწროობის გამო და ასე დაბრკოლებული იყო
 იმ ჩვენის ჯარის დიდი ნაწილი.

ჩვენს უკან დარჩენილის ჯარის მხედართ-მთავარმა, რომელიც ხორასნელი იყო, გაიგო საჩუქრის (ძღუნის) მომტანთ მამასახლისთაგან, რომ (ეგრეზი გრწანისის) ბაღების ზემოდამ შეიძლება დაეცეთო ხევიდამ გამოსულთ ქართველთ ჯართათ, რომლისათვისაც საჩქაროდ რამდენსამე ასის ცხენოსანით მივიდა ბაღების თავში თავ-დასასხმელად: იქნებ გაიქცნენო, და ესრედ, ანუ ისრედ ერთს საათამდე შეიძლოა ირავლიმ გაძლება ჩვენთან თავის სანგრის წინ და შემდგომად გამოვიდა, არა თუ გაქცევით, არამედ რძით, შევიდა მეოთხე სანგარში და ერთ საათამდის დარჩა და შემდგომად იწყო გაქცევა და ვიწრო იყო ის გზა, რომელიც მიდიოდა ქალაქისაკენ და რისაკე მხარეს ბაღები იყო და შაჰმა ვერ გახედა მაშინვე უკან ეღეკნა გაქცეულებისათვის, არამედ ნახევარ საათამდის მოითმინა, ვიდრე რომ უკან დარჩენილი ჩვენი ჯარი შეერთდა და დაიწყო შესვლა ქალაქში. ცოტა რამ წინ წავდექით და ქალაქი თვალ-წინ ჩნდა, კვლავიები, სასახლეები და მცხოვრებთ სახლები და ახანოები, რომელნიც შეიძლებოდა თითო-თითო დაგვეთვალა.

მახსოვს, რომდესაც მივედით ახანოებთან, ასეუფნი მაჭმადიანნი რამდენისამე მოელოთ წინ მოგვეგებნენ. ყურანები ხელში ეჭირათ და ცხვრები სამღუთოდ მოიყვანეს და შაჰის ცხენის წინ თუხს ქვეშ დაჰკლეს. აქ ერთი პატარა ვიწრო ხიდი იყო (განჯის ხიდი) და შაჰი განვიდა იმაზედ თავისის დიდობნის კაცებითა, და ჯარმა დაიწყო შესვლა წვირდეს ბაზრებში და გაიფინენ სრულს ქალაქში.

შაჰი წინამძღვრობითა რამთენისამე გამოჩენილის თბილისის მაჭმადიანთა წავიდა და ჩამოხდა ერეკლეს პალატაში. ამგობდენ, რომ რჩასამდის პირველი კაცნი და მსახურნი არც იქმნებოდნენ შაჰთან და ყოველნი განიფინებენ ქალაქში გან-

საცრცველად და დაულისათვის და ბეჭნი დიდნი კაცნი დაჩნენ
 იქ ცხენებზედ დამდგარნი, რადგანაც თავის მსახურები წასუ-
 ლიყვნენ და სახლებში შესულიყვნენ. ღამემ მალე მოგვასწრო
 და წმინდა წვიმა მოდიოდა. ამისთვის მიზეზი გაუხდათ იქა-
 ურთ მცხორებით, რომ ვერ გაიქცნენ და შემდგომად ამის ყო-
 ლისა, დანაშთენის ხალხის კაება და ღაღადება და ტირილი
 ცამდის აიწყოდა, და კიდრე გათენებადის ჯარი არ დასცხრა
 თავიანთის უსჯულო მოქმედებით.

მეორეს დღეს შუა დღისას ტახტზედ დასჯდა შაჰი და
 ყოველნი დიდნი კაცნი მივიდნენ, თავი დაუგრეს და მიულოცეს
 იმისთანა დიდი გამარჯვება და ძველა მტრისა. რომლისათვი-
 საც შაჰმა ბრძანა საზოგადოებაში, მე კიდრე რძიმოც-და-ათამ-
 დის გამიმარჯვებისა, მაგრამ ყოველზედ დიდი ეს არის. ჯავათ-
 ხანმა რცი ქალი და თორმეტი ყმაწვილი ვაჟი ათისა და თორ-
 მეტის წლისანი მოართვა შაჰსა, რომელთა ტირილი და გლე-
 ჯა კაცის გულსა სცკეთდა და სწომდა მათი საცოდობა.

როდესაც გამოკედით პალატიდამ, ვნახეთ, რომ მოლა-
 აზანსა სცემდა და რამდენიმე აკედით ბანებზედ და ვუყურებდით
 თბილისის მდებარეობასა, ზე შესაწყალკელი სახილველი გამოგ-
 ვნატო თვალ-წინ, ეკლესიებისა და ნაშენი სახლებისაგან საში-
 ხელი გამომავალი ალი ცეცხლისა, ბოლი და ჯარისაგან და-
 ტუკებულის ტუკების ღაღადი, ესოდენ სასტიკი იყო, რომ
 იტყოდი—მეორედ მოსულა არისო. დაკლა იმ ხარისხში
 მდგომარეობდა შეუბრალებელთ და დაუდგრომელთ ჯართაგან,
 რომ არავის არ უნდოდა დამორჩილება თავისის დიდისა. 11
 დღე დაგრძით იქ და ყოველს დღეს ახალ-ახალ საშუალობას
 თუქრობდნენ: ქალაქის დაქვევისა, გაცრცვისა და დატუკებობისა-
 თვის: სახლებისა და ეკლესიების საძირკვლებსა სთხრიდნენ,

რომ დაიჯერებოდა რომ ეზონათ, როგორცათაც კიდევ იბოკეს
 მრავლად, რომელთა შორის გამორჩენილი და მდიდარი იყო
 სომეხთ ეკლესიის სამალავი. აქედამ რცამდის სამსე ზანდუკე-
 ბი, რქრას ბარძიბები, ჯვრები, საეკლესიო დროშაკი, დიბები
 და ძვირფასი საეკლესიო შესამოსები, თვლელთ შემკობილ-
 ნი ყავარჯნები (მღვდელთ-მთავრისა) და მიტრები (გვირგვინი
 მღვდლისა) მოიტანეს შაჰთან საჩუქრად (ძღვნად) *. საჭმლის
 ნაკლებულობისათვის გაკუდით თბილისიდან, არა თუ ვითარცა
 მძლევლნი მხედრობანი, არამედ ვითარცა დედა-კაცნი. არ იყო
 ბანაკი, და იყო დედა-კაცთ სამყოფი, იტყოდი, რომ თუ ბა-
 ნაკში უმეტესნი დედა-კაცნი და ყმაწვილნი იყვნენ, კიდრე რომ
 მხედარნი, და არა თუ მარტო თბილისი, არამედ მისი გარე-
 შემო (თემი) უბედურად განადგეს. შაჰს ჭქონდა განძრახვა

*) თბილისის აღმალხრებელის ხოჯას (საჭურისი, დაკოდელი)
 ალა-მაჰმად-ხანის შემდეგ, შაჰად დასჯდა მისი ძმის-წული ფათალი
 შაჰი. ამისი შვილი იყო მელოქ ყასუმი მირზა, რომლის ცოლი 1845
 წ. მოვიდა თავრიზს და ჩამოხდა ერთს ბაღში — კარავებში. მე მასთან
 და მის ცოლთან საქმე მქონდა და წავეღო სანახავად, თავრიზს. მე მი-
 მილო შაჰზადის ცოლმა თავის კარავში, ბრძანა, რომ ყავა და ყალიო-
 ნი მოიტანონ, ყავის შემდეგ ორი ყალიონი მოიტანეს, ერთი იმისთვის
 და ერთი ჩემთვის, და როდესაც ყალიონს ვეწეოდი იმასთან ღაპარა-
 კით, არაოდეს არ შევხედე ყალიონს..... და შემდგომად ვნახე ის ყა-
 ლიონი — თავზე ჰქონდა ხატები ქრისტეს ოთხი სასწაულისა ე. ი.
 შობისა, ნათლის-ღებისა, ჟვარცმისა და აღდგომისა, მინაქრით
 და ყოვლის ოთხ-კუთხივ თვლელთ იყო მოჭედილი, ეგრეთვე ყალი-
 ონის გარეშემოც თვლელთ იყო მოჭედილი და შემკობილი. ვჰკითხე
 ეს სად გიშოვნიათ, და მითხრა: ფათალი შაჰმა ხაზინიდან გამოატანინა
 და პირის-სანახავად მიბოძაო. ეგ არის თბილისის ალების დროს წა-
 მოღებულიო..... გალუსტ შერმაზანოვი.

კითხვას მითქვამს, რომ უკან დაბრუნებულიყო მოსულსავე გზა-ზედ შუშის ხანის დასასჯელად, მაგრამ ყარაბაღის მთები აბრ-კოლებდნენ მას, უმეტესად შამთრის მოსწრობისათვის, რად-განაც იმ მხარეს ძლიერ მალე მოდის შამთარი, არჩიკის ყო-კულთ რომ არ წავიდეს ყარაბაღის გზით, სულეიმან-ხანი საჩ-დალი და უსუფუ-ული-ხანი დუმბული დამახილიყვნენ დიდის ძღვნებით და შანტი წავიდა თავრიზსა, რომ დამდენსამე დროს დაჩხეს იქ.

ბანაკი აიყარა ერევნის მხარეს წასასვლელად და ეს ამბები შეეცდნენ მცხორებთა, აყრილიყვნენ და გაფანტულიყვნენ მთე-ბისაკენ, და ჩვენ გავიგოდიით ხოლმე ცარიელს სოფლებში და, რასაც სულდგმულს ცხორებს განხაკდით, ვართმევდით და გჭამ-დით და სიტყვის გამო სახლების ძულები და ჭერი გვათბობდა.

შამთრის პირი იყო, მდებს მიკედით თავრიზსა, და ერე-ვანი, ნახევანი და მარანდა დაუტოვეთ აკრანებული და ჩვენ აქ შევიტოვეთ. რომელსაც შანტი თბილისში იყო, რომ ხოჩასანი გადამდგარიყო, და ამისთვის შანტმა აღარ ინდობა ყარაბაღზედ მისვლას, რომ არ დაუგვიანდეს და თვითონ ამბობდა სტუმრად მივდივარ საჩდალთან. ჩვენ გვიმალაშა და ცოტა რამ ხანი დაჩხა თავრიზს, აიყარა და წავიდა თუიჩანს. მუ და ჩემს ხელ-ში მყოფი ჯარი დაუჩხით თავრიზსა. »

ქართული თეატრი

ბევრი აზრი თქმულა და, ჩასაკვირველია, კიდევაც ითქმის, თეატრის დიდ მნიშვნელობაზე და მისს საჭიროებაზე. საკუთრად ჩვენს ცხოვრებაში რომ მას განსხვავებულად მნიშვნელობა აქვს, ამასაც შევხვების ჩვენი მწერლობა, თუმცა ამ საგანს მრავალ-მხრივი გამოკვლევა ჯერ კიდევ წინ უძევს. სხვათა შორის აღიარებულა, რომ თეატრსაც ისეთი ადგილი უჭირავს ჩვენს ცხოვრებაში, რა გვარც ლიტერატურასა; როგორც მწერლობა არის გამომხატველი ცხოვრებისა და მჩვენებელი კეთილის გზისა, აგრეთვე თეატრი სარკვეა ჩვენის ცხოვრებისა და შექმნებას იდეალებისა. ზოგი თეატრის მნიშვნელობას უფრო მაღლა აყენებს მწერლობისაზე და, მართლა უნდა ვსთქვათ, საბუთიცა აქვს, რადგანაც სცენა უფრო ცოცხალის სურათებით, ცოცხალის სახეებით, ხელოვნების ყოველის ღონით შეჭურვილი, გვიხატავს ცხოვრებასა; მწერლობას კი თავის იარაღად მხოლოდ ლიტონი სიტყვა, ბეჭდვა აქვს. ეს უზიარებლობა არამც თუ ჩვენის ცხოვრების გაქმნების მიზნით არის, ყველგან ასეა. რაც უნდა მაღლად განათლებული და გონება-გახსნილი ევროპის საზოგადოება ავიღოთ, მისთვისაც კი ნიჭის და გუნოსის ნაწარმოების უბრალო კითხვას—სცენაზე წარმოდგენილის ადგილი ვერ დაუჭერია. პირიქით ევროპის საზოგადოე-

ბა რამდენადაც განათლებულია, იმდენად უფრო თეატრის მოყვარება და მის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. აგრეთვე უსწავლელი ნაწილიც ევროპის საზოგადოებისა მისი მოყვარება. სტენა მას სწავლის და აჭყავს იმ სიმაღლეებზე, რომელზედაც კერძო სასწავლო აზრის უმეტარი და უსწავლელი ხალხი. ამ გვარად ევროპაში უმეტარ ხალხისთვისაც, რომელთაც ნასწავლ საზოგადოებისთვის თეატრი მარტო შექცევად კი არა ხდება, სკოლათაცა ხდება.

თუ განათლებულ ევროპის ქვეყნებში ამისთანა ადგილი უჭირავს თეატრსა, რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენს უკან დარჩენილ ხალხსაც საზოგადოებისათვის უფრო მომეტებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ავიღოთ უმეტესი ნაწილი ჩვენის თეატრის მაყურებელთა: რა ახალის მშვენიერის ნათელით უნდა გაუნათლდესთ გული და გონება, რომელსაც წინ ეხატება საქვეყნო გენიოსის გამოხატული ძალაღი, მშვენიერი ცხოვრების იდეალი, რომელიც აქამდის არც უნახავსთავის სიცოცხლეში, არც გაუგონია და არც წაუგითხავს; ანუ რომელსაც ეხატება ბიწიერი, დატეხული ცხოვრება, რომელსაც აქამდის თავისში ან სხვებში იქნება მქრალად ენახოს, მაგრამ ისე აშკარად საძულველად არ სჩვენებოდეს.

აქ ერთი მხარე ავიღოთ თეატრის მნიშვნელობისა, აღმზრდელი მხარე, რომელსაც სკოლის მაგარი ხასიათი აქვს. კიდევ სხვა მხარეებია, რომელნიც შედომქმედებენ მწერლობაზე და საზოგადოდ ხელაგნებაზე. ამ საზოგადო მნიშვნელობათა გარდა თეატრს კერძოობით ყოველ საზოგადოებაში, ყოველს ხალხში სათვითარად განსხვავებული თავისი საკუთარი მიდრეკილებაცა აქვს, რომლის ცნობა და გამორკვევა შეიძლება თვითყოფილის საზოგადოების და ხალხის ისტორიულ ყოფაცხოვრებისა, მდგომარეობისა, დროისა და ვითარებისაგან.

ამაგის ახსნა და გამორკვევა ვრცელის ტრაქტიკის საგნად გამოდგებოდა და მისი დაწვრილებითი შემუშავება ჩვენთვის ფრიად საჭირო და უეჭველია; ეს მწერლობის საზრუნველია და მისი გამოკვლევის საგანია.

ჩვენ მხედველობაში ერთი რამა გვაქვს წარმოსთქვათ, რომ, რაჟი ჩვენს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სტენასა, რომელიც აღიარებულა, ჩვენმა მწერლობამ დიკსეული უურადლება უნდა მიაქციოს კიდევ. იგი მუდამ შეუწყვეტელად თავს უნდა დასტრიალებდეს ისე, როგორც თვით მწერლობას.

სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ, რომ თუძცა თეატრის უურადლება არ ჰქვლია ჩვენის ლიტერატურისაგან, მაგრამ ეს უურადლება უფრო ერთის დღის წარმოდგენაზე რეცენზიასა ჰგებნება, თვით რეცენზია ყოფილა სპექტაკლზე, ანუ სპექტაკლებზე. ესე იგი არ დაჰკვირვებია და არ გამოურკვევია თეატრის საქმე ისე, როგორც საჭირო იყო და არის. მაშასადამე სასურველია მწერლობამ ამ შემთხვევაში განსაზღვროს თავისი ურთიერთობა სტენისადმი ცნობიერად და არა ერთის რომლისადმი ფაქტის ნახვით. ამ აზრის ცხადად დანახვისათვის მაგალითს მოვიტანთ ჩვენისავე მწერლობიდან.

დღევანდლადამდე ამ ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში, მუტადრე უკანასკნელ წლებში, აქტიურ-აქტივისებისაგან აღიარითი იმართება. ამ შემთხვევაში როგორი აზრი უნდა გამოეჩინა ჩვენს მწერლობას და საზოგადოებას? ყველა იტყვის, რასაკვირველია, მართალი მხარე უნდა დაეჭირაო. ვინ იქნებოდა მართლის და მტყუანის გამჩიევი, ვინ იყო მოსამართლე? არავინ. ისევე თვითონ აქტიურ-აქტივისების მითქმა-მოთქმას უნდა აჰყუროდა საზოგადოებაც, რადგანაც ჩვენი მწერლობა თვით ვერ არჩევდა საქმესა ცნობიერად და აქტიურების ხმას მისდევდა.

განა მართლად ჩვენი აქტიურ-აქტივისები არიან დამოუკიდებელი, შეუძლიათ ასწონონ ან მნიშვნელობა თეატრისა, ან მისი ავი და კარგი მხარე? ცხადია, რომ მიდგომა გამოვიდოდა ან ერთის მხრისა ან მეორისა. ეს იყო მიზეზი, რომ აქტიურ-აქტივისებმა თავები იპოვნეს და მბრძანებლობის ხასიათი დაიჭირეს თეატრის საქმეებში; იმათთვის აღარც საზოგადოების აზრია საკადრებულად, არც მწიქლობისა და აი ამიტომ პირველად მართლად ჩვენი საზოგადოებისაგან პატივცემულნი, დღეს პატივის-ცემის მოკლებულნი დარჩნენ.

ამაში იქნება თვით აქტიურ-აქტივისებსაც ბრალი ქჭინდესთ, მაგრამ ცხადია, რომ ჩვენს მწიქლობასაც დიდი ბრალი ადევს. და ბრალი იქიდან წარმოსდგას, რომ გამოჩვეული ადგილი არ ეჭირა მისს მსჯელობასა.

ეს მაგალითი მოვიტანეთ იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ, თუ მწიქლობა ყოველის მხრის განსჯით არ ეპყრობა თეატრის საქმეს, ეს ნიშნავს რომ მას ჯერ განსაზღვრული არა ქჭინია თვისი ურთიერთობა სტენასთან; არ გამოურკვევია რა-ღორ უნდა ეპყრობოდეს თეატრის საქმეს; ალალ-ბედით უნდა უყურებდეს საქმეს, თუ მაღლიდამ უნდა დახედოს თავისი მომხმარებლებით? აქტიურ-აქტივისების დალადას უნდა ბანი მისცეს, თუ საკუთარი აზრიც უნდა ეპყრობოდეს? დროებითი, დღევანდელი, ან წლეკანდელი ინტერესი უნდა იქონიოს მხედველობაში, აქტიურებისა ან აქტივისებისა, თუ სამუდამო თეატრის, სტენის, ხელოვნების ინტერესი? ამავის გამოურკვევლობა დიდ ნაკლულეკანებად უნდა ჩაკეთვალს. ამიტომ საჭიროა განსაზღვრა და მოთიქრება, მწიქლობა რა რიგად შეეხოს სტენის საქმეს?

ყველასათვის ცხადი საქმეს, რომ მოუთიქრებლობა და გა-

მოუკვლევლობა ყოველ საქმეში გზას გვიბნევს. თუ რაიმე საგ-
 ნის მნიშვნელობა გარკვევად არა გვაქვს ახსნილი, არ ვიცით იმი-
 სი წარსული და აწმყო მდგომარეობა, არ აგვინიშნავს მისი
 მომავალი საჭიროება და სამზადისი, — რომლისაჲ თვალის ნამ-
 დვილის დათვისების ნაცვლად ღობე-ყორეს გვახლის, გვათამაშებს,
 გვაწვალებს და თვით საქმის წარმატებას უშლის, აყენებს. მო-
 ვიგონით უკანასკნელი რც-და-ხუთი წელი ჩვენის მწერლობისა:
 სანამ იგი დაათვასებდა და ასწონდა თავის ძალ-ღონეს თუ
 ნივთიერს და თუ სულიერს, ისტორიულს, ანუ დროებიდს,
 — რამდენი შეცდომა, და მძიმე შეცოდებაო, ჩაიდინა? გადა-
 აუჯეთ თვალთ ვურჩნალ-გაზრებებს, დააკვირდით კრიტიკულს და
 პოლიტიკურს წერილებს და ნახათ, რამდენი სასტიკი, უშეკრი,
 უსამართლო და ბევრჯერ უკადრისი აზრებია გამოთქმული.
 ხან წარმოგიდგებათ ბავშური თავხედობა დიდგულა უმეცრე-
 ბისა, ხან ძალად ეკროპიულს კრიტიკაზე გამოჭრილი მოსაზ-
 რება, მაგრამ საზოგადო ლიტერატურის და ისტორიის ცოდ-
 ნასთან სრულიადი უმეცრება საკუთარის ლიტერატურის და
 ცხოვრების ძალ-ღონისა; ქვე კესმისთ გაცხარებულის სხაზა-
 სხუბით ეკროპიულ მოაზრეთა მსჯელობის გადასხვათუება, მო-
 ძირთული პაწია რაიმე უსაგნო საგანზე; აქ გაზვიადება და სას-
 ტიკი სჯა მცირე შეცდომისა. ხშირად წარმოგიდგებათ რაღაც
 კილვა-გაკაპასება, რომლის მიზეზს გარკვევად მუხნითაც ვერ მო-
 სძებნით და მხოლოდ მიზეზად ვხვებით თვით დამწერის გულ-
 თიცხობას, ან რხუჯობის მოყვარულობას. ერთი ითხრეს მე-
 რესაგან იმისთანას რასმე, რომელიც შეიძლება ეკროპის შვილს
 მოეთხროს და ეკროპის საზოგადოებაში, სადაც წარსულს
 ვითარებას მოუმიზადებია მასალა ზ ნიადაგი. დღევანდელი შემთხვე-
 ვით გამოჩენილი თვალთ, საზოგადო მოკვლენებათ ითვლება

მწერლისაგან, და არ აკვირდება მისს შემთხვევით გამორჩე-
ნასს. სამუდამო ფაქტებს, — როგორც არის, რისაგან, რა მიზე-
ზით არის? — ამას არ დასდებს და არ იკვლევს. ვინ მოსთვლის,
რამდენი დრო უქმად დაიკარგა და რამდენი სასარგებლო დო-
ნე დაჰკარგა ამ გვარმა უთავ-ბოლო პოლემიკამ; რამდენი კაცი
გათანტა ანუ დაამოწა ერთად მშრომელობას? დღესაც წარ-
სული ნაანდერძები არ მოჰკლებია ჩვენს მწერლობას, მაგრამ
მაინც და მაინც საკმაოდ შესამჩნევად იკლო უაზრო და უსა-
მართლო მოპურობამ. ბოლოს დაწმუნდა ჩვენი მწერლობა,
რომ ძველებურად უსათუოდ მოკიდება სალიტერატურო სამუ-
შაო საქმესთან ვნებას თუ არ მისცემს, უქმად ჩაუვლის შრომას,
მაშინ როდესაც ლიტერატურას ყველაზე მომატებულად ეჭირება
და მოუთხოვს ცნობიერება მოსაზრება და მეტადრე თვის სა-
კუთარ საგნის შესების ყამსა.

სამწუხარო უნდა იყოს, თუ თეატრის საქმეშიაც შეცდო-
მა ჩაიდინა მწერლობამ, როგორც თავის საკუთარ საქმეში. მან
გამოსცადა თავისი მდგომარეობა ყოველის მხრით; თუ აქა-
მომდე სრულად კარგა ვერ აუწონია თავისი ძალ-ღონე, მაინც
საკმაოდ ხედავს; თუ კარგა გამორკვეული არა აქვს, ჰგონობს
მაინც. ეს მას უნდა შეელოდეს თეატრის საქმის გაგებას, და არ
ეკიდებოდეს ალაღ-ბედათა. ეს მისი ვალდებულებაა, რომ ასეთს
ახლო საგანს, როგორც თეატრია, ჩვენის უწინდელ ყურნალ-
გაზეთების პოლემიკის და ცრუ კრიტიკის მსგავსად არ შეეხოს.

ეს აზრები გვქონდა ხელმძღვანელად, როდესაც «ივერიის»
წარსულ ნომერში კლავსარაკობდით თეატრზე და მუდამ ეს აზ-
რი გვექნება, როდესაც ამავე საგანზე ვილაპარაკებთ.

გაზ. «დროება» შეეხოს ჩვენს ლაპარაკს და გვისა-
უბოდურს, ვითომც მიიუერებთ, ანტრეპრისის, სამეგობ-

რად დაგვეწეროს ჩვენი წერილი. არ ვიცი, რა საბუთი აქვს, მერე კი იქვე ანტრეპრეზის უვარგისობის დასამტკიცებლად და თავის აზრების გასამართლებად ჩვენი ნათქვამი მოჭყავს.

ძალიან შესაძლებელია, რომ «დროების» მწერალს სამეგობროდ თქმული ეგონოს ჩვენი სიტყვა, მაგრამ ვის სამეგობროდ? თუ მართლა ანტრეპრეზიონის სამეგობროდ გვიწერია, რაღად ვაჩვენებდით ჩვენს წერილში ნაკლულკანებს სეზონისა და ანტრეპრეზიონისა? მას რაზე სწერება ანუ უღონოდ «დროების» მწერალი? მიზეზი ის არის, რომ არ ვიცი, რაგორ მოეპყრას თეატრის საგანს.

ორი თვე ჩუმად იყო «დროება». თავის გასამართლებლად ის მოაქვს, ვითამც არ გვინდოდა საზოგადოების თეატრისადმი დაფრთხილება, «იუკრის» რეცეზენტი ტყუილად გვისაუკუდურებს ამ სიჩუმიდან. თუ საუკუდურათ ვინმე მიიღებს ჩვენს სიტყვებს, რომ «რუსულმა მწერლებმა მომატებულად უურადღება მიაქცია თეატრს», ეს საუკუდური თვით «იუკრისადაც» უნდა მიემართოს და არა მარტო «დროებას»? მაგრამ გულისა პირმან ამოსთქვას, ნათქვამია. სჩანს რომ «დროებას» მართლა ბრალეულობა გულში ჩააჩნია. ვარგია თუ ეს გრძნობა არ გაჭქრობია, მაგრამ ამითი მაინც თავის გამართლებას არ შეიძლება, საზოგადოების დაფრთხილების ბრალი არ გვინდოდა თავს გვედვას.

რატომ? თუ კი საქმეს ცუდად ხედავს, მაინებლად, საუკუდმართოდ, გააღებულა ყოველი პატიოსანი მოღვაწე ხმის ამოღობს; თუ შეუძლია და ღონე მოსდევს, უნდა შეაყანოს ხალხი, აუხსნას მათებლობა, რომ თვით საგულგებელი საქმე მართლად გაკეთდეს და არ ჩაიფუშოს. მერმედ, თუ მაინც და მაინც თქვენ თითონ ჭეჭმანობთ რისამე სარგებლობა-მაინებლობაზე,

განა მწერლობას არა აქვს მოსაზრება, მოხერხება, რომ საგანს ისეთის მხრით გაარჩევდეს, ისეთის სიტუაციით, რომ გული არ აუცრუოს მათემატიკას? ნაკლულებს აჩვენოს სტენის მსახურთა ისე, რომ აგრძნობინოს ნაკლული და არ აწეინოს სიტუაციით? რის თვის განმავლობაში რუსული გაზეთები («Новое Обозрѣніе» და «Кавказъ») კვირაში რაჯულა ჯანაჯიბიძის ქართულ წარმოდგენებზე; განა უკლავთ ანტიკრიტიკის სამეგობრო უთქვამთ? მაგრამ თქმაც არის და თქმაცა. ნაკლულებსაზე არ დახუბუბლან, დირსებაც უნახავთ; მათს სიტუაციას რაიმე მნიშვნელობა ჰქონია საზოგადოებისათვისაც და აქტივობისთვისაც. ნუ თუ «დროების» მწერალს არა ჰსურდა თავისი აზრიც უზიარებინა ვისთვისმე? მაგრამ იქნება არა ჰქონდა აზრი გამორკვეული და ამიტომ თავი მიანება.

«დროების» წერილი (№ 35, 1885 წ.) გვეუბნება, დატრთობა არ გვინდოდა თუკრის საზოგადოებისათვის ასე არ განლაგოს. რის თვის წინად, რადესაც საწინაო სიტუაცია დაიბეჭდა «დროებაში», (№ 271, 1884 წ.), მასში სხვა იმისთანა აზრი იყო გამოთქმული, რომელშიც საზოგადოების დასატრთობი რამ საკმაოდ მოიბეჭდებოდა. ჯერ ერთი, გადასხვატეულები იყო ფაქტები, რომ ვითომც «სათუტრო დასის ნაშის თავისი დამამშვენებელი ტანტები აღარ ჰყავს», მასში რადესაც თამაშობდა გაბუნია, უიფიანი, აწუტული და აკლდა მხლელად სატარკვისა, დანარჩენნი (გ. აბაშიძე, გ. მესხი, გ. მესხიევი) არც სეზონის დაწეებაში იყვნენ დასში და არც შარშან; მასსადამე მათს ჩამოცლაზე ჯანაჯიბი არ შეიძლებოდა. მეტი, «კრესლები დაცარიულდა და მარტო თუტრის, კასსირი დაღვრემილი გამოყურება თავის უაფაზიდაძა... წარმოდგენები ბილეთის გაუყიდვლობ-

ბის გამო აღარ იმართება. ამისთანა გარემოება ამ ხუთ-ექვს წელს, მეტადრე შარშან, უფრო ხშირი იყო, ვიდრე უკანასკნელს სეზონში. ეს ამოღენა ბრალდი ანტრეპრიზაზე მოქცეული განა სიფრხილისათვის სიჩუმეა, რადესაც, მეტადრე, გადასხვაფერებულა ფაქტები? ამისთანა ლაზარას მართლა შექმლელ გულის აცრუება. ზე იქნება «დროებაში» მერე იგრძნო ამისი უტაქტობა და ამიტომ დაჩუმდა. თვითონ ამბობს, სეზონის გათავებას უცდიდით, რომ აზრი გაბედვით წარმოგვეთქვა და გვეჩვენებინა, თუ რაგორ გაგვიმართლდა წინასწარმეტყველება.

წინასწარმეტყველება ასე ახლათ, რომ წარსულის სეზონის ანტრეპრიზა მეტისმეტი სუსტი აღმოჩნდა და გამოუსადეგარყო. უკანასკნელი წერილი «დროებისა» (№ 35) მომართულა ამ კილოზე და თავის აზრების დასამტკიცებლად იმეორებს იმ ნაკლულეკანებს ჩვენის წერილიდან, რომელშიაც ვცდილობდით მიუფერებლად და არა სამეგობროდ დაგვეთვასებინა ერთგვარად წარსულის სეზონის ღირსებაც და ნაკლულეკანებაც. «დროებისა» მწერალმა თავისი აზრი მხოლოდ ნაკლულეკანებზე დაამყარა და სრულად არა ვხედავ რა ანტრეპრიზაში სასარგებლო. თუ თავის აზრების დასამტკიცებელი საბუთი იზოგა ჩვენს წერილში, რატომ წინააღმდეგ აზრებს კი უურადლება არ მიაქცია? იქნება სულ-მოსაჭიდებელი რამ ეზოგა ჩვენის აზრის დასარღვევი, და სცენის სასარგებლო. ეს ეძჯობინებოდა კვირის ფულტონისტის ლაებობას, საკუთარ გასართობად დაწერილს. მაგრამ, არა. «დროებისა» წერილი მხოლოდ ანტრეპრიზის საწინააღმდეგოდ არის ნაწერი და არას უფიქრდება თვითონის მდგომარეობას: რაოდენ გაცუთილ და საზოგადო სიტყვების გამოთქმის მეტს (რომ კარგი ანტრეპრიზიერი საჭიროა,) არას გვეუბნება.

საქმე რაში მდგომარეობს? ჩვენ აზრი წარმოესთქვით, რომ ანტრეპრიზას დიდი მნიშვნელობა აქვს თეატრისათვის და მაგალითად მოვიყვანეთ წინანდელი მდგომარეობა, როდესაც აქტიორებს ამხანაგობამ თავი ვერ შეუმაგრა და გაიფანტნენ მისი ტაფანტები. წელს გამოჩნდა ერთი კაცი, იკოსა ანტრეპრიზა და შეჭკობა დასის ნიჭიერი არტისტები. უამ ანტრეპრიზათ შესაძლებელი იყო, ეს აქტიორები არ შემოსულიყვნენ დასში წინა წლის მსგავსად. მართალია, ზოგი ძველი არტისტები არ იყვნენ ამ დასში, მაგრამ ვისი ბრალი იყო, ეს არ ვიცით. ვიცით, მაგალითად ისა, რომ კოტე მესხი სამსახურში შესულა, ვიცით განცხადებიდან, რომ ვას. ახალი რეჟისორად იყო მოწვეული და მერე წარმოდგენების დაწყების შემდეგ აღარ გამოჩნდა. ვისაც ადრე უთამაშნია, ყველა არტისტების ნახვა სასურველი იყო, მაგრამ ბურჟუაზიის სხვადასხვა მიზნების გამო, მეტადრე ჩვენის სცენის მდგომარეობის გამო, შესაძლეს ყველანი ერთად არ ვნახეთ სცენაზე, ვინც ერთხელ გვინახავს. სახელობრ მაგალითად მოვატანთ იმ გარემოებას, რომ იქნება ნამდვილმა ნიჭიერმა არტისტმა მეტი ჯამაგირი მართხლოს და ღონისძიება არ იყოს მისი დაკმაყოფილებისა; შეიძლება, რომ, როგორც ვიცით, აქტრისების და აქტიორების ჭინჭულისანი ხასიათი, ვინკლანობა მოუვიდეთ ერთმანერთში, და არ ისურვონ ვინმემ დასში შესულა, რომელსამე არტისტთან ერთად ყოფნა. ამისთანა მიზნების გამო ხშირად იშლებოდა ამხანაგობით შედგენილი დასი. ამ მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლია ფულიან ანტრეპრიზას; ამიტომ სინახურულით მოვიხსენიეთ მისი გამოჩენა და აღნიშნეთ, რომ მის დახმარებით ენკენისთვიდან დიდ-მარხვამდის სეზონმა ერთგვარის მდინარეობით ჩაიარა, არ შეწყდა ანტრეპრი-

ეს წინათ ნახულს ცრუ-ანტრეპრეზენტებისაჲთ და არ არი-დაინი-
დასი. ამ გარემოებას ყურადღება იმიტომ მიუქცევით, რომ
წელს საკვირველი ყაყანი გაიგონეთ ჩვენს საზოგადოებაში,
როდესაც სათარგოვი აღარ გამოჩნდა სცენაზე. «არა, გინდათ
თუ არა, ყველა არტისტები შეიყარებთ ერთათაჲ.» ამასვე ამ-
ბობდა «დროების» რედაქტორთან მიმართული წერილი (№
271. 1884 წ.), რომელიც ნამდვილის გულ-კეთილბოთი მოი-
წვევდა სცენის მსახურებს.

ეს გარემოება გაჩვენებს, რა გულ-მარტოობითა სჯის
ჩვენი საზოგადოება, ან «დროების» მწერალი. ჩვენ ვარგა ვი-
ცით, რომ არც ერთ ქვეყანაში არ იბოკება იმისთანა დასი
ანტიორებისა, რომელშიაც არ იყოს განხეთქილება არტისტებ-
ში. ჩვენში, ჩვენს შოკოთს შეჩვეულს საზოგადოებაში ხომ
უარესს უნდა მოკვლადეთ. როგორ მოათავსებთ, მოარბობთ
ანტიორისა-ანტიორებს, რომ წამ და უწუბ მამლასყინწასსაჲთ არ
იხუბონ და ჭინჭყლიანობა არ გამოიჩინონ. თუ კი მუდმივი
ჭინჭყლი ეკრებოს მაღალ ხარისხზე მდგომარე თეატრის გუ-
ლისებშია, ჩვენ როგორ მოვსპობთ ჩვენს ახლად ნაშობ სცენ-
ის მსახურებში, რომელნიც დაბლად დგანან გონება-გახსნილ-
ბით, ცოდნით, სწავლით და საურთიერთო ზნით ანუ ზნეო-
ბით. ამან იყო ყაყანი და საუკუდური.

რამ გამოიწვია ეს ყაყანი. იმ გარემოებაში, რომ ანტიორისა
სათარგოვი-აბაშიძისა, მთხჯერ გამოსვლის შემდეგ, სცენაზე არ
გამოჩნდა. როგორც ჩვეულებას, ყოველ ნიჭიერ ანტიორს და
მეტადრე ანტიორებს თაყვანის-მცემელნი ჰყვანან და აბა რა დაა-
ჩუბებდა ამათ. «არაქა თეატრი დაიღუპათ; თეატრის დასიღამ
ნიჭიერი ტალანტები გაიღნენ, უშველეთ ქართულ თეატრსაჲ.»
კინ გავიდა, რომელი ტალანტები გაიღნენ წრეკანდელის დასიღამ,

ამაზე არას ამბობდნენ. საზოგადოებაში ზოგნი აუყაყანდნენ სწორედ იმ დროს, როდესაც პუბლიკამ თეატრში ცენტრალური მოუხშირის საიწილი. ზოგი თქვამდა, რომ ნებიერიძის ანტრეპრეზის მოშლას ვასმე ეწადინებაო და რაკი ახლა დღესასწაულებმაც მოატანა, იმას უნდა ეხარებოდესო. ასახელებდნენ კიდევ ანტრეპრეზიონარობის მსურველებს. ამკუ ხანში გამოჩნდა მერკუ დასი, რომელშიაც მონაწილეობდნენ საფაროვისა, ვ. აბაშიძე, ვ. მესხიკი; გამართეს წარმოდგენა. ზოგს აიძულებდა, რომ ნებიერიძის დასი დაიშლებაო და შეუერთდება ამ ახალ დასსო. მაგრამ ეს მოთხოვნა ტყუილი გამოდგა, პირველად იმით რომ ნებიერიძის დასმა შეიძგრა თავი, აქტიურ-აქტივისები ერთ-ხმად შეჭვირდნენ ერთმანერთს და დამარხვამდინ ერთად ემუშავნათ. მერკუდ იმით გამტყუნდა, რომ როგორც ვ. აბაშიძე აღხადებდა «დროებაში», მერკუ დასის შედგენა ვითარებაც არავის სურდა, თუმცა ვი ესეც უნდა მოვიხსენოთ, რომ აფიშაში და გაზეთებში წინათ გამოცხადებული იყო, «სამშობლო» წარმოდგენას ქართული დრამატული «დასი» ჭმართავსო. ამ დროს კულისებიდამ გამოტანილი სიმები იფინებოდა საზოგადოებაში, რომელმაც აქტივისამ ანუ აქტიურმა როლის რა თქვას, როგორ შეებასა ამხანაგსა, როგორ გამოლანძღა და სხვა და სხვა ჭორიკანაობა, როგორც ყოველ თეატრის კულისების ადათია.

ამისთანა ლაპარაკის და ყაყანის დროს რა ჭმარებდა მწერლობაში მოღვაწე კაცს. გამორკვევს თეატრის საქმისა და ცნობიერად მოზურობა, თუ ავიღვილებს? «დროების» წერილმა ეს გარემოება არ იქონია მხედველობაში და პირდაპირ მოყაყანეთა მხარე დაიჭირა.

ერთის წლის დაშლის შემდეგ, ანტრეპრეზის შემწეობით,

დასი შეიკრება, მასში მონაწილეობდნენ ნიჭიერი არტისტები გაბუნია, ყიფიანი და აწყურელი. ამ დასს და ანტრეპრეზანს ბრძოლას უჩენდნენ, უნდოდათ მისი მოშლას, როგორც წინა წლებში რამდენჯერმე მოუხდენიათ აქტიონებს ცრუ ანტრეპრენიონების წინააღმდეგ, რომელთაც ფული არ ჰქონებიათ ჯამაგირისათვის. ახლაც აქტიონ-ანტრისებს ნებიერივე დაპირებულ ჯამაგირებით აკმაყოფილებდა. ამასთანავე შემთხვევაში ერთის არტისტის გამოკლებას განა ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მისთვის გვერდგალებინა ანტრეპრეზანს და მისი დასი? «დროებისა» წერილმა კი ასე ჩაიდინა და სთქვა, სცენას «დამამშვენებელი ტალანტები აღარა ჰყავსო, წარმოდგენები აღარ იმართება, ბილეთების გაყიდვების გამოო».

ამისათვის იწვევდა დრამატული საზოგადოებას: «შეკლას უნდა და საჩქარო შეკლასო.»

მაგრამ რა იმედი შეიძლებოდა დრამატული საზოგადოების კომიტეტისაგან ამავე სეზონში, როდესაც მას ფული არა აქვს და მის ამოჩეულ გაცს საანტრეპრეზანოდ ხელში არა ექნებოდა-რა. შეიკრება დეკემბრის 30 დრამატული საზოგადოება; თურმე ნუ იტყვიან, წელს უაფხუფს აქეთ კომიტეტს სხდომას არც კი ჰქონებია, რადგანაც მისი რვა წევრისაგან ოთხნი ქალაქ გარეთ ცხოვრობენ (ბ. ავაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, გიორგი შარვაშიძე და ვაწაძე, ეს უკანასკნელი ნაკთლულშია) და დანარჩენ ოთხისაგან სამი ხშირად თურმე გადის ქალაქიდან გარეთ, (კნ. ბარათაშვილი, რ. ერისთავი და ალ. მრბეჭიანი). საზოგადოების თავსმჯდომარემ შეკრებილებს მოახსენა, რომ ამასთანავე გაჭირება გვადგასო. საზოგადოებამ ამ ვრებაში მხოლოდ ეს ერთად-ერთი საგანი განიხილა და სთხოვა თავს-მჯდომარეს, კომიტეტის წევრებს აცნობოს ეს

გაჭირვება, რომ ამ ღონით ეგება გამოიწვიოს იმათი ან მუდამ მონაწილეობის მიღება, ან უარის თქმა, რომლის შემდეგ შეიძლება ახალი წევრების ამოწიკვა. უნდა შევნიშნათ, რომ დღევანდლამდე (28 თებერვ.) ამ კრებაზე «დროებაში» არა თქმულა-არა და არც აქამდის ვიცით, თავს-მჯდომარეს მიუწერია რამე თუ არა? აი «დროება» ამ დაჯგუფების კომიტეტის და ამ დრამატოულის საზოგადოების შეკლას მოკლად დასახარად.» რა შექმნა ამისთანა კომიტეტს, რომლის წევრებიც კისრულაბენ თანამდებობას, და საჭმისთვის არც შრომა, არც ინიცოტორება შეუძლიათ.

მაგრამ ეს განა ახალი ამბავია? ძალიან ძველი საქმეა. ჯერ საჭირო იყო, რომ თვით დრამატოულ საზოგადოების კომიტეტი მართლაც მშრომელის, მოღვაწე წევრებით შეესებულებოდა, მუდამ ქალაქში მცხოვრებლებით, მას უკან ამ კომიტეტს ღონისძიება და თუელი მოუბრებინა და შემდეგ შესდგომოდა ანტრეპრენიორის ამოწიკვას. ეს ხომ ერთს დღეში «სახარად» ვერ მოხერხდებოდა. ეს შეიძლებოდა სამუქრისე სეზონისათვის გზრუნა და ამასე ლაზარაკი, ცდა საჭიროც იყო და არის. იმედიც უნდა ვიქონიოთ, იქნება დრამატოულმა საზოგადოებამ მართლაც ღონე შეიკრბოს და მკვიდრად მოუბრას თავის საგანსა.

მაგრამ მომავლის იმედით, რაც დღეს შემთხვევას მოუცია, ის ხელადამ არ უნდა გაუშვას. დღეს ანტრეპრენიორს გამართა, სულის მობრუნება არ დაკარგალოთ და ყაყანი მოკრთოთ, იმისი ჩაშლა გვიანდოდა. ერთი მაგალითი, პირველი მაგალითი გამოჩნდა ქართულ თეატრის ცხოვრებაში, კერძო პირი გამოჩნდა, იკისრა ხარჯი, ზარალი და მოგება თავს იღვა და შორმხედველობის უჭონდობით ამასე გავილასქრეთ! რა მოსაზრება უძღვებოდა ამ გალასქრებას? მოდი და ნუ დაუფიქრებო ზო-

გიერთების დახმარებას, რომ დღესასწაულები ახლოვდება, ანტრეპრენიორის მოწინააღმდეგეთ რამდენიმე სპექტაკლი უნდათ გამართონ და ეს დახმარებებს და არა მართლა თეატრის ბუდიონი. მაგრამ ვთქვათ ეს წვრილმანი ანგარიშის და ამის სურვილი არავისა ჰქონდა; ვსთქვათ ასე იყო, მაგრამ განა «დროებას» არ ჰქონდა ამ აზრების მხედველობაში მიიღება, რომ ანტრეპრენიორის მოშლა, თეატრის საქმის შეშლა იყო?

მაგრამ ამასვე გვეტყვიან, «დროების» უკანასკნელი წერილი ანტრეპრენიორის ნაკლუდეკანებას გვითვლის, თქვენგანვე მოხსენებულსა.

მართალია, ნაკლუდეკანებაც იყო. ეს არც დაგვიფარავს და არც დაგვიარავთ; მაგრამ მაგ გვარი ნაკლუდეკანება მარტო კაცზე ხომ არ არის დამოკიდებული; გარემოებაზედაც არის. ახალი პიესები არ ვნახეთ. განა ეს მარტო ანტრეპრენიორს უნდა დახმარდეს, მწერლობასაც ხომ ბრალი აქვს. აი მაგალითად, განა «დროების» რედაქტორი ან «იურიისა» არ იმყოფებიან ამასთანავე მდგომარეობაში, რომ რედაქტორობის იდეალს ვერ ასრულებენ? მაგრამ განა მათი ბრალია? მართალი ჩვენი წარსული და აწმყო ყოფი-ცხოვრება, ჩვენი გარემოება, ჩვენი მწერლობაა მიზეზი. რა უნდა ვქნათ? განა უნდა მკაცრად გავილაშქროთ, იურიშით მივადგოდ ერთმანერთის ნაკლუდეკანებას და სხვა ყოველი დაუთრები დაუკარგოთ? მტკიცე იმედი გვაქვს წარმატებისა და ამიტომ იმედად მიგვიყავს, ვწონთ ერთმანერთის ძალ-ღონესა და იმ ნიადაგს, რომელსაც ამოუტყნებიან ეს ძალ-ღონე.

თუ ვი მწერლობაში, ჩვენს თავზე ვგრძნობთ გაჭირების ძალას, სხვა საგანსაც, თეატრსაც რატომ ასე არ უნდა მივხედოთ? მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, «დროების» წერილი ამას

არ დასდევდეს. ჩვენს ვთქვით, ანტრეპრიზას ვიციოთ რომ ჩუქი-საზრუნა სურდა უკეთესად წაუყვანათ. «დროების» წერილი ჩვენს ნათქვამს დასტინის, რომ «სურვილი ანგარიშში მოსატანი არ არის, სურვილი სურვილადვე რჩება.» რა კარგი პასუხია. მოკლედ თქმულა და გათავებულა, ვითომ და ყველაფერი ახსნა.

მაგრამ სანამ ვისმე სურვილი აუსრულდებოდა რომელ-სამე ასპარეზზედ, წელიწადების საჭირო და არა მხოლოდ თვე-ებს არის გაცხ დაუწყია შრომა, რატომ არ უნდა დავანდგეთ ავარჯიშის თვისი ღონე, ენერჯია; რატომ არ მივსცემთ მხარ-სა, რითაც კი ხელი მიგვიწვდება, რატომ არ გამოვარკვევთ წინათ ყოფილს გარემოებას, რად ვივიწყებთ თითო სუბონში რამდენჯერმე მოხდენილ ადიაქოთსა, ხან დაშლას დასისას, ხან მოკლე ფეხს ანტრეპრიზას და სხვა და სხვას?

თუ ჩვენ აქტიურ-აქტივისების ჭკუას აუყვით, თუატრის საქმე მუდამ ადიაქოთში იქნება და წარმატებას ვერა ნახავს. მათ უფრო ეს ინტერესი აქვთ მხედველობაში: თუატრში ხალხი იარებოდეს, სახელი იზოგოს მანუარებლებში და ჯამაგი-რი მიიღოს. მწერლობას სხვა მომეტებული ინტერესი აქვს და მისი მსჯელობა უფრო შორს უნდა სწვდებოდეს. «დროე-ბის» წერილები კი უფრო პირველს ეკუთვნის, ვიდრე მეორეს. უქმი იქნება ჩის საზოგადო აზრების წარმოთქმა, რომ კარგი შე-გნებული ანტრეპრიზა გუგურობათ. კარგი და შეგნებული მოთა-ვე ყველა საქმეში გუგურობა, მაგრამ, ახა რომ მოკდივართ — მო-კტირით და ვერსაიღამ გვიზოგნია? ფული უნდა, თავისუფალი გარე უნდა, კარგი სტენის მცოდნე, კარგის ჭკუისა, ნიჭიერი, მოხერხებული, მარჯვე, ლიტერატურის მცოდნე და სხვა და სხვა... ვიციოთ საჭიროა ამისთანა მოთავე თუატრისათვის, მაგ-

რამ სანამ ამისთანა გამოჩნდებოდა, ჯერ თვით თეატრის არსება, მისი აქტიურ-აქტრისების არსება ბევრზე ჭკიდა. ერთი წელიწადი მიიძინა თეატრმა, შესაძლებელია რამა-სამმა წელიწადმა ასე გაიაროს და გაუქმდა კიდევ სამუდამო დასი, სამუდამო თეატრი! ამისთანა დროს თუ ვისმე ვატყობთ, რომ თავის მცირე შეძლების სდებს თეატრის შრომისათვის, ჭკრებს გაფანტულ ძალებს და გვაგონებს მის კარგ დღეებს, ეს გარემოება დასაფასებელია, არა დასს გარეთ დაჩენილის აქტრისის ან აქტიურის თვალთ, არამედ უფრო შეგნებულის თვალთ.

გათავდა წარსული სუზონი და ნებიერიძის ანტრეპრიზა. არ ვიცი თუ ნამდვილად, მომავალში როგორ იქნება საქმე. ანტრეპრიზას, — ნებიერიძე ისურვებს თუ სხვა ნამდვილად ფულის პატრონი ვიქნება, ან დრამატული საზოგადოება, თუ ფული იქნება მის რის ხელთ უნდა მოკეჭიდნეთ. რაც უნდა სუსტი მხარე ჭქონდეს ანტრეპრიზას, (რასაკვირველია ფულიანს ვამბობთ და არა უფულოს,) ყოველთვის ეძიებინება არტისტების ამხანაგობას, რომელსაც ვერაფერი ვერ დაუჭერს თავსა და ძალე დაიშლება. როგორც მაგალითებმა გვიჩვენა ამიტომ უნდა გაფასებდეთ ანტრეპრიზას.

დაწმუნებული ვართ, რომ ნიჭიერი აქტიურ-აქტრისები რამდენადმე აფასებენ და უყვართ ქართული სცენა. უნდა გაიგონ გაჭირებული მღვდმარეობა თეატრისა: თუ ნამდვილად მისი სიმტკიცე სურთ, მარტო თავის ყინის გზაზე არ უნდა იარონ, არამედ დაუფიქრდნენ და განსაჯონ. ყველასათვის სასურველი იქნება ყველა ნიჭიერ არტისტების დასში ერთად შეკრება. მაგრამ ეს შეიძლება ერთმანერთის ილლად წაღებით, და არა თავის ყინის მიუღწეა, კანკალაობით და გარე-გარე გაწევით. მათ რჩი გზა აქეთ. ჩვენში ერთი თეატრია, რომე-

აიცი ძლივს იჩინეს თავსა: ან ამ თუატრში უნდა შეგროვდნენ, ან სამუდამოდ გამოსაღმნენ. აჩქვანი ადგილია. თუ არა და საწვალბეებს ცხვრებს ნურც თვითონ ინდიან და ნურც სხვას უხდიან. მაინც ეს დიდ ხანს ვერ გასტანს და კარგა მოთუქრებს მათრებთ. მათ, ჩვენმა ნიჭიერმა არტისტებმა, უნდა იცოდნენ რომ საზოგადოება წინათ, პირველ ხანებში მათი პატივის-მცემელი იყო; მერე თან და თან დაჭკარგეს ეს პატივი და დღეს მათ ისე უცქერდნენ, როგორც არც ერთ დაბალ წოდების დაცემულს ვაძებს არ უცქერდნენ. ამ მდგომარეობიდან მითის გამოსკვლისათვის, არ ვიცი, შეუძლია რასმე დახმარება და ამალება, თუ არა? ძალიან ძნელია, თუძეცა შეუძლებელიც არ არის.

რაც უნდა მოხდეს არტისტებში, ჩვენ მაინც იმას ვიტყვით, რომ სასტენო საქმეში მწიერლობას თავისი განსაზღვრული ადგილი უნდა ეჭიროს დირსუულად და შორ-მხედველობით. შეცდომა ყოველთვის შეიძლება, მაგრამ ამასაც უნდა აქვს მისი აზრი უფრო ღრმად და ძირიანად უნდა სჭკრეტდეს სტენის საქმესა, თორემ დაჭკარგავს ავტორიტეტობის ძალას თუატრისათვისაც, აქტიურობისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. მისი შესება ამ საგნისადმი უფრო ცნობიერი უნდა იყოს და არა ალაღ-ბუდითი.

ბ უ ზ ი.

ხარები მოჩხნენ ალფსა, ბლამათ გაჭიმეს ხნულები,
ახლა შინათკენ მიდიან ჯათვისგან მოქანცულები!...
გუთანი მიაქვთ ღწიჭინით, ბუზი შამოხვდათ გოსაზედა,
შესძახა მეორე ბუზსა, შავ ხარს რომ ეჯდა რქაზედა:
«სადა ყოფილხარ, დობილარ? რად დაგგვივიწყე ჩვენარ?»
მან უპასუხა: «ვიშინებთ, ვერ მოვიცადე მენარ:
გუთანი გვება მინდორში, გამოვიყვანეთ ალფარ,
ახლა ბური გვაქვს სალქვი, უნდა დავიმართეთ კაღარ!».

თ. რატ. მრისთავი.

* * *

მეც ღმერთი ვარ ერთი — ვინმე უარობი
მდიდარი ვარ გულდით, ჯიბით ღარობი!

მოდით, ძმანო, ღმერთიანათ დაკლდით,
ღარდი, წულუღი გულში მოკლათ, დაკლდით!
ლხერია, ხედავთ, წუთი სოფელი;
სიციცხლე აქვს ჩვენთან გასაყოფელი!

მეც ღმერთი ვარ — ერთი ვინმე უარობი,
მდიდარი ვარ გულდით, ჯიბით ღარობი!

ჩვენი ბიჭი რადისმე დაღმინდება?
სხანს, სიკვდილი, ძმანო, არ გაგინდება!
ჩვენ ვიღმერთით, რა მიგვდევს საიქიანს?
დე, სიკვდილმა ბრძანით თავი იქნინოს!

მეც ღმერთი ვარ — ერთი ვინმე უარობი,
მდიდარი ვარ გულდით, ჯიბით ღარობი!

ვის აბრალებთ თქვენ ბედს და უბედობას?
დაახებთ თავი მაგვრად უბედობას!

ეე! მუდრეგ! ჭა!... წელშია გაიჭიმე:
 ჯოთიანი, ძმებო, მიყვარს ბიჭი მე.



მეც ჯოთი ვარ—ერთი ვინმე უარობი,
 მდიდარი ვარ გულჯით, ჯობით ღარობი!



რას გაჩუბდით, ჩამოუშვით უიუკები?
 გაიციანთ, ნუ ხართ მეთქი ბრეუკები!...
 რას მიჭვიან ტირილი და წუხილი,
 გაჰხინოთ ხელათ მუშტის ქუხილი!



მეც ჯოთი ვარ—ერთი ვინმე უარობი,
 მდიდარი ვარ გულჯით, ჯობით ღარობი!



ბიჭობას ამ დროში დასაკვები,
 მტერს დაკადეთ თავზედ, რეგორც რამი მესი!
 თითო ზოტათ დაკაკროთ გვერდებში,
 გენაცვალეთ მაგ ქრისტებში, დმერთებში!



მეც ბიჭი ვარ—ერთი ვინმე ღლეული,
 თუ არ გაძმობთ, ვაყო ღუთისგან წყეული.

პე. ცაგარელი.



ზინაური მიმოხილვა.

დადგა მარხვა სინანულისა, მოვიდა დღე განკითხვისა. ამ განკითხვისა ვი არა, რომელსაც საშინელი განკითხვა ჰქვიან და რომელსაც ჯოჯოხეთი და «ღრჭენა ვბილთა» მოსდევს. არა, ბატონებო, ეს იმისთანა განკითხვაა, საცა თვითონ ბრალეული თავისი თავის გამკითხველია და მსაჯული. მაშასადამე, აქ «ვბილთა ღრჭენას» და ჯოჯოხეთს ადგილი არ ექმნება. აქ მხოლოდ ის არის საჭირო, რომ ვაგრძელო თავისი ცოდვები ჩამოთვალეს და ჭსოვქვას: ვინანო. რაკი ეგრეთ, ყველა ვაგრძენდა დაუფიქრდეს თავისს წარსულს ცხოვრებას თავისი ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ ჭსურს ქრისტიანული წესი აღასრულოს და დრო სინანულისა ტყუილ-უბრალად არ გააქარწყლოს. მეც ქრისტიანი ვარ და არა რა ქრისტიანობრივი არ მეუცხობის. მეც დავიჟენე ჩემი თავი ჩემ წინა, ვითარცა მსაჯულმა და გამკითხველმა, და ვკითხუ: ახა რას ინანი და რას

არა? სანანებელი ცოდვას და არ სანანებელი მადლიაო, მივასუ-
ხა. ახა მამ ჩამოთვალე თვითოეული ცოდვა, რაც შენ ჩაგიდუ-
ნია-მეთქი. ჯერ მიბძანეთო, მივასუხა: რა არის ცოდვა და
რა არის მადლი და მერე იმისდა გვარად მეც მოვასუხებო.
ამისთანა ვასუხებ და ვთარები სულ მთლად ამირია. ჩავიხედე
ჩემის გულის დაკთარში და თუმიცა მაგისა ვასუხებ იქ ვიხედე,
მაგრამ დაკთარის ბოლო ფურცელზედ ეს ეწერა: შენი შენთვის
შეინახეო, საჭმე ის არის სხვა რას ჭთუქრობს მაგ საგანზეო.
მიმოვიხედე ჩემს გარეშემო, დავეკითხე ძველსა და ახალსა,
აქედ ვეცი, იქით ვეცი, მრავალი ჭკვიანი ვატი ვნახე, მრავალი
წიგნი წავიკითხე და ვცან, რომ ადამიანის უბედურობა დღემდე
იმაში ყოფილა და დღესაც იმაშია, რომ ვერ მიუგნია რა არის
ცოდვა და რა არის მადლი? რას ჭკვიან კეთილი და რას ბო-
როტი? რაც გუშინ ცოდვით აღიარებულა, დღეს ის მადლით
მიგვაჩნია, რაც ერთს ჭკვიანში მადლით ჩაუთვალა აღადიანს,
ის მეორეში ცოდვას, რაც ერთს შემთხვევაში ცოდვას მო-
მაკვდინებელი, ის სახელმწიფოს საჭმეა მეორეში. მაგალი-
თებრ, უწინ გაგილელი კინაღამ ცეცხლში დაჭსწვეს—რად
ჭსთქვიო, მზე დვას და დედა-მიწა ტრიალებსო და ეხლა
ვი რომ პირველის კლასის ბაღშია ეგ არა ჭსთქვას, რო-
გით გაჭსეთქენ. სპარსეთში რომ მთავრობას აშკარა ცუდი
რამ დაუწუნო, ენას მოგჭრიან, ინგლისში რომ ეგვემე ჭქმნა,
გზას მოგცემენ დიდებისა და სახელისათვის. ვატი რომ აბუ-
ზარს მოგიყვანოს, შენი აღადიანობა შეჭლახოს და შემოგაკვდეს,
დაგახრჩობენ, იმაში რომ ერთის მაგიერად ათასი სული გა-
ყლიტო, სახელმწიფოს ვატი ჩაგთვლიან. მშიერ-მწყურვალთა
სიკვდილისაგან გადასარჩენად ერთი ლუკმა პური რომ მოიპა-
რო, ვიჩის ახანოში გიკურენ თავს, მტრის ჭკვიანა რომ მთლად

გადაჭრუგო და ათასი ვატი მიმიღოთ ამოახრჩო, სახელოვან
საქმედ ჩაგეთქვლება. ახა მოდი და ლაჩი გახვი, ლაჩს იქით
ცოდეებს მოუყარე თავი და ლაჩს აქედ მადლსა!... რად უნდა
იყოს ესე, თუ გონება ადამიანისა უკუღვან ერთ-ნაირად საღია
და მრთული? რა ქმნას გამკითხველმა და მსაჯულმა როცა ამის-
თანა უთავ-ბოლო დაუთარი აქვს ხელში ცოდევა-მადლის გასარ-
ჩევად? გამკითხველს და მსაჯულს კიდევ არა ეკნება-რა, რა
ქმნას თვითონ განსაკითხველმა და განსასჯულმა? როგორ
მოაწყოს თავისი დღენი ცხოვრებისა, სად დაიხიოს უკან და
სად წაიწიოს წინ? რა იხელთოს და რა უკუიწოდოს? რას გა-
ეჭვებს და რას მოეწიოს?

კეთილი და ბოროტი, ცოდევა და მადლი მარტო ადა-
მიანის გულის-ხმის საქმეა. უტყვის ბუნების წინაშე არ არსე-
ბობს ეგ განსხვავება. ადამიანის გარედ ცოდევა და მადლი არ
არის და რადგანაც ადამიანი უკუღვან ადამიანია, მაშასადამე,
რაც ერთგან და ერთისათვის ცოდევაა და ბოროტი, მეორესა-
თვისაც ცოდევა და ბოროტი უნდა იყოს უკუღვან, უოკუღვანის
და უკუღვან შემთხვევაში. ჩვენ ვხედავთ და დღე-მოდამ მაგალი-
თებით ვჩქიმუნდებით, რომ ეს ასე არ არის. რატომ? «რა-
ტომღა?! საქმეც იმაშია, რომ მაგ «რატომს» ჯერ აქამომ-
დე ადამიანმა გულ-დაჯერებული პასუხი ვერ მოუპოვა.

ეხლა ხან ერთის დიდად გამოჩენილის მწერალის ნაწერო
წავიკითხე. საკვირველი ჯოჯოხეთი გამოუკლავ თავის ხან-
გრძლივ ცხოვრებაში, თუძვა მისთვის ბედს უოკუღვან თურო
უხვად მიუნიჭებია. რა გინდა, სულა, გულა, რომ მას არა
ქმნას: დიდი ნიჭი მწერლობისა, დიდი სახელი, დიდ-კაცობა,
დიდი ოჯახი, დიდი სიმდიდრე, ძალიან კარგი ცოლ-შვილი,
ჯანი, სიმრთელი, ერთის სიტყვით, უოკუღვან თუროთ და მრ-

კალ-კეტად ბედნიერი ყოფილა გარედამ, თუ ეგრე ითქმის. ხელ-
 ლა შიგნით კი, გულში ერთი ჭია ასჩენია, რომელსაც უღრ-
 ღნია მისი სულერი აჩსება და იმისთანა სასოწარკვეთილებამ-
 დე მიუყვანია, რომ გადაუწყვეტია, — ყველათური ფუჭიალ,
 სიციცხლე სიციცხლედ არ ჭდირსო და ჭლამოდა თურმე თა-
 ვის თავის მოკვლას. დღე ყოველი მისი ერთი დაუძინებელი
 ბრძოლა და ჭიდილი ყოფილა, გამწვავებულ ბრძოლა და ჭი-
 დილი სულერი, რომელიც უფრო მწვავია, ვიდრე განით-
 ხორცის გლეჯა, ვიდრე ხორცის წვა განურებულის შანთითა.
 ამ სასოწარკვეთილების მიზეზად ის განდობია, რომ ვერ მი-
 უგნია: ცხოვრებას რა აზრი და საგანი აქვს ანუ უკედ ვსთქვათ,
 რაშია აზრი და საგანი ცხოვრებისაო. თითონ თქვენც იტყვით,
 რომ ეს ამიტანა შეჩვენებული ამიტანაა. რაგი ეს ამისთანა ამი-
 ტანა შეუჩნდება ადამიანს, მე არა მგონია, სხვა უარესმა ჯო-
 ჯოხეთმა-ღა ბუდე გაიკეთოს ადამიანის გულში. საცოდავია
 კაცი, დევნული ამ ამიტანსაგან, მაგრამ დიდებულიც კია. ღონე
 სულისა მეტად განდიდებული უნდა ჭქონდეს კაცს, რომ ამ
 ამიტანას შეეჭიდოს და გაემკლავოს. ეგ შეეჭიდება და გამ-
 კლავება ვიდრე არათური. საჭმე იმაშია, რომ კაცმა თავისი
 სიციცხლის ძაფი მაგ ამიტანას ჩაახას, ან გაკხნა მისი
 კვანძიო, ან არა და თვით სიციცხლის ძაფი ჩემი ზედ შევა-
 წვიტოო.

სწორედ ეგრე გადუბამს თავისი სიციცხლის ძაფი ამ
 ამიტანაზედ ხსენებულს მწერალსა. ყოველივე მეცნიერება ფსკე-
 რამდე გონების თვალთ მოუჩხრეკია, გამოუძიებია, არ დარ-
 ჩენია არც ერთი ფილოსოფოსი ძველი, თუ ახალი რომ ზედ-
 მიწევნით არ შეესწავლოს, ყოველივე ჭკუისა და ხელის ნა-
 მოჭმეღარა ადამიანისა აუწონ-დაუწონია, ყოველივე ხორციელი

სიკეთე ამა წუთი-სოფლისა ხელთა ჭქონია და გამოუკვლეოა, ყუაღან და ყუაღასათვის ერთი და იგივე უკითხავს და იმ წყულის ამიდანის ნამდვილი და გულ-დასაჯერებელი პასუხი ვერ მოუპოვნია ვერსად, ვერათერში და ვერავისგან. რაკი ეგრეთ და სიტყვებისა აზრი ვერ მოიპოვებოა, მაშ სიტყვებზე სიტყვებზეთ არა ჭლირსო და ყოფნას არ ყოფნა ჭსჯობიანო. გადუწყებია და თავისთავის მოკვლასად მიმდგარა. ამ ამიდანის რამ ნამდვილი, უცლობელი, გულ-დასაჯერებელი პასუხი მოენახებოდეს, მაშინ ჩვენს «რატომსადა» წამალი დაედებოდა და შავი შავი იქნებოდა და თეთრი — თეთრი ყუაღასათვის, ყუაღან და ყოველს შებთხვევაში,

ამ წყულის ამიდანის ჭიას დიდი ხანია კაცის გულში ბუდე გაუკეთებია. ჯერ კიდევ სოლომონ ბრძენს, რომელს იგი გამოჩენილი მწერალიც ამის გამო იხსენიებს თავის ნაწერში, მაგ ამიდანამ დაუწყულულა გული და ეს უნუგებო, გულ-საკლავი სიტყვები ამოაკუნეს: «ამაო ამოებათა და ყოველივე ამაო.» აი რა გვარმა მსჯელოებამ მიიყვანა სოლომონ ბრძენი ამის თქმამდე:

«რა უმეტესობა არს კაცისა ყოველსავე შინა შრომისა მისსაო? ნათესავი წავაღს და ნათესავი მოვაღს და ქვეყანა ჭბიებს უკუნისამდე, აღმოხდების მზე და დახდების მზე» და თავის ადგილადვე მიიზიდებოა; გარემოს გარემოვლით დადის სული და სიმგვრველესა თვისსა ისევ მოიჭრევოსო; ყოველი ღვარნი შესდიან ზღვასა და ზღვა მანც არ იკავებოა; ყოველთა სიტყვათა შრომისათა მამა-კაცი ვერ შემძლეულ არს თქმად და არა იკავებო თვალთა ხედვითა და არცა ყური სმენითა; რაც ყოფილა, იგივე იქმნება, რაც საქმნულია, იგივე ქმნულა და არა რა არს მზესა ქვეშე ისეთი, რომ შეიძლებოდეს

ითქვას: აჭა ეს ახალიაო. რაც აწ იქმნა, საუკუნეთა შინა ქმნულნი არიან წინასწარ ჩვენსაო. მე მეფე ვიყავიო ისრაელთა ზედა და მივეცი გული ჩემი გამოძიებად და განხილვად სიბრძნისა ყოველთათვის ყოფილთა ცათა ქვეშე, ვნახე ყოველნი ქმნილნი და ნაქმარნი მზესა ქვეშე და აჭა ყოველი ამაოება და აღჩივას სულისაო! აჭა განკდიდდით და შევიძინე სიბრძნე უფროს ყოველთა, რომელნიც იყვნენ უწინარეს ჩემსა, გული ჩემი მივეცი ხედავად სიბრძნისა და მეცნიერებისა და გულმან ჩემმან ნასა მრავალი სიბრძნე და მეცნიერება, იგავნი და ხელოვნებანი და ვცან, რომ ესეცა ამაოებაა და აღჩივას სულისაო. განკადდე ქმნულნი ჩემნი, ავიშენე სახლები, დავხერგე კენახები, გავიკეთე მტრისნი და სამართხენი, დავხერგე მათშინა ხენი ყოვლისა ნაყოფისა გამოვიყვანე ჩემდა საბანებლად და იმ ნორჩოვანთა ხეთა სარწყავად წყალნი, მოვიგე მონანი, მხევალნი, მეკანდნენ სახლის-წულნი, შევიძინე მრავალი სამრეწლოსი და სამწყესოსი, შევიკრიბე ვერცხლი და ოქრო და სიმდიდრე მეფეთა ქვეყანისა, შევიკრიბე მეძლეკენი მამანი და დედანი ჩემდა ყურთა დასატკობად, შევიძინე სიბრძნე უფროს ყოველთა, ჩემზედ უწინარეს მეფეთა და სიბრძნე ჩემი დავადგინე ჩემდა, ყოველი რაც ჩემმა გულმა და თვალმა ითხოვა, არა რა დავიკელიო. ხოლო რა მივიხილე მე ყოველთა ჩემთა ნაქმართა, რომელიც ჰქმნეს ჩემთა ხელთა», ვცხსთქვიო: «აჭა ესეცა ამაო და აღჩივას სულისა!» მივიხილე მე ხილვად სიბრძნისა და უგუნურებისა და ვნახეო სიბრძნე ჭაჯობს უგუნურებისა, როგორც ნათელი ბნელსა, ბრძენი სინათლეში დადის და უგუნური ბნელშიაო. მაგრამ რა გამოვიდაო? ერთი და იგივე შემთხვევა ორივეს ერთ ნაირად წაგვახდენსო, უგუნურის შემთხვევა მეც შემთხვევილიო და რაღა უმეტესობაა სიბრძნეშიო?

ბრძენსაც ისე დაივიწყებენ, როგორც უგუნურსა, სიკვდილი
 ორივეს თანასწორად ჰხრცნო, ყოველნი მიწისაგან შექმნილნი
 არიან და მიწადვე მიიქცევიან და მოკიდულე ცხორება და ყოველნი
 ჩემნი ქმნულნი, მოკიდულე მე ყოველი სოფელი და შრომა
 ჩემი, რადგანაც იგი უნდა დარჩეს «გაცნა ყოფადსა შემდგო-
 მად ჩემსა» და ვინ იცის ბრძენი იქნება თუ უგუნური იგი,
 რომელიც დაეპატრონება «ყოველთა შრომათა ჩემთა, რომელ-
 სა დაკვირ და რომელსა ვბრძნობდი მზესა ქვეშეთ.» და აჴს
 ესეცა ამარებათ.

მაძლარი მშენის წიკრლად უფშენიდათ, რომ იტყვიან,
 სწორედ ეს არის. ამ დალოცვილს ყველაფერი, რაც გაცის სა-
 ნატრულია და დამატებობელი, ხელთა ჰქონია, ასე რომ ქვეყა-
 ნაზედ სხვა აღარა დარჩენია-რა სასურველი. ამ ყველაფრობას,
 მისდამი ისე უხვად ბედისაგან მინიჭებულს, გული აუსუყებია
 და რასაკვირველია, რომ გულ ასუყებულმა ყველა, რამაც გული
 აუსუყა, ამარებათ ჩასთვალეს, ნამეტნავად მაშინ, რაცა თვალ-
 წინ წარმოუდგება, მიწა ვარ და მიწადვე მიიქცევიან. ახა პა-
 ტარა დაიქვეითონ და ზოგი ჩვენა გვეითხონ, ჩვენ მდაბიოთა
 სიკვდილის შეილთა, რომელთაც ყველაფერი გვენატრება, რომ-
 ელნიც ყველაფერს სისხლით, ოფლით, წვითა და დაგვით
 ვძორობთ და წილად გვხდომია იმავე წვითა და დაგვით ნა-
 შოვნ-ნაამაგვი დავიცათ და მუვირჩინოთ. ჩვენა გვეითხონ და
 ჩვენ ვეტყვიან: რამაც არის აზრი, საგანი ცხორებისა. მაშინ
 გამოჩნდება, — რა არის ცოდვა, რა არის მადლი, მაშინ ერთ
 ნაირად გაისამზღვრება ერთიც და მეორეც ყველგან, ყველასა-
 თვის და ყოველ შემთხვევაში. ჩვენ ამას არავინა გვეითხავს და
 თუნდაც იგიოთხოს ვინმემ, ვერ შემძლებულ არს მამა-გაცი თქმად
 ამისად» სოლომონ ბრძნისა არ იუოს. შენც სუ! და მეც სუ!..

ესეა თუ არა, ჩვენ ამ მაღალ ფარდებში ტრიალს თუ არ დავანებეთ თავი, შორს წავა საქმე. სოლომონ ბრძენს მარტო უკვდავება-და ჭქონია სანატრელი, სხვა ყველა ბედს მისთვის მიუნიჭებია. ჩვენ კი «არსებითი პურიც» გვენატრება. სად ჩვენ და სად სოლომონ ბრძენი? ჩვენ მისამდე არც ხელი მიგვიწვდება და არც სურვილი. ჩვენ ჯერ ბევრი კბეები გვაქვს ასასკული და ჯერ არც ერთს საფეხურზედ თეხიც არ მოგვიკიდებია. უბედურს კაცს ქვა აღმართში მიეწევაო. ჩვენ თუძცა ძალიან ბედნიერი ვართ, მაგრამ ყველაფერი ფათურაკის საქმეა: შეიძლება ქვა აღმართზედ ბედნიერსაც მოეწიოს და ამას წინასწარვე გათვთხილება ჭმარებს.

თუძცა სოლომონ ბრძენს გავუბედეთ და სიტუვა მეტნაკლებობით შევუბრუნეთ, მაგრამ მე და ჩემმა ღმერთმა ზოგში კი აშკარად მართალია. მართლად, საშინელებას, რაცა შენს ნაწვავ-ნადაგსა, შენს ნაჯათვასა, შენს ნაბრძნობსა უგუნური დაეპატრონება. გინდა თუ არა სოლომონ ბრძენსავით ამოიკვნესებ და იტყვი: თუ ეგრეს (და რომ ეგრეს, აშკარად ვხედავთ) რისთვის დაკშევრ და რისთვის ვბრძნობდი მზესა ქვეშეო?

ყველა ყველაო, მეტყვიან: შენ შინაური მიმოხილვა დაგვიბრძლი და მაგას რაებსა ჭბოდაძო. ღმერთი — რჯული მეც არ ვიცი რაებსა ვბოდაძი. ეს კი ვიცი, რომ მართლად ვბოდაძი. რაგორღაც გზა-კვალს ამერია და დაუბნობუ თავი სინანულით დავიწყე და ლამის წაწყმედის გზაზედ გავიდე და სამგლე გოჭსავით გავისისწვრიო. იქნება არ დაიჯეროთ და ერთი საცლარი, უცნაური სენი დამჩემდა. ამბობენ, ეს სენი მარტო მე არა მჭირს. თუჩემე ნუ იტყვიოთ, ყველას, ვისაც ჭკუასთან რაიმე საქმე აქვს, იმათაც ის ემართებათ, რაც მე. დაკუთქვრდები

რაზედმე თუ არა, ან ჩაუკვირდები რასმეს და ტინის ძაფები
 მოძრაობაში შეუღებ, ერთი რაღაც სულთა-მხუთასაკით ამეტუ-
 ზებს თვალ-წინ და არა მშორდება. ეხლაც ამ ყოფაში ვარ,
 თუმცა თქვენცა ხედავთ, რომ ჭკუასა და ამ ნაჯღაბნს ერთმან-
 ნეთში არათუკი გაკშირი აქვთ. ეხლაც თვალ-წინ მიდგა და სა-
 შინკლას ჯადოს მიკეთებს. მე ერთის თქმა მინდა, ის სულ
 სხვან მალაპარაკებს, ენა ჩემი იძვრის, სიტყვა იმისია, გალა-
 მი ჩემი სწერს, აზრი იმისი გამოდის. რა შემართება არც
 მე ვიცი. ქვეყანა ჩემ თვალ-წინ როგორღაც უხეიროდ, წაღმა-
 უკუღმა ტრიალებს, თითქო ღერძი გაუტყდა და საცა არის
 ტალახის გუნდასაკით დაეცემა და დაიმსხვრევა. მე ვშიშობ
 და ვკანკალებ, მართლაც ესე არ მოხდეს მეთქი, ის ჩემი სულ-
 თა-მხუთავი ვი თავს მადგის და იღრიჯება, იცინის. რას იღ-
 რიჯები, შე უგვარო, უმგზავსო მეთქი, ვუბნები. იმან პასუ-
 ხად ღორის ეშვებსაკით თავისი სიბერისაგან თანთაღა ღოჯე-
 ბი წამომიყარა და ამოჭკარტლულ ბუნარსაკით შავი პირი უფ-
 რო დიდად დააღო. თუ, ეშმაკო! მეთქი, დავივირო, მაგრამ
 გრც ამან გასჭრა. პირჯვარი დავიწერე, შენც არ მომიკვდე,
 არც ამან მოატყუევინა თუხი. რა ყოფილა თქვენი ჭირიძეთ!
 ესე ამ ყოფაში ვარ ხელმე, მინამ მამაღი იყიკლებს. რაგა ის
 დაღოცვილი წამოიყიკლებს ხელმე, სულთა-მხუთავიც უცბად
 თვალ-წინ გამიფრთხება, გაჭრება, როგორც ქარისაგან ბოლი.

ეხლაც ვი საათი ქვეყნისა მოშლილთა და არ ვიცი ამ ყა-
 მად მამლის ყივილამდე ბუკრი დრო დარჩა ვიდრე თუ არა.
 ვზივარ და შეუურებ სულთა-მხუთავს, ვზივარ ღოდინით და-
 ღაღუღი და ვნატრობ მამლის ყივილას. როდემდის უნდა ვი-
 ღოდინო, როდემდის! შე დაღოცვილო მამაღო, რაღას უყუ-
 რებ და არ დაიყიკლებ!...

მაინც რისთვის გავაბი ლაზარაკი სოლომონ ბრძენსა და იმ წყეულ ამიწანაყედ, მეც ვერ გამოვიყენებ. მე ვგონებ, რომ ძალიან შევტოვებ და თავს ბოლო ველარ გამოვავი. რით დაგისრულეთ სიტყვა, არ ვიცი. ჩემი კალამი ჩემს სურვილს ეუბნება. ჩემგან ნახევანებს ბარდებში ბილიკი თქვენ თვითონ გაიგნეთ. მე ვი ვდუმილები და ვიდრე მძალი დაიუივლებდეს და ეს სულთა-მსუთავი გამოიფრთხებოდეს, მე ჩემსას არას ვიტყვი და ისევე სოლომონ ბრძენს ვაღაპარებ. არც საშიშია, არც საკრძალოელი.

სოლომონ ბრძენი ამბობს, რომ ყველას თავისი დრო და ყაბი აქვს ცათა ქვეშეო და ასე განაკრძობს:

«ყაბი შობისად და ყაბი სიკვდილისად, ყაბი დანერგვად და ყაბი აღმოფხვრად დანერგულისა, ყაბი წყეულებად და ყაბი გურნებად, ყაბი დარღვევად და ყაბი შენებად, ყაბი ტირილად და ყაბი სიცილად, ყაბი გოდებად და ყაბი განცხრომად, ყაბი განყრად ქვათა და ყაბი შეკრებად ქვათა, ყაბი გარდახვევად და ყაბი განშორებად გარდახვეულისაგან, ყაბი ძიებისად და ყაბი წაწმენდისად, ყაბი დამარხვისად და ყაბი აღმოთხრომისად, ყაბი განხვევისად და ყაბი შეკერვისად, ყაბი დუმილისად და ყაბი მეტყუელებისად, ყაბი სიყვარულისად და ყაბი სიძულეისად, ყაბი ბრძოლისად და ყაბი მშვიდობისად.»

აი თურმე სად უნდა ვუბნოთ ზასუხი იმ წყეულის ამიწანისა? აი თურმე სად უნდა მოიძებნოს აზრი ცხორებისა! მე შორს, ფილოსოფიის მოკვება არ შეკვივარ, თავი ხომ არ მომძულება, რომ დასახრჩობად გამოვიმეტო. მე მოკლედ ვსჯი და მოკლედ ვსჭრი: აზრი ცხორებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმცნო: ყაბი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილსა, განყრას, თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყუელებას, სიყვა-

რუფსა თუ სიძულადს, ბრძოლას თუ მიშვიდობას და სხვათა და სხვათა ამისთანათა, რაც ჩამოთვლილთა სრულმონ ბრძნისაგან.

«დროს ჭსჭკრიტე, ყამთა რა მოაქვს,
რას ისხამს, რა მოისთვლებს?»

ქართულთაგან თქმულია. მეც ქართული ვარ და არა ქართული არ მუცხლებს. ამიტომაც იმ ამცანას ამისთანა მასუხს ვაძლევ და ზედ დავაჩთავ:

„თუ ყამს ხელთ აქვს ისარი,
შენცა ხელთ გქონდეს თარი.“

მედიასტორათა განრიგება

ბ. ბ. გოგებაშვილის და ღულაძის

პოლიემიკის შესახებ.

ქართულს პედაგოგიურს ყურნალს «ნობათში» იყო, რომელიც უწყიან მკითხველებმა, ბიბლიოგრაფიული წერილი ბ. ბ. გოგებაშვილისაგან შედგენილის წიგნის «კონის» შესახებ. მის პასუხად «კონის» ავტორმა დაბეჭდა გაზეთს «დროებაში» საბაასო წერილი, რომლითაც «ნობათის» რედაქტორმა ბ. ა. ღულაძემ ქსენა «შეურაცხყოფილად რომელიც ნობათის პატროსანი განზრახვანი, აგრეთვე პირდაპირ თავის თავი.» ამის გამო, «დროების» საშუალებითვე, მოითხოვა ბ. გოგებაშვილისაგან მედიასტორების დანიშნა ამ საქმის გასარჩევად. მისი მანძინდელი აზრით, მედიასტორებს უნდა განეხილათ, რომელიც «ნობათში» დაბეჭდილი ბიბლიოგრაფიული წერილი და მისი დიქსება, აგრეთვე ბ. გოგებაშვილის საბაასოცა და გადაეწყვიტათ: ა) «რამდენად საფუძვლიანად უარ-ჭყლავს უკანასკნელი პირველსა და ბ) რა უფლებით აძლედა ბ. გოგებაშვილი თავის თავს ნებას, რომ უპატიურად იხსენებდა, რომელიც «ნობათის» სახელს, აგრეთვე მისი რედაქტორისას.»

ბ. გოგებაშვილი დათანხმდა მედიატორების აღმორჩევა-ზე და ესეთი გითხვები დაადგინა პირველად «დროებაში» დაბეჭდილ პასუხში: 1) მოყვრულად ვექვეყნდით ჩვენ ნობათსა და ვცდილობდით მის წარმატებისა და გაგრძელებისათვის, თუ არა? 2) «საყმაწვილო გონის» შესახებ მისი წერილი საფუძვლიანი და ზრდილობიანია, თუ უსათუძლოა, ბავშური და ბრყული, და მან ამ წერილით სიკეთისთვის ბოროტი მოგვანგა, ანუ ვინ სტყუის: ბ. ღულაძე, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ «გონა» უოკლად გამოუსადეგარი წიგნია, თუ სტყუოდა გერძო კომიტეტი, რომელსაც შეადგენდენ უურნალის «გრებულის» რედაქტორი ბ. ვიჩიჯუ ლორთქიფანიძე და რამდენიმე მისი თანამშრომელი, რომელმაც ათი წლის წინად განიხილა ჩვენი წიგნი და სწრაფ იგი იმდენად სასარგებლოდ, რომ არამც თუ დაბეჭდა იმ ფუფით, რომელიც ბ. ზარათუკმა შესწირა ქართულ საყმაწვილო წიგნების გამოსაცემად, არამედ კიდევ დააჯილდოვა ზარათუკისაკუ რც თუმნაინი პრემიითა. 3) მართლა ჩვენ რაიმე შეუსაბამო შეურაცხყოფა მივაყენეთ ბ. ღულაძეს, თუ მისი წერილი სწორედ ღირსი იყო იმ გვარი პასუხისა, რომელიც ვაგეთ მას? თუ ბ. ღულაძემ უსიდად მოიკატუნა თავი, განზრახ ჩასთვალა თავისი თავი შეურაცხყოფილად? 4) სასარგებლოა ჩვენი პუბლიცისტური ლიტერატურის აღორძინებისთვის იმ გვარი კილვა, რომელიც ბ. ღულაძემ უძღვნა «გონას», თუ მავნებელია და სათაკილო უოკლად უურნალისათვის?»

რაცა აღმორჩეული მედიატორები შეუდგენს საქმის განხილვასა და მოსთხოვს ბ. ბ. ღულაძესა და გოგებაშვილს გითხვების დადგენა დაბოლოებით, მაშინ ბ. ღულაძემ შესცვალა თავისი, შემოხსენებული გითხვები, უარი განაცხადა გაგვირ-

ჩაი საქმე ყოველ მხრით, შევხებოდით «გონის» შესახებ დაბეჭდილ წერილის შინაარსს, მის სიმართლესა და საფუძვლიანობას და წარმოუდგინა მედიატორებს გადასაწყვეტად მხოლოდ შემდეგი კითხვა: «მიუხედავად მისა, თუ რაკდენად მართალია სუბექტიური მსჯელობა რათა მოწინააღმდეგე მხარეთა წიგნის «გონის» შესახებ, გაისაჯოს და გადასწყდეს კითხვა: შესაწყნარებელია ბეჭდვაში ისეთი ლიტერატული ფორმა, რომელიც მათ იხმარეს, თუ არა?»

ბ. გოგებაშვილმა, თავის მხრით წარმოუდგინა მედიატორებს უწინდელივე კითხვები, მხოლოდ ამ გვარად შემოკლებული: «გაჩივება კონისა, დაბეჭდილი ნობათში, პრინციპილური კრიტიკაა, თუ უფრო პირადი კიცხვა, სავსე საწყენი და დამამცირებელ სიტყვებით? თუ უკანასკნელი მართალია, უმართლებელია ბ. ლულასძე გოგებაშვილს, თუ არა? გოგებაშვილმა გაამტყუნა თუ არა ბ. ლულასძის წერილი? იხმარა, თუ არა მან საწყენი სიტყვები, და თუ იხმარა, მისცა ბ. ლულასძემ საკმარისი საბუთი და საფუძველი, თუ არა?»

შემდეგ ამისა მოკისმინეთ იმავე კრებაში, რომელსაც საკმაოდ გარემო პირობები დაესწრენ, ბბ. გოგებაშვილისა და ლულასძისაგან წარმოდგენილი სადაო საქმის განსამართლებელი და თავიანთ თავის განსამართლებელი წერილები, რომელთაც მათ, წაკითხვის დროს, სიტყვიერადაც დაუმატეს, რაც რამ სათქმელი ჰქონდათ.

ჩვენ მედიატორებმა, მივიღეთ რა საფუძვლად რჩივე მრავალ პირთაგან წარმოდგენილი კითხვები, განვიხილეთ დაწერილებით, როგორც «ნობათში» დაბეჭდილი კრიტიკული წერილი «გონის» შესახებ, ისე ბ. გოგებაშვილის პასუხი; მივიღეთ აგრეთვე მსჯელობაში ბბ. გოგებაშვილისა და ლულასძისაგან

წარმოდგენილი წერილები თავიანთ თავის განსამართლებლად და უოკულოდ, რაც კი მათ სიტუაციად წარმოსთქვას ჩვენს წინაშე და დავადგინეთ შემდეგი დასკვნანი.

1) გარჩევა «კონისა», დაბეჭდილი ჟურნალს «ნობათში», ვერ ვსტანით ჩვენ პრინციპიალურ კრიტიკად. ის არის დაწერილი ცხადის განზრახვით დამცირებს უსამართლოდ, როგორც «კონა», ისე თვითონ მისი ავტორი საზოგადოების თვალში და დასდოს ლაქა მის პედაგოგიურსა და ლიტერატურულს ღვაწლს. კრიტიკულ წერილში არის ისეთი აგვილები და სიტყვები, რომელნიც უთუოდ უნდა ჩაითვალოს შეუსაბამოდ, არა საკადრისად, შეუწყნარებლად ბეჭდითი სიტყვაში, მეტადრე საუმაწვილო პედაგოგიურ ჟურნალში, და საწყენად და გიცხვად «კონის» ავტორისათვის.

2) არც, წარმოსთქმული საბიბლიოგრაფიული წერილში, ვითომც უკულა გადმოთარგმნილი და გადმოკეთებული გოგებაშვილისაგან მოთხრობანი «კონაში» გათუქებულნი იყვნენ, სრულად უსამართლო არის. ის მაგალითები, რომელნიც მოჰყავს ბიბლიოგრაფიის ავტორს «კონის» შინაარსიდან იმ არის დასამტკიცებლად, რომ, ვითომც, შინაარსი წიგნისა წინააღმდეგი იყოს მეცნიერებისა, — სრულად უსათუძლო აღმოჩნდენ, როგორც დაკრწმუნდით შემდეგ მათის შემოწმებისა გამომჩენილი ავტორიტეტების ცნობებთან.

რადცა შეესება «კონისა» ენის ნაკლულეკანებას, საზოგადო მსჯელობა ბიბლიოგრაფიის ავტორისა მასზე, რომ, ვითომც, «კონა» წარმოდგენს ნამდვილ კონასა იმ დაგლეჯილ და წამხდარის აკლახრულ ქართულ ენისა, რომელნიც დაიბადა ქართულად მოლაპარაკე სომეხთ-თათართ-ლსთაგან, მედიანტორებს მიაჩნიათ ნამდვილ ცილის-წამებად, თუმიცა კი, მართა-

ლია, «კონსილი» ნახვენების ფორგიერთი ისეთი სიტუაციები და ფრანკები, რომელნიც არ შეესაბამებიან ქართული მართ-წესის კანონებს, მაგრამ ამ გვარში ნაკლულები, სამწუხაროდ, საზოგადო ნაკლულებს შეადგენს ჩვენის აწინდელ მწერლობისას.

3) ბ. გოგებაშვილის სახასილო წერილს აქვს პირდაპირი სასიამო. მასში ხშირად არის ნახმარი მედიკოსი და დამამტარებელი სიტუაციები და ფრანკები, რომელთაც არ უნდა ჰქონდესთ ადგილი მწერლობაში. მართალია, ბ. ლულუაძემ თავისი უსათუბოლო და ბოროტი განზრახვის წერილით მიმართა და მისცა მიზეზი ისეთ პირს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის თავისი პედაგოგიურის და ლიტერატურული ხანგრძლივის, ფრანკად სასარგებლო შრომით ჩვენი საზოგადოებისა და ასევე მოზარდის თავების წინაშე, მაგრამ მაინც კიდევ არ უნდა ეკადრებინა მას იმ გვარში კილო თავის პასუხში, მით უფრო, რომ კილო ბ. ლულუაძის კრიტიკული წერილისა შედარებით უფრო ფორმირდა.

დასასრულად, მედიკოსები სამართლიანად ჭხადიან წარმოსთქვან, რომ ბ. ბ. ლულუაძისა და გოგებაშვილის პოლიემიკური დაკა ისეთი განსაკუთრებითი თავისებისა არ იყო, რომ ის უთუოდ სამედიკოსოდ გამხდარიყო. ჩვენის აზრით, უმჯობესი იყო, ეს საჭმე თვით ჩვენი მკითხველი საზოგადოების მსჯელობისთვის მიუხდოდა ბ. ლულუაძეს.

ეს ჩვენი განჩინება უკვე აღა დაიბეჭდოს როგორც გაზეთის «დროებაში», ისე ჟურნალს «ნობათში.» ჩაიცა შეხება განმარტებითს წერილებს, რომელნიც მოდავე პირთ წარმო-

განმარტავითი ჟარილი

ფელატორათა სამართალს.

მედიტორეთა სამართალმა, რომელიც შესდგა გასარჩევად ზოგადიკისა ბ. ლუგაძესა და ჩვენ შორის, ვალად დაგვიღო წარგვიდგინა მისთვის ახსნანი და გასამართლებენი დამატებანი იმ ანტიკრიტიკისა, რომელიც ჩვენ დაბეჭდეთ «დროებაში» შესახებ «გონის» კრიტიკისა; ეს უკანასკნელი დაბეჭდილი იყო «ნობათში». ჩვენ წარგვიდგინეთ მას შემდეგი წერილი, რომლის დაბეჭდვას «ივერიის» ფურცლებზედ საჭიროდ დავინახეთ.

„მოთხრობანი, მოქცეულნი კონაში, დანიშნულნი არიან: საბავშვო ბაღებისათვის, სახლბისა და სკოლისათვის. ეს სამ-გვარნი დანიშნულება ბ. რედაქტორს ნობათისას შეუსახამო რადმე მიაჩნია და სთვლის წიგნის პირველს ნაკლულებსად. მაგრამ რომ იგი შემცდარი და უსაფუძვლოდ სჯის, აშკარად სჩანს იქიდან, სხვათა შორის, რომ ვაგნერის მოთხრობებს სამის დანიშნულების მაგივრად ოთხი დანიშნულება აქვს მიცემული; ვაგნერის წიგნზედ აწერია: საბავშვო ბაღებისათვის, საბავშვო თავ-შესაფარებისა (ДЛЯ ДѢТСКИХЪ ПРИУТОВЪ), ოჯახობისა და სკოლისათვისა. ჩვენი წიგნის მიღებულად, თავის თავის გარდა, ვერ დაგვისახელებს მეორე პირსა, რომელსაც ეს ოთხ-

გვარი დანიშნულება ვაგნერის წიგნისა ნაკლულებანებად ჩაეთვა-
 ლოს. თუ ცოტა რადად საჭმეს ჩაკაკვირდებით, დაკინახავთ,
 რომ ამ სამსა და რთხს დანიშნულებაში გამოიხატება ერთი
 და იგივე დანიშნულება, სახელდობრ ისა, რომ მისცეს ბავშვებს
 მოსასმენი და საკითხავი ელემენტარული მოთხრობანი ბუნების
 მეცნიერებებთან. რაღა ბავშვები ჭერ კიდევ პატარები არიან და
 იმყოფებიან ან საბავშვო ბაღებში და ან სახელობაში, მაშინ მათ
 დიდები უკითხავენ ამ მოთხრობებსა, ანუ უკედ ვსთქვათ, უამ-
 ბობენ ზეპირად, ცოცხალი სიტყვით: რაღა მოიხრობებიან და
 წერა-კითხვაში გაიმართებიან, მაშინ თვითონ ბავშვები კითხუ-
 ლობენ მოთხრობებსა. ეს ისეთი ელემენტარული რამეა, რომ
 მისი გაება უკლას უნდა ჰქონდეს.

ჩვენ «კონის» წინასიტყვაობაში ვამბობთ, რომ ვიდრე
 მეორე საკლასო წიგნი არა გვაქვს, მისს ადგილას კონა შეი-
 ძლება იხმარებოდეს თქო. ჩვენი წიგნის მკიდველი მოკვდგომია
 და ითხროვს დამტკიცეთ თქვენი აზრის საფუძვლიანობაო. უნდა
 გატყდეთ, რომ დამტკიცება სრულად არ შეგვიძლიან, რაგორც
 არ შეგვიძლიან აშკარა გაკხადრთ იმისთანა აშკარა საგნები, რა-
 გორც: რაღა რაღა რთხია, ბნელს რთხში, თუ ლამაზ არა გაქვთ,
 სანთელი უნდა აანთოთ, თუ რამელსამე ქვეყანაში რკინის გზა
 არ არის, ქვა-ფენილიც ღვთის წყალობაა, თუ საბანი არა გაქვს,
 პლედი უნდა წაიხროო და სხვანი. კონა მაშინ იქნებოდა დამ-
 ნაშავი, მეორე საკლასო წიგნი რომ გვქონდეს და იგი ბრიუ-
 ლად მიიწოდეს, დამიტალე ადგილი, ხომ ხედავ მოკდივარო.
 რაღაამ გვარი წიგნი დაგვებადება, კონა თავაზიანად დაუცლის
 მას კლასში ადგილსა და თვითონ გარდაიტყვა მაშელებელს და
 მარქათა წიგნად და არას დროს არ მიჭბამავს ზოგიერთა პირ-
 თა, რამელთაც რამე მალალი ადგილი ბრმა შემთხვევით და-

უჭკრიათ, სრულად ვერ სწვდებიან თავის თანამდებობასა, მაგრამ აწამც თუ განვითარებულს და განათლებულს პირებს არ უთმობენ, უფლების შემოსაზღვრაზედაც ცივს უარს ეუბნებიან.

ძონის მკილველი ჩვენგნით შედგენილად არც ერთს მოთხრობას არა სთვლის და ამბობს, რომ სულ ყველანი ან ნათარგმნი, ან გადმოკეთებულნი არიანო. ამითი იგი ჩვენ გკწამებს სიცრუეს, რადგანაც ჩვენ წინასიტყვაობაში ვამბობთ, რომ თუძცა მოთხრობების უმეტესი ნაწილი ნათარგმნია, ან გადმოკეთებულა, მაგრამ მცირე ნაწილი ჩვენგნით არის შედგენილი მუთქი. ჩვენ დავუსახელებთ მას რც-და-ხუთამდის მოთხრობასა, და თუ იგი გვიჩვენებს დედნებს, საიდგანაც ჩვენ ეს მოთხრობანი გადმოკეთებია, მაშინ ჩვენს თავს მტყუანად ჩავთვლით ამ კერძო კითხვაში; თუ ვერ დავკისახელა, მაშინ მას უნდა დაბრალდეს ცრუ-პენტელას საქციელი.

მკილველი გადმოთარგმნილს და გადმოკეთებულს მოთხრობებს სთვლის მშვენიერ, ჩინებულ ნაწარმოებად თვითონ იმ თხზულებებში, საიდგანაც იგინი არიან ამოღებულნი; მაგრამ კონაში კი ძლიერ აძაგებს იმის გამო, ვითომც ჩვენ თარგმნისა და გადმოკეთების დროს დავკემახინჯებინოს, გაგკეფუჭებინოს შინაარსის მხრით და ცუდი, სამარცხვინო ენით გადმოკვლეს. მას თავისი აზრის დასამტკიცებლად მოჭყავს რამდენიმე მაგალითი, რომელთა უსათუძკლობა, ვგონებთ, დავამტკიცეთ ჩვენს ანტიკრიტიკაში. ჩვენი ახლანდელი დამატებიდან უფრო აშკარა შეიქმნება ყველასათვის, თუ რაკდენად ობეკტიური იყო ჩვენი გამტყუნება მოწინააღმდეგის აზრებისა.

პირველად, მკითხველი გუგულზედ მოთხრობას სთვლის ვაგნერიდან გადმოკეთებულს მოთხრობას და ამბობს, რომ წიგნის შემადგენელს დაუმახინჯებიაო. ჩვენს ანტიკრიტიკაში

მკითხველებს ვახვენებთ, რომ კონის მოთხოვნას სრულად დამოუკიდებელს ნაწარმოებს შეადგენს, ეკუთვნის სრულად სხვა ავტორსა, სრულად სხვა მიზნით არის დაწერილი და თუ არა სჯობია, ძარს არ ჩამოუვა ვაგნერის მოთხოვნასა. ამ შეცდომის გარდა, ჩვენს მკითხველებს მოუვიდათ ერთი უშეკერი შეცდომა, სასულდობრ ისა, რომ გუგულს არ შეუძლია ნისკარტით ჩაღება კვერცხებისა სხვა ფრინველების ბუდეში და ეს თვისება მოთხოვნის გადმოძველებელს ტყუილად მიუწერია ამ ფრინველისათვისა. ფრად შესანიშნავია და სამწუსარო ის გარემოება, რომ მათ ამ უსაფუძვლო სჯაში ბანი მისცეს ზოგიერთა მკითხველებმა და შემცდარად ჩაგუთვალეს იმისთანა პარებმაცა, რომელთაც უძალდესი სასწავლებელი შესწულებული აქვთ. ეს ფაქტი ცხადად ამტკიცებს, თუ რავდენად ნაკლებად არის მოთვნილი ჩვენში ბუნების მეცნიერება და რავდენად საჭირო და სასარგებლოა ქართულს ენაზედ მოთხოვნები ამ მეცნიერებიდგან, არამც თუ ბაკშეებისათვის, არამედ დიდებისათვისაც. მოგვყავს აქ რაი თხზულებიდან შესახამი ადგილები ჩვენს გასამართლებლად და მოწინააღმდეგეთა გასაცრუებლად:

„Кукушка самка очень тщательно осматривает каждое гнѣздо, каждый кустъ до тѣхъ поръ, пока не найдетъ гнѣзда, которое покажется ей удобнымъ; тогда она сноситъ свое яйцо на землѣ, потомъ бережно беретъ его клювомъ и перекладываетъ въ выбранное ею гнѣздо (годъ въ деревнѣ, издавіе дѣтскаго сада, страница 607).

ქართულად: „დედალი გუგული ძალიერ ბეჯითად სინჯავს ყოველს ბუდესა, ყოველს ჩირგვსა იქამდის, ვიდრე არ იპოვნის მოხერხებულს ბუდესა; მასინ იგი სდებს თავის კვერცხს დედა-მიწაზედ, შემდეგ ფრთხილად იღებს ნისკარტით და გადააქვს ამოჩხეულს ბუდეში.“

გამოჩენილი ავტორიტეტი ბრემ ამ საგნის შესახებ ამბობს შემდეგსა:

„Отыскавши подходящее гнездо, если положение и постройка дозволяют, садится прямо на него; въ противномъ же случаѣ она кладетъ свое яйцо на землю, беретъ его въ клювъ и переноситъ въ гнездо (Брэмъ, жизнь птицъ, стр. 55.)“

ქართულად: „ბუგული რომ იპოვნის მოხერხებულს ბუდეს, თუ მისი შენობა და მდებარეობა ნებისა აძლევს, დააჯდობა ზედა; თუ არა და სდებს თავის კუკრცხს მიწაზედ, იღებს ნისკარტით და გადააქვს ბუდეში.“

მოთხრობას „ხარი“, ჩვენი მკვლევარი იწუნებს, რად? განა მის აღწერაში რაიმე შეცდომა აღმოუჩენია? სრულიდაც კერა, თუძცა ბუკსა ცდილა. იგი შეუსაბამობას ჰხედავს თვით თურქმაში, რომელზედაც ჩამოსხმულია ეს მოთხრობა და ცდილობს დაამტკიცოს, რომ კაცს წარმოადგენს არა ქქონდა არც ხენა-თესვაზედ და არც ურემზედ, როცა ხარი გააშინაურალ. ესეც რომ ასე ყოფილიყო, მაინც მაშინაც კი დასახელებული გარემოება შეცდომად ვერ ჩაითვლებოდა, რადგანაც მოთხრობას მიცემული აქვს დრამატული თურქმა არა იმ განძრახვით, რომ კულტურის ისტორიული ფაზისები აუხსნას უმაწვილსა (ამისთანა მიზანი ულემენტარული საბავშვო მოთხრობისათვის მტკნარი სისულელე იქნებოდა), არამედ იმიტომ, რომ მომეტებული ინტერესი მისცეს ხარის აღწერას და მის მნიშვნელობასა. ჩვენს მოთხრობაში ხარს აშინაურებს არა კულური კაცი, არამედ ახლანდელი ადამიანი, რომელსაც სრული წარმოადგენს აქვს ამ სასარგებლო პირუტყვის დანიშნულებაზედ და გამოყენებაზედ. ამ გვარი ხერხი საბავშვო მოთხრობებში ხშირად

იხმარება და ჩვენც ამ შემთხვევაში იგი ჩავთვალეთ მარჯვე ღონისძიებად. გამოსატყულება „ველური კაცი“ ჭაჭანებათაც არ მოიძებნება ჩვენს მოთხრობაში და თუ ეს სიტყვები მკილაკმა დაგვახრწალა, იმიტომ, რომ ამ საკუთარი სიტყვის შემწეობით რაიმე კიდე გამოედევნებინა მოთხრობისათვისა. ესეც რომ ასე არა უფიქროს, თვითონ აზრი, ვითომც უწინდებურს ვაცხადის დაშინაურებადის წარმოდგენა არ ეჭნებოდა სენა-თესვა-ზედ და ურემზედ სრულად შემცდარი აზრია, რადგანაც მიწის შემუშავება ველურ მომთაბარე ხალხებმაც იცოდნენ, რადგან იმე თვის განმკლავებაში ერთსა და იმავე ალავს რჩებოდნენ და სთესავდნენ სხვა-და-სხვა მცენარესა, რომლის მოკრეფის შემდეგ სხვა ადგილას გადადიოდნენ. რაც შეეხება ურემსა, ახლაც ვიბეგრვან აკეთებენ უწინდებურად პატარა ხელით სატარებელს ურემებსა, როგორც ეს ჩვენ შევნიშნევით ანტიკრიტიკაში. საზოგადოდ ხარი წმინდა სამეურნეო პირუტყვია. მომთაბარე ხალხებისათვის იგი ბევრად ნაკლებად იყო გამოსაყენებელი, ვიდრე სხვა პირუტყვები. ჩვენ ეხლაც ვხედავთ მაგალითებსა, რომ აწაბები ცხვარობენ აქვებებით, სხვა და სხვა მაწანწალა ხალხის ცხვრებით, კალმუხვლები ცხენით, სამოდები ირმებით: მაგრამ ვერც ერთს ხალხს ვერ დავასახელებთ, რომ ხარას მოშენებით სცხვარობდეს. ისტორიაც ხშირად იხსენიებს ხსენებულ პირუტყვების ნახარსს, როგორც სხვა და სხვა მაწანწალა ხალხის სიმდიდრის გამომხატველს ქონებას (მოვიგონოთ, მაგალითად, აზრადი); მაგრამ ამავე აზრით ხარის ნახარის ხსენებას ვი ვერ შეხვდები. ეს იმიტომ, რომ მეურნეობის გარეშე ხარი ნაკლებად არის გამოსაყენებელი. სამაგიეროდ მხენელ-მთესველობა ბევრს ქვეყანაში თითქმის შეუძლებელი იქმნებოდა უხაროდ. იმიტომაც ვაცხად ხარი გააშინაურ-

რას მაშინ, როდესაც მეურნეობის საჭიროება იგრძნო და ბინადრობას მოეკიდა. რაკდენად მაუცილებელ საჭიროებად მიაჩნდათ ხარბი მეურნეობის მიმდევარს ხალხთა, სჩანს, იქიდან, რომ ეკვიპტელებს იგი კერძოდ ჰყავდათ დასახული და ღმერთივით თაყვანსა სცემდნენ. მზგავსი პატრიი ხარს აწც ერთის მომთაბარე ხალხის თვალში არა ჰქონია, თუმიც ცხვარს და აქლემს უბინადრო ხალხები ხშირად აღმერთებდნენ. ამ სახით ჩვენს მოთხრობას რომ ისტორიული ხასიათიც ჰქონოდა, მცოდნე და სკინიდისიანი პირი მას ფორმის მხრით კიდეც არ გამიანბამდა.

მკილავი შეცდომას ხედავს შემდეგს ფრანსში: ძროხას სჭამს ბაღახსა, ყვაკილსა და ყვაკა ეს მის მუცელში იქცევა რძედ. რომ ძროხას სჭამს ბაღახსა და ყვაკილსა—ეს ყვაკამ ივის, რომ ამ საჭმლიდგან და ყვაკა სხვა საზრდოდგან კეთდება რძე, ესეც უპიკელია; რომ რძე კეთდება მუცელში საზოგადოდ, ესეც აშკარაა. შეცდომას მაშინ იქნებოდა, წიგნში რომ ნათქვამი ყოფილიყო—ძროხის კუჭში საჭმელი მთლად რძედ იქცევა ხოლმე. თუ იმას იტყვის ვინმე, რომ კერძოდ უნდა დასახლებულიყო, რა ადგილს კეთდება სახეუდობრ რძე, ჩვენ ეტყუით, რომ ეს ყოვლად შეუძლებელია საბავშო ელემენტარულს მოთხრობაში, რადგანაც ბავშვებმა სრულიად არ იციან შინაური აგებულება ძროხისა. თუ ნაკლულეკანებათ სთვლიან იმას, აქ არ არის ნათქვამი ის, რომ ბაღახი და ყვაკალი მხოლოდ ერთი ნაწილით იქცევა რძეთა, ჩვენ კიდევ ვუბახუბებთ, რომ მოთხრობაში უახუბი ეძლევა ამ კითხვასა: რძე რისაგან კეთდება და არა იმას: რაკდენი ნაწილი საჭმლისა უნდება რძის კეთებასა?

მაგრამ ყვაკაზედ მიუტყუებელი შეცდომას აღმოუჩენია ჩვენს მკილავს მოთხრობაში: «თხუნელა». მას უკანასკნელს უმეტრე-

ზად ჩაუთულის ის გარემოება, რომ ჩვენს მთხრობაში თხუნელა ზევით მიწაზედ ამოდის და ამ დროს ებძება მახეში; იგი ამბობს, რომ, როგორც თევზს არ შეუძლიან მშრალზედ ნადირობა, ისე თხუნელას ზევით მიწაზედ ამოსვლა. ჩვენ ჩვენს ანტიკრიტიკაში სიტყვით ვუპასუხეთ; აქ მოგვყავს საბუთი ჩვენგნით მისი მასხარად აგებისა: აი რასა ვკითხულობთ ამ საგნის შესახებ ხსენებულს თხუნელებში:

„Лѣтомъ по ночамъ или очень рано утромъ, кротъ выходитъ на поверхность земли, отыскивать гнѣзда жаворожковъ и другихъ пернатыхъ, вьющихъ свои гнѣзда на землѣ, поѣдаетъ ихъ яйца и часто молодыхъ птичекъ. Послѣ такого завтрака, онъ идетъ на водоюй и, утоливъ жажду, возвращается въ свою нору спать; (годъ въ деревнѣ стр. 501).

ქართულად: «ზაფხულში, ღამ-ღამე, ან სისხამ დილაზედ თხუნელა ამოდის ზემოთ დედა-მიწაზედ და ეძებს ბუდეებს ტორფისას და სხვა თრინკულებისას, რომელნიც ბუდეს იკეთებენ დახლა მიწაზედ, სჭამს მათ კვერცხებსა და ხშირად ბარტყებსაც. ამ საუბრის შემდეგ იგი მიდის წყლის დასაღებად და, წყურვილის მოკვლისათხავე, ბრუნდება თავის სოროში.»

ბრძედი ამავე აზრს ამტკიცებს შემდეგ სტრიქონებში:

«кротъ однако охотится не въ одной своей норѣ, но и на поверхности земли и иногда какъ, говорятъ, даже на воду (Брэмъ. млекопитающія,“ стр. 283).

ქართულად: «თხუნელა ნადირობს არა მარტო თავის სოროში, არამედ ზემოდ დედა-მიწაზედაც და ხანდისხან, როგორც ამბობენ, წყალშიც.»

ამ სახით, თვითოეული შეცდომა, დასახელებული ჩვენი წიგნის მკილველისაგან, არამც თუ ნამდვილი არ გამოდგას, აღმოჩნდა პირდაპირ წინააღმდეგი ჭეშმარიტებისა და დაამტკი-

ცა არა წიგნის შემადგენელის უმჯობესა, არამედ მისი....

აქ საჭიროდ ვრაცხთ გავიხსენოთ ერთი გარემოება. როდესაც უშინსკიმ გამოსცა თავისი სახელმძღვანელო «ДѢТСКІЙ МІРЪ», კრიტიკამ აღმოაჩინა შინაარსში ზოგიერთა ნამდვილი შეცდომანი და არა იმისთანა ტყუილი, რომელთა ნიმუშები გვაჩვენა კონის მკიჯკულმა; მაგალითად: უშინსკი ამბობდა, რომ ცხენს კუდი მინიჭებული აქვს თითქო მხოლოდ იმისათვის, რომ ქარმა აფრიალოს და სილამაზე მისცეს ამ ცხენულსაო. აგრეთვე ნათქვამი ჰქონდა, რომ ღმერთმა სიმა ქვა ქვა-ფენილისა და რკინის გზებისათვის შეუქმნა ვაცსაო. კრიტიკოსებმა უჩვენეს ეს შეცდომანი და სხვათა შორის უთხრეს, რომ კუდით ცხენი ბუზებს იგვრებს და აგრეთვე იფარავს ზოგიერთა ნაწს რკინებსაო და სილამაზისათვის კი არა, სარგებლობისათვის აქვს მინიჭებული. მიუხედავად ამ წვრილმან შეცდომებისა, წიგნი აღიარებულ იქმნა კრიტიკოსებისაგან ფრად შესანიშნავ მკვლევანად, ძლიერ სასარგებლო წიგნად და ბინძურს კონკურენტებშიაც კი არ აღმოჩენილა პირი, რომელსაც წიგნი უსიტყვოდ ჩაერივნოს ყოვლად უვარგის ნაწარმოებად.

ამისთანავე უსარუძლო, წინ-დაუხედავი წვრილმანობით იწუნებს კონის ენასა მკიჯკული. იგი თავდაპირველად შეცდომად სთვლის ამისთანა სიტყვებსა, როგორც წრუწუნები, და ამბობს, რომ უნდა ყოფილიყო წრუწუნებო. ეტყობა მას არა სცოდნია ის კანონი ქართული ენისა, რომ თუ სიტყვა, დაბოლოებულია ხმოვან ასოთი ა, განსხვავდება მხოლოდ ამ დაბოლოებით სხვა სიტყვიდან, მრავლობითს რიცხვში იჩენს სახელობითი ბრუნვის დაბოლოებას, რომ მისი ბრუნვა არ აიციოს მორე სიტყვის ბრუნვაში. მაგალითად: ცხვირა, კუდა; ბოლობეჭედა, წყალ-წყალა, თითა, ქალა, ციციანათულა,

შრავლობითს რიცხვში იქნება: ცხვირები, კუდაები, ბოლობუ-
 ჭედაები, წყალ-წყალები, თითები, ქალები, ციციანთელები და სხ-
 ისე, რომელც მკვლევარს უნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაგა-
 ლითად, ქალა და ქალი ერთმანეთში აირიყვიან და უსულო თავის
 ქალა სულოერ არსებად გადაქცევა. სხვა სიტყვებში კი უკუაღ-
 მოკვეცილი არის სახელობითი ბრუნვის დაბოლოება რიკე
 რიცხვში, მხოლოდ ზოგიერთა სიტყვებში შეგვპარვია, მაგა-
 ლითად: ზეპელები, თხუნელები. მაგრამ აქაც უნდა ვსთქვათ,
 რომ ზოგიერთებამ ამ სიტყვებში განზრახ სტოპებენ სახე-
 ლობითი ბრუნვის დაბოლოებას, რომ გაადიდონ მანძილი რი-
 სამს ერთს ნაიკს ასოს შორის და სიტყვას მისცენ კეთილ-
 ხმოვანება. — ხის სულ ზემო ნაწილს ხალხი უძახის წვეროსა,
 წვეროკინასა, ჩვენც ასე ვაქვს ნახმარი. მკვლავი ამას შეცდო-
 მას ეძახის და ამტკიცებს, რომ ხის წვეროსაც ის სახელი
 უნდა ერქვას, რაც პირისახის თმასა ჭქვიანო — წვერი. აგრე-
 თვე უსათუოდლო მკვლავის შენიშვნა, ვითომც შეცდომით იყოს
 ნახმარი თანდებული ამ გვარს გამოსატყულებში: ბავშვებმა
 ტყვიადგან სათამაშოები გააკეთეს. თანდებული «დგან» ამისთან-
 ან შემთხვევაში მაშინ არის მეტი, როდესაც რომელიმე ერთი-
 ნი მასალა მთლად გარდაიქცევა რაიმე ერთ ნივთად. მაგალი-
 თად: ამ ხისას ბოძს ვაკაკეთებ. თუ კი მხოლოდ ნაწილი მა-
 სალისა ხმარდება რომელიმე ნივთის გაკეთებას, მაშინ უთუოდ
 უნდა თანდებული დაემატოს; მაგალითად: ამ თიხის გროვიდ-
 გან ვაკაკეთებ მე სურასა. ყოველ შემთხვევაში, თუ ამ იგონების
 ხმარებაში ერთგან-ორგან წვრილმანი შეცდომა მოგვივიდა, ჯერ
 ეს შეცდომა თვითონ ბ. ნობათის რედაქტორმა უნდა აიცილოს
 თავიდან და მეტი სხვას დაუყუდროს. მის ყურნალში ყოველს
 ვერძულად თვალში გეჩხარება ეს მისგან შემცდარად აღიარებული

გამოხატულობა. ავიღოთ, მაგალითად, სამაგალითო გაკეთი-
 ლები, რომელნიც ენით ნობათის ბეჭს წერილებს სჯობიან და
 მესამე გაკეთილში შეხვდებით ამისთანა ფრაზებსა: რისაგან
 აკეთებენ ქვასა, თუნგსა? ვინ სჭედს სპილენძისაგან ქვასა,
 თუნგსა? რისაგან კეთდება ნიტრა? რისაგან სთლიან გობსა,
 თასსა, ციცხვსა, კოვზსა? და სხვ. და სხვანი... მკილხველს
 შეცდომად მიაჩნია ისიც, რომ ჩვენ უელს ვუძახით და არა
 ვისერსა იმ ნაწილს ადამიანის სხეულისას, რომელიც თავს
 შეაერთებს ტანთანა. მაგრამ აქაც ჭეშმარიტება, ვგონებთ, ჩვენს
 მხარეს არის. საზოგადოდ ქართულს ენაზედ წიკრის ნაწილს,
 რომელიც არის შემაერთებული ორი დიდი ნაწილისა, ჭქვიან
 უელი. სურის უელი, გუტლის უელი, მიწის ყელი, გულის უ-
 ელი, აქლემის ყელი, ჰანამის უელი (панамскій перешеекъ),
 სუეზის უელი (суезскій перешеекъ) და სხვანი. კაცის შესა-
 ხებ უელს ეძახიან იმ ასოს, რომელიც თავს ტანთან აერთებს,
 თუმცა «უელი» ამ ასოს წინა ნაწილსაცა ჭქვიან. ეს ამგვარად
 სხანს იჭიდგან, რომ ჰერანგის ზემო ნაწილს ჭქვიან საუელო
 და არა საკისრო, აგრეთვე იმ ნივთს, რომელიც ამ ნაწილს
 მთლად გარშემო ვახვევთ, ჭქვიან უელ-სახვევი და არა ვისერ-
 სახვევი. ვამბობთ: ბავშვი უელზედ მომეხვია, უელი მოუღერე-
 ბია, ამასა და ამას უარყარა ხელი აქვს, და სხვანი. ვისერს
 ვუძახით არა მთელს ხსენებულს ნაწილსა, არამედ უკანა, მაგარს,
 ნაწილს უელისასა. — ტერმინი «ცხენის ქუსლი» მკილხვეთან ერ-
 თად ზოგიერთმა გაყ-ბატონებმა შეცდომად ჩასთვალეს. მაგრამ
 აქაც ტყუილად გაისარჯუნენ. ქვემო მაგარს ნაწილს ცხენის ფე-
 ხისას ჩემს სამშობლოში, ზემო ქართლში ქუსლს ეძახიან და
 ხშირად გაიგონებ: ცხენს ქუსლი გაუფუჭდა, ცხენმა გაქუსლა,
 ცხენის ქუსლები დაკატედიან, ცხენმა მიწას ქუსლები ჭკრა, და

გაფრინდა და სხვანი. გვითხრეს, ჭიჭიყშია ც ამაკ ტერმინს
 ხმარობენ. იმერეთში თურქე ეძახიან ფოლი, საინგილოში—
 ჭყილი. გამოდის, რომ ცხენის ფეხის სულ ბოლო ნაწილს
 ჭართულს ენაზედ საერთო სახელი არა ზღბუკია. იმერული სა-
 ხელი რომ მუხმარა, ჭართლ-კახეთი დამედურებოდა, ინგილო-
 ურისათვის მიმეტა უზირატასობა—სამივე საქართულო: აღმო-
 საკლეთისა, დასაკლეთისა და სამსრეთისა გამიწურებოდა; ავღუ-
 ჭით და ვიხმარეთ ის ტერმინი, რომელიც სამშობლოში გა-
 გვიგონია. რაც შეეხება ტერმინს «ჩლიქი», ამ სახელს ხმარო-
 ბენ მხოლოდ ძროხის, ხარის, კამეხის გაყოფილი ფეხის შე-
 სახებ; მაგრამ ცხენზედ ვი ამ სიტყვას არავისაგან არ გაიგო-
 ნებთ, და ამიტომ მისი შეტანა კონაში უადგილოდ დაკინა-
 ხეთ.— გამოთქმა: «ერთს დაბურულს აფრიკის ტყეში». მკილავს
 რუსიციზმად მიაჩნია. მაგრამ სრულიად უსათუბლოდ. მართა-
 ლია, ეს არის სხვა გვარი სიტყვის წუობითაც გამოინატება:
 აფრიკის ერთს დაბურულს ტყეში, და ეს კონსტრუქციაც ხში-
 რად შეგხვდება ჩვენს წიგნში; მაგრამ მოყვანილი სიტყვების
 დალაგებაც განონიერია. რუსულს ენაზედაც არ გვარი განონიერ
 კონსტრუქცია არსებობს ამ შემთხვევაში: **ВЪ ОДНОМЪ ДРЕМУ-
 ЧЕМЪ африканскомъ лѣсу და ВЪ ОДНОМЪ ДРЕМУЧЕМЪ
 лѣсу африки.** განვითარებითი სიტყვა «დაბურულს» ამ შემ-
 თხვევაში არას დროს არ მიეწერება სიტყვას «აფრიკის», ამი-
 ტომ რომ უკანასკნელი სიტყვა ნათესაობითს ბრუნვაზედ სდგას,
 პირველი მიცემულს ბრუნვაზედ არის დაყენებული და ეკუთვნის
 მიცემითს ბრუნვაზედვე დაყენებულს სიტყვას «ტყეში». საზო-
 გადოდ, ჩვენში ხშირად ეძახიან რუსიციზმებს იმისთანა გამო-
 ხატულებას, რომელიც შეჭურის ჭართულს ენასა და ამასთან
 უთანხმება რუსული ენის განონებსაცა. ხედავენ, რომ რუსულს

ფორმას შეესაბამება და არ უნდათ შეიგონ, რომ ამავე დროს ქართული ენის კანონებიც ამავე გამოხატულებას მოითხოვს. ანდა ხა: ფაფით შეშინებული დოს უბერავდა, ხშირად ცხადდება ჩვენზედ ამხთანა შემთხვევაში. შეშინებულნი რუსიციზმებით, რომელნიც მართლა ამხინჯებენ ჩვენს ენას, ჩვენ მზად ვართ რუსუციზმებად მოვინათლოდ ის წმინდა ქართული გამოხატულებანიცა, რომელნიც რუსული ენის ბუნებასაც კთანსმებიან... ჩვენი მკილეელი დიდს შეცდომასს ხედავს შემდეგ ფრაზაში: ღორმა გოჭები შობა. მაგრამ ჯერ ერთი ესა, რომ მხოლოდ ერთს ადგილს გააკეთილშობილეთ ღორი და შეილება ვაშობინეთ, სხვა ადგილას იმავე კონაში იგი უბრალო წყვილი ღორია და გოჭებსა ჰყრის, მერე ესა, რომ რუსულს ენაზედაც ხშირად ხმარობენ: корова родила теленка, თუძცა ხალხი ამობს: корова отелилась; რაც შეეხება ლექსიკონიდგან ნასესხს სიტყვებს „წიწობა“ და „ბაკანი“, რომელნიც ჩვენ არ ვიხმარეთ, მათ გაუკებობის გამო, ჩვენს მკილეელს ვეტყვით, რომ ამ სიტყვების არ ცოდნა კი არ არის სათაკლო ბავშვისათვის და ის კი სწორედ სამარცხვინოა, რომ ჰედაგოგიური ყურნალის რედაქტორმა არ იცოდეს თითების ქართული სახელები და ასე-ასოდ სთარგმნიდეს რუსულიდგან. სამაგალითო გაკეთილებში სალოკი თითი მაჩვენებელი თითად (указательный палец) არის ნაჩვენები და არა თითი უსახლო თითად (безименный палец).

მაინც და მაინც ის წვრილმანი შენიშვნები, რომელნიც „ნობათისა“ რედაქტორმა წარმოსთქვა შესახებ კონის ენის ნაკლებულებებისა, მართალიც რომ გამოდგარა ჩვენს, მაშინაც კი არაკითარი უფლება და საფუძველი არა ჰქონდა დაედგინა დასკვნა წიგნის უკუვად უკარგისობაზედ, ჯერ ამიტომ ამ გვარად

შეცდომანი ენის სიაშკარაკეს არ ამცირებენ და შინაარსის გაგებას იოტის ოდენადაც არ უშლიან, და მეტი იმიტომ, რომ თვით საუკეთესო ქართული ენის მცოდნეთა ნაწარმოებშიც უოკულებს ამოაჩენთ ენის წვრილმან შეცდომათა.

ბ. ნობათის რედაქტორს მაშინ ექნებოდა საფუძველი ყოველად უვარგის წიგნად ჩაეთვალოს კონა, რომ იგი უფილილიყო დაწერილი იმისთანა ბავშური, გაუგებარ და უკანონო ტიტინით, რეგულაც მკილელების ბიბლიოგრაფია, ან იმისთანა მახინჯი, უკანონო და სრულიად გაუგებარი ენით, რეგულარის ნიმუშს წარმოადგენს ბ. ღულაძის უმაგალითო წერილი აღზრდაზედ.

კონის მკილელების კრიტიკიუმი რომ სახელმძღვანელოა ზრდად აღვიარათ, პირველად ნობათის უკუდა ნომრები მტკვარში გადასაყრელები აღმოჩნდება. დიდა, ბ. ნობათის რედაქტორი თავის თვალში ტივის ხეს კერა ხედავს, და სხვისაში კომპაგვდავ ცოდვით სთვლის ორიოდუ სამ ბეწვს!

მაგრამ იგი ამას არ დასჯერდა, რომ კონას დასწამა ტუილი შეცდომანი, უსაფუძვლოდ გაჭკიცხა იგი შინაარსის და ენის მხრივ და სრულიად უსაფუძვლო, მავნებელი დასკვნა დადგინა მის ყოველად უვარგისობაზედ. მან თავისი გილვა გაავსო ბევრი უზრდელო ბავშური გიცხვით, რომელსაც საგნად აქვს დამცირება არა მარტო წიგნისა, არამედ თვით მისი შემადგენელისა. აი ეს გამოხატულებანი: «უმზგავსი და სამარცხვინო გამოცემა», «მზე დაბნელებული კონა», «საზიზღარ გვეხსნა» «ყოველად უაზრო აზრი», «განგაფა-განგაფა», «ერთს სოფელში მოახლე არ იყო და... «რეგულარ სამასხარო არ არის». «სამარცხვინო ენით ნათარგმნი», «თუ ავინიანი ბავშვივით არ გაგვიყინინდებით»: «კონა წარმოადგენს ნამდვილს კონასა იმ

დაგუჯილი და წამხდარი აუღახული ქართული ენისა, რომელიც დაიბადა ქართულად მოღაპარაკე სომეხ-თათარ-ოსთაგან, ამ სამარცხვინო ენის მეტი რომ არა ვიქნით არა სახეში, ესეც საკმარისია ვსთქვათ: კონა, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, ყოყლად უკარგისი წიგნია.»

მარტო კონის ვიცხვას არ დასჯერდა ბ. ლულასძე, — მან მოინდომა ინსინუაციის საშუალებით ჩაკეციანეთ მკითხველის თვალში იმ სიმდაბლემდის, რომელმაც თვითონა სდგას, და გვათხროს, არა თქვენი საქმეა დამოუკიდებელი მწერლობა, თქვენც ჩვენსაკით სხვებს უნდა ასწორობინოთ თქვენი ნაწერები... ამასმაც ვიდეკ შორს წავიდა და დამწამა რაი დანაშაულობა: «სიცრუე და განზრახ მორყუება მასწავლებლებისა». ჩვენ კონის წინასიტყვაობაში ვამბობთ, რომ ნაწილი მკითხველებისა ჩვენგნივ არის შედგენილი მეტე, — მკილველი კი ამტკიცებს, რომ არც ერთი მკითხველი არ შეუდგენია გოგებაშვილისა, სულ ნათარგმნი და გადმოკეთებულია. რომ ეს სიცრუის დაწამებაა, ამას თვითონ ბ. ლულასძე აღვიარებს; მაგრამ ამაკუდროს ენა უკარდება და უარს ამბობს რც-და-ხუთის ჩვენის მკითხველის დედები დაგვისახელოს. მეორე აღვილას მკილველი ამბობს, რომ გოგებაშვილმა თვითონ ვარგად იცის, რომ მისი კონა კლასში საკითხავ წიგნად არ გამოდგება, მაგრამ უნდა მასწავლებლები შეცდომისაში შეიყვანოს. ამ სახით ჩვენი მოწინააღმდეგე დამნაშავეა არა მარტო საწყენი, დამამცირებელი სიტყვების ხმარებაში სრულიად უსამართლოდ და უსათუბოლოდ, არამედ იმისთანა ტყუილ დაწამებაში, რომელიც შეუჩინებელია ფასს შეადგენს. რადგანაც საწყენი, დამამცირებელი ტყუილების გავრცელება შეადგენს ცილის-წამებასა, ამიტომ მკილველი უნდა ჩაიჩინოს ცილის-მწამებელად.

ერთი გარემოება მეტად ამძიმებს ბ. ლულაძის მწვალებლობას და აძლიერებს, სასულდობრისა, რომ ჩვენ შეძლებისდაგვარად, ყოველს ღონისძიებას ვხმარობდით ნობათის წარმატებისა და გაკრძელებისათვის საზოგადოებაში...

თუ სახეში ვიქონიებით, რომ ჩვენი წიგნისა და ჩვენი კიცხვა დაბეჭდილი იყო საბავშვო ყურნალში, რომლის პედაგოგიურს განყოფილებას კითხულობენ არა მარტო მშობლები და მასწავლებლები, არამედ ბავშვებიც; თუ იმასაც არ დავივიწყებთ, რომ ჩვენს მკითხველს საზოგადოებაში ბოლოდურკიან იმისთანა პირობა, რომელთაც თავისთავად არ შეუძლიან რომელიმე კიცხვის უსათუბოლობა გაიგონ და შესაბამი გრძობით აიკნენ მის დამწერის შესახებ, ცხადი შეიქნება, რომ ვასუსხა საჭირო იყო. ჩვენც მივეცით ვასუსხი და, აზრების გამტყუნების გარდა, ბიბლიოგრაფიის დამწერს და რედაქტორს მივასწავრეთ ეპიტეტები, რომელნიც მათ დაიმსახურეს: სიბავშვო, სიბერივე და უვიცობა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ბევრით ნაკლებად ვიხმარეთ საწყენი, დამამტკიცებელი სიტყვები, ვიდრე ჩვენმა მოწინააღმდეგემ. განსხვავება აქ მხოლოდ ის არის, რომ მან გაგვიცხა და გვაგაძრა ბევრი უზრდელი სიტყვა სრულიად უსაბუთოდ და უსათუბოდ, ჩვენ კი მას დავარქვით შესაბამი სახელები სრული უფლებით და სათუბოლოანობით. ხაკმარისა ცოტაოდენი ყურადღებით გადავიტხოთ კონის გარჩევა და ბ. ლულაძის უცნაური წერილი აღზრდაზედ, რომ სთქვამთ, გავებაშვილი სწორედ ეძარტლებოდან. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ პოლიტიკაში ყოველგან, როგორც ჩვენში და რუსეთში, ისე ევროპაში ბევრით უარესი ეპიტეტები ძალიან ხშირად იხმარებიან მოწინააღმდეგეთა შესახებ არამც თუ მარტო მათში, როდესაც მეზოლეშიკე პირობი გამოწვეულნი არიან კიც-

ხვით და ცილის-წამებით, აწამედ მაშინაც, რადესაც მათ არც
 კი შეჭხებიან. დღე არ გავა, რომ პეტერბურგის ლიტერატურ-
 რებმა არ დაარქვან უსიციხო და უსინდისო ადამიანის სახე-
 ლი არა მარტო იმისთანა მჯღაბნელებს, რეგორიც არის
 მინუტის რედაქტორი, აწამედ უფრო გამოჩენილ მწერალ-
 საც. თვით მშვიდნი და დაბნელები პედაგოგები რეზ-
 გსა და შოლტის ხმარობდენ იმისთანა პირების წინააღმდეგ,
 რომელნიც თავის სიბრძნით და უმეტრებით აბურებდენ სა-
 ზღვადობასა. მოგვიყვას ერთი საუურადღებო მაგალითი. ამ
 რცი წლის წინეთ პეტერბურგში დიდის ბაქი ბუქობით გამო-
 ვიდნენ პედაგოგიურს ასპარეზზედ რადონესკი და თვლანოვი.
 მათ გამოსცეს საკითხავი წიგნი, საესე მტკნარი უმეტრებითა
 და ამასთან განუზრძელა პრეტენზიებითა. მშვიდმა უშინსკიმ
 გააჩია მათი ნაწარმოები, მათი შედგენილი წიგნი და წიგნ-
 ლებსაც არ დააჯერა, შოლტი იხმარა მათ წინააღმდეგ. მან,
 სხვათა შორის, უთხრა, რომ თქვენ არამც თუ წიგნის შედ-
 გენის უფლება არა გაქვთ, აწამედ პირველ-დაწყებითს სკო-
 ლაშიაც არ შეიშვებით, იმდენად უმეტარნი ბძანდებით. ამ
 უშინსკის სიტყვები:

„Что это такое, наконецъ, гг. Филоновъ и Радонежскій?
 Вѣдъ это такое глубокое невѣжество не въ естественныхъ
 наукахъ (куда уже здѣсь до науки), а въ общихъ зна-
 ніяхъ, которыми обладаетъ всякій крестьянинъ на западѣ
 и которые даже въ Турціи сдѣлались обыкновенными, такое
 невѣжество, каторое не даетъ вамъ права не только сос-
 тавлять книги для чтенія, но даже просто учить грамотѣ
 въ какой нибудь школѣ“ (собраніе педагогич. Соч. 583 ст.).

უშინსკის წინააღმდეგ რადონესკის და თვლანოვის ერთი
 სიტყვაც არ უთქვამთ; იგი არა უფიქვან გამოწვეული ბრძიუ-

ლი კიტხვით. მიუხედავად ამისა, მისი სასტიკი მოქცევა ხსენებულის პირების წინააღმდეგ აწამც თუ აწაკის უმართებულად არ ჩაუთვლია, ყველასაგან მოწონებულ იქმნა. მით უმეტეს შეუძლებელია ჩვენგან ზოგაერთა სასტიკი სიტყვების ხმაჩება ჩაითვალოს უმართებულად, უკადრისად, წადგანაც გამოწვეულნი კიუხვით მოწინააღმდეგის უსამართლო კიტხვით, ცილის-წამებით, უზრდელად მოპყრობით. უმართებულობას, უკადრისობას ზრდილობის კაცს ბრევი დაარქვა, ჭკვიანს და განკითარებულს—უმეტარი, დაბნისულს—ბავშვი, დამოუკიდებელი აზრის და მოქმედების პატრონს — ლაქია, მაგრამ თუ უზრდელი უზრდელად გკიტხვით, უმეტარი უმეტრებს გწამებთ, ბავშვი სიბავშვეს, თქვენ სრული უფლება გაქვთ ეს ეპიტეტები უკანვე დაუბრუნოთ, თუნდა საჩუბლოთაც.

ერთი სიტყვით რომ გამოიწყოლოს შინაარსი ბასისა, გამოვა: ჩვენს წიგნზედ და ჩვენზედ მოწინააღმდეგეთ გააკრტულეს დამაინტრიგებელი სიტყუე, ცილის-წამება; ჩვენ გადაუხსადეთ იმითი, რომ მათზედა ვსთქვით მხოლოდ ჭეშმარიტება, მართალია, საწყენი, მაგრამ უტკველი ჭეშმარიტება. ჩვენ მაშინაც კი მართალნი ვიქნებოდით ჩვენი მოწინააღმდეგის წინაშე, ცილის-წამება რომ ცილის-წამებითვე გადაგვენდა, თუნდა ორ-კვტო ცილის-წამებით. ვისაც გადაუკითხნია ის სტატები სამართლის წესდებულებისა (судебные уставы), რომელნიც შეესებინა ურთი-ერთს წყენასა, ყველა გონიერი და მიუდგომელი პირი დაგვეთანხმება, რომ ამ მხრითაც მთლად მტყუნია ბ. ლულამე. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარემოება: რომელსაც კაცად პოლომიკურს წერილს სწეკს, მას სახეში აქეს არა მარტო პუბლიკა, არამედ მოწინააღმდეგეს თვისება, ხასიათი, და ცდილობს ისეთი ღონისძიება, კილო იხმაროს, რომ დაუკარგოს

მას წადილი უზრდელი ვიტყვისა და პრინციპიალურს კრიტიკას დაახვიოს. ხელს საზოგადო ასპარეზზედ ხშირად გამოდიან პირნი, რომელთაც თქვენ რბილი, თავაზიანი მოპყრობით აწამცთუ ვერ გადაახვივთ სიბრყველასა და უზრდელობას, კიდევაც წააქეზებთ....

ბ. ღუჯაძე ძრეველ გაუცხარებია ჩემს დაპირებას, რომ შემდგომი ოქნება საჭიროდ დაინახეთ თქვენი უპარტისობის დამტკიცება, რომელსაც რედაქტორისა და მასწავლებლისა. ეს მოსკლის იმიტომ, რომ მას დავიწყებია, რაც ჩვენზედ სთქვა. მან გაგვიცხა ჩვენ არა მარტო რომელსაც შემადგენელი კონისა, არამედ საზოგადოდ, რომელსაც მწერალი, და გვითხრა, რა თქვენი საქმეა დამოუკიდებელი წერა. განსხვავება ჩვენს შორის აქ მხოლოდ ის არის, რომ რაც ჩვენზედ უკვე სთქვა უსახუროდ აწმდგომში, იმისივე დამტკიცება მის შესახებ ჩვენ აღუთქვით მომავალში, — მან სთქვა ის ჩვენზედ, რაც, სხვებთან ერთად, მიაჩნია უსაფუძვლოდ და ცილის-წამებად, ჩვენ კი აღუთქვით იმისი გამოაშკარება, რასაც ჩვენი მოწინააღმდეგის შესახებ სიმატლად, ჭეშმარიტებად სთვლიან ჩვენთან ერთად ყველანი, ვინც მისი ცოტადნად მანც საქმის გარემოება იცის. ნუ დავიწყებთ იმასაც, რომ უშინსკომ უარ-ჭყო რადოყენსკი და თილანკვი, საშუალო სკოლის მასწავლებელი, არა რომელსაც შემადგენელი უხეირო წიგნისა, არამედ რომელსაც მასწავლებელი და უთხრა, რომ თქვენ ელემენტარულს სკოლაშიც შესასვლელი არა ხართ. — ცილის-წამებას აწმდგომში ჩვენ დაუპირდაპირეთ მართლის თქმა მოწინააღმდეგეზედ მომავალში; ნუ თუ აქაც აგრეთვე სიმატლად სრულად ჩვენს მხარეს არ არის და დანაშაულობა მთლად კისერზედ არ უნდა დააწვეს ბ. ღუჯაძეს?

აქ საჭიროდ ვრაცხთ მოკისსენოთ ერთი გარემოება. ოცნა წელიწადია, რაც ჩვენ, შეძლებისადა გვარად, მონაწილეობას ვიღებთ პედაგოგიაში და ლიტერატურაში. ამ ხანგრძლივის დროს განმავლობაში მოწინააღმდეგენი ვერ დაგვისასხელებენ ვერც ერთს სასტიკს წერილს, ჩვენგან დაბეჭდილს, თუ გამოწვეული არა ვყოფილვართ ბრყულია, უსაფუძვლო და უზრდელო კიცხვით. თუ ცოტაოდნადაც მაინც პრინციპიალური წერილი დაბეჭდილა ჩვენს გამოცემებზედ, თუნდა ეს წერილი უსაფუძვლოდ ყოფილიყოს, ჩვენ ან პასუხი სრულად არ გაგვიცია, და ან თუ გვიპასუხებია, თავაზიანად და ობიექტიურად. ივანე მესხიმ დაბეჭდა «დროებაში» კრიტიკა დედა-ენის შესახებ და ჩვენ კრიტიკა არ დაგვიძრავს, — «მნათობში» დაბეჭდა კრიტიკა განხილვა ჩვენი ანბანისა და ჩვენ სიტყვაც არ ამოგვიღია; აგრეთვე უპასუხოდ დავსტოვეთ კრიტიკა: ბ. გურდღელაშვილისა კონის შესახებ, უცნობი ავტორისა «დედა-ენისა» და «ბუნების გარის», შესახებ, მაღაროელი გლეხისა და კიდევ სხვებისა. წარსულ შემოდგომაზედ ობიექტიურად დაწერილს განჩევანზედ «დედა-ენისა» ჩვენ ვუპასუხეთ ობიექტიურივე და თავაზიანი წერილითა. ეს ფაქტები აშკარად ამტკიცებენ იმ პირობას ჭოროვანობას, რომელიც ჭეკრიან, რომ გოგებაშვილი არავის ხმას არ აღებინებს თავის წიგნებზედაც.

ბ. ღულაძე ბევრ გვარად არის დამნაშავე ამ საქმეში. დამნაშავე ჯერ იმით, რომ საბავშო ყურნალო განხდა პიროვანი ანგარიშის და შეჩინ-ძიების ორგანად, დაბეჭდა მასში ბოროტის განზრახვით ყოველად უსაფუძვლო კიცხვა წიგნისა, რომელიც მეტ-ნაკლებობით, სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს — მეტადვე ჩვენი ღარიბი ლიტერატურისათვის, — დამნაშავეა იმაში, რომ მარტო წიგნის კიცხვას არ დასჯერდა და ბევრი

უზრდელი და საწყენი სიტუაციები იხმარა თვითონ შემადგენელის წინააღმდეგ და გაჭვიცხა იგი არა მარტო რეგულარულ ავტორი «კონისა», არამედ, რეგულარულ მწერალს საზოგადოდ, — დამნაშავეს იმაში, რომ უკუაღად-უსარგებლოდ და ვგონებ განგებ ჩასთვალა თავი თავის შეურაცხყოფილად და ტყუილ-უბრალოდ გამოიწვიას სამედიცინო სამართალი, — დამნაშავეს იმაში, რომ მედიცინურად ამოიჩინა ქუთაისში მკვლავები პირი და არა თბილისელი ვინმე და ამითი სამი დღის საქმე სამი თვის ტვირთად გახდა, — დამნაშავეს იმაში, რომ ბოლოს ჭინჭყალობა დაიწყო, უარი სთქვა იმ პირობებზედ, რომელთა ძალით მან გამოიწვიას სამედიცინო სამართალი, საქმე დაუსრულებული გახდა, არა ერთი პირი მოატყდა და საზოგადო საქმეებსა და ამ სახით მან ჩაიდინა ის საქციელი, რომელსაც ძალიან ცუდი სახელი ჰქვია.»

ახლა საზოგადოებაში გასინჯოს, ჩვენ დავასხით თავზედ ლაფი ბ. ლუაძეს, რეგულარულ იგი გვახრებებს, თუ მან საკუთარი ხელით გადაიხა თავზედ ლაფი და დაასხა თავის თანამოზიარებელს?...

იაკობ ბოგებაშვილი.

P. S. ჩვენ საჭიროდ დავინახეთ გვესარგებლა მედიცინურითა ნება-დაცხებით და დაგვებუჭდა ეს დამატებითი მოხსენება, რომ მკითხველს საზოგადოებას საქმის უკუაღადუ საბუთი ხელში ჰქონოდა და თვითონვე გაესინჯა: რამდენად სამართლიანად ამტყუნებს მედიცინურითა სამართალი ჩვენს მოწინააღმდეგეს, რეგულარულ პრინციპიალურს, ისე პირიუნი მხრით და რამდენად იდეალურს, ურემულ მამტაბს, ალახს ხმარობს, რე-

დესაც არ გვამართლებს პუბლიკის წინაშე იმაში, რომ იმუ-
ლებულნი ვიყავით გვეხმარა სიტყვები: ბავშვი, უმეცარი იმისთან-
ა მოწინააღმდეგის შესახებ, რომელმაც განძრახ დასწერა და
დაბეჭდა უსაფუძვლო, უსამართლო, სიტყვით და ცილის-წამე-
ბით სავსე წერილი?

ი. ბოგებაშვილი.

„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(годъ пятый)

Журналъ, какъ и прежде, будетъ выходить въ 1885 г. по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, по прежней программѣ,

при содѣйствіи многихъ прежнихъ и нѣкоторыхъ новыхъ сотрудниковъ, въ томъ числѣ: К. Д. Анциферова, А. Я. Ашеберга, С. М. Арцруни, Ф. К. Бакало, Д. З. Бакрадзе, О. А. Быкова, Г. О. Івиніева, А. А. Гребенщикова, Я. И. Гурлянда, К. В. Долгова, И. Я. Долголенко, Г. А. Джаншіева, Д. И. Кипіани, Д. В. Квиркелія, П. М. Лебединскаго, А. Е. Носа, П. А. Опочинина, Я. И. Рапета, М. А. Селитренникова, Н. П. Смиттена, В. Д. Спасовича, А. Т. Тимановскаго, Я. Г. Теръ-Іоаннисяна, В. А. Хлѣбникова, Н. И. Чижевскаго и др.

Независимо статей общаго юридическаго характера по вопросамъ гражданскаго и уголовнаго права и судопроизводства, межевымъ, нотаріальнымъ, судебно-военнымъ и пр., а также о внутренней жизни Кавказскихъ судовъ и о вопросахъ дня,—въ 1885 г. будутъ помѣщены: грузинскіе законы царя Вахтанга, съ необходимыми предисловіемъ и примѣчаніями, и продолжены изслѣдованія законовъ: армянскихъ—по Мхитару Гошу, еврейскихъ—по Маймониду, мусульманскихъ, собственно Кавказскихъ народностей; ихъ адаты и пр.—Кромѣ того, Ст. І. Гулишамбаровъ, Н. А. Шавровъ и др. обѣщали статьи по вопросамъ Финансовымъ и экономическимъ; П. И. Коваленскій, З. А. Блюмъ, Г. И. Еджубовъ, А. А. Павловскій и др.—по судебно-медицинскимъ.

Пріемъ подписки, объявленій и розничная продажа: Тифлисъ, Сололакская ул., д. кн. меликова и въ Центральной Книжной торговлѣ.

Подписная цѣна на журналъ съ доставкою и пересылкою: на годъ—10 р., на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 20 к., на мѣс.—1 р. 25 к.

Расзрочка въ платежѣ денегъ допускается—для годовыхъ и полугодовыхъ подписчиковъ.

Желающіе пріобрѣсти журналъ за прежніе годы уплачиваютъ: за 1881 г.—8 р. 20 к. и за всѣ послѣдующіе по 10 руб.

Иногородные подписчики «Юрид. Обзор.» имѣютъ право на полученіе, чрезъ редакцію, свѣдѣній о положеніи ихъ дѣлъ въ Тиф. судеб. учрежд.—въ текстѣ журнала безвозмездно, письменныя и телеграфныя—по соглашенію съ редакціею журнала.

Редакторъ-издатель А. С. ФРЕНКЕЛЬ.

განცხადება.

ამა 1885 წელს ჟურნალს «ივერიაზე» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მახათი.

ხელის-მოწერა მიიღება, როგორც «ივერიისა» აგრეთვე «დროების» რედაქციებში. პირველი იმყოფება მიხეილავის ქუჩაზედ, გ. ქართველიშვილის სახლებში, (მისაკალი კოდაძე), ხოლო მეორე სასახლის ქუჩაზედ, სახლი დ. სარაჯიშვილისა.

მთათისში, ჭილაძის მახათაში.

ბათუმში, წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ნათაძესთან.

თელავში ვანო რესტომიშვილთან.

ქალაქს გარეშე ხელის-მოწერით წერილი ღ ფული შემდგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисѣ

Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ» и въ «ДРОЭБА»

მსურველთ შეუძლიან ერთის წერილით დაიბარონ გაზეთი «დროება» და ჟურნალი «ივერია» ადრესით.

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუკიდეს, ვთხოვთ, მალე აცნობონ რედაქციას.